შემჩნეული მაქვს, გრიშა ნაცვლიშვილს არც ახლა უყვარს თეატრის შენობიდან პირდაპირ მანქანაში ან ტროლეიბუსში შევარდნა. იშვიათად, რომ რეპეტიციისა თუ სპექტაკლის შემდეგ არ გაიაროს ქუთაისის ცნობილი ბაღის კიდე, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ხალხს თავი დაანახოს. არა, ეს მისი რაღაც ამაღლებული, პოეტური მოთხოვნაა, რომელიც უდიდეს სიამოვნებასა და ახალ შემოქმედებით იმპულსებს აძლევს. სხვა შემთხვევაში ეს მოსაბუზურებელი ერთფეროვნება იქნებოდა და ამით, თვითონაც წააგებდა და მასურებელიც.

მასურებელი კი ყოველთვის მოუთმენლად ელის გრ. ნაცვლიშვილს და მის გმირებას შეხვედრას, რადგან აგერ ოთხი ათეული წელია ამ შეხვედრებს მხოლოდ სიამოვნება და სულერი სიმსხვევე მოჰყვება. გრ. ნაცვლიშვილზე ვერ იტყვის კაცი, რომ ბავშვობიდანვე მსახიობობაზე ოცნებობდა, ან ხელფანათა წრეში იზრდებოდაო. პირიქით, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მას არასოდეს, არც ბავშვობაში და არც ყმაწვილთაგანობაში მსახიობობაზე არ უოცნებია. დამთავრა თუ არა საშუალო სასწავლებელი (1931 წელს), იმავე წელს მოეწყო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მაგრამ აგრონომობაზე ვერ დაინტერესდა მომავალი მსახიობი და ამიტომაც პირველი კურსიდანვე მიატოვა ინსტიტუტი. როგორც თვითონ იგონებს, სრულიად შემთ-

გრიგოლ ნაცვლიშვილი



იარსახეთა კიეზაუი

გიორგი დოლიძე

ხვევით სასცენო ხელოვნების უმაღლეს კურსებზე შეიტანა განცხადება და რაოდენი იყო მისი გაოცება, როცა სათანადო გამოცდის შემდეგ, მიიღეს კიდეც. თანდათან იჩინა თავი ბუნებრივმა ინჭმა და გრ. ნაცვლიშვილი ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი გახდა. იგი განსაკუთრებული წარმატებით კითხულობდა მ. გორკის ცნობილ „ქარიშხალს“.

სასწავლებელმა, სამწუხაროდ, მხოლოდ ორი წელი იარსება, მაგრამ ამ ხნის მანძილზე სრულად და ნათლად გამოვლინდა გრ. ნაცვლიშვილის მსახიობური უნარი და ისიც სიღრმის თეატრში იწყებს მუშაობას. შემდეგ ორი წელი სოხუმი თეატრში იყო. აქ იგი უკვე დაჯიკცდა და საკმაო გამოცდილება მიიღო. შემდეგ კი, 1938 წლიდან დღემდე, გრ. ნაცვლიშვილი ქუთაისის

ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობია. ამ ხნის მანძილზე მან 130 როლი ითამაშა როგორც ქართულ, ისე რუსულ, მოძვე ხალხებისა და საზღვარგარეთის საუკეთესო დრამატულ ნაწარმოებებში და მასურებულთა ნამდვილი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

საკამრისია უბრალოდ ჩამოვთვალთ გრ. ნაცვლიშვილის მიერ შესრულებული როლები, რომ თვალწინ გადაიშალოს სრულიად განსხვავებულ სცენურ გმირთა მთელი კალიდოსკოპი, რომელიც აშკარად მეტყველებს მსახიობის ფართო დიპაზონსა და შემოქმედებითი პალიტრის ფერთა სიუხვეზე. აი, ეს გმირებიც: არჩილი (ი. ტაყაიასის „ჩატხილი ხიდი“), კასიო (უ. შექსპირის „ოტლო“), რივარსი (ვო-

ინიჩის „კრაზანა“), ფერდინანდი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ლუკასაბ მეფე (ი. ვაკელი „გიორგი სააკაძე“), ბასა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), დიკეფილუ (ლ. სანიკიძის „მედია“) და სხვ. მაგრამ, ცხადია, არსებობს როლები, რომლებშიც განსაკუთრებული სიმღვირითა და სიცხადით გამოვლინდა გრ. ნაცვლიშვილის სცენური ნიჭი და მომხიბვლელობა. ასეთი იყო თუნდაც მისი გმირი ა. ალიოშინის პიესაში „დირექტორი“, რომელიც 1952 წელს გიგა ლორთქიფანიძემ დადა. „ნაცვლიშვილი — ჭკვიანი და ფაქიზი მსახიობია, — წერდა გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, — მას გააჩნია სცენური ტაქტის გრძობა, რომელიც გვიპყრობს შესრულების მანერის გულწრფელობითა და უბრალოებით. მსახიობ ნაცვლიშვილის წარმატებამ სტეპანოვის როლში განაპირობა სპექტაკლის საერთო წარმატება“ „ზარია ვოსტოკა“, 8 VII, 1952 წ.).

ასევე აღსანიშნავია გრ. ნაცვლიშვილის მიერ შესრულებული მიხეილ იაროვოის როლი კ. ტრენიოვის შესანიშნავ გმირულ-რევოლუციურ პიესაში „ლიუბოვ იაროვია“, რომე-

ლიც ქართულ სცენაზე პირველად დადგა გიგა ლორთქიფანიძემ (ქუთაისში). სპექტაკლსაც და გრ. ნაცვლიშვილის ოსტატობას მაღალი შეფასება მისცა გაზეთმა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ (8. VII, 1955 წ.), მაგრამ ვინც გრ. ნაცვლიშვილის შემოქმედებას აკვირდებოდა, დაგუთანხმება, რომ მის ყველაზე დიდ მიღწევად, ჯერჯერობით მაინც, ითვლება გრიბოედოვის როლი და თავთაქიშვილის პიესაში „გრიბოედოვი“, რომელიც 1955 წელა დაიდა ქუთაისში. მაყურებელმა და პრესამ ერთხმად აღიარეს გრ. ნაცვლიშვილის დიდი მხატვრული მიღწევა ამ როლში. გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „იმდენი სითბო, მხატვრული სისადავე და სიმათლე დავინახეთ მის მიერ წარმოსახულ გრიბოედოვში, რომ კარგა ხანს მემსიერებიდან ეს სახე არ ამოიშლებოდა. რაც მთავარია, მსახიობი სრულ გარდასახვას ახდენს და გმირის ორეული ხდება“ („კომუნისტი“, 16 IX, 1956 წ.).

ასეთივე მაღალი შეფასება მისცა გრ. ნაცვლიშვილის გრიბოედოვს ჟურნალმა „საბჭოთა ხელოვნებამ“,

რომლის ფურცლებზე და. ჯანელიძე და ნ. შალუტაშვილი წერდნენ: „შექველია ეს როლი მსახიობმა შემოქმედებით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავეს. სავსებით სწორია მსახიობი, როდესაც გრიბოედოვის პიროვნების სიღრმეზე ხედვას მის დიდ ჰუმანიურობაში, რომელიც თავს იჩენს მის გარშობებში, აზრებას და უბრალო დამიანებთან დამოკიდებლობაში. ამ გზით შემლო მსახიობმა დიდ რუსი მწერლის სულის სიღრმედ და პიროვნული მომხიბვლელობა გადმოგვა. გრ. ნაცვლიშვილის შესრულებით ჩვენ ვხედავთ სოციალური ბორტების წინააღმდეგ მებრძოლ, საქართველოსადმი უსაზღვროდ შეყვარებულ, ძლიერი ინტელექტის ადამიანს... არ შეიძლება არ აღინიშნოს მსახიობ გრ. ნაცვლიშვილის შემოქმედებითი პასუხისმგებლობა. მისი გრიბოედოვი სპექტაკლიდან სპექტაკლამდე უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება“ (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ №5, 1955 წ.).

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომაც მოვიყვანეთ, რომ განსაკუთრებით ხაზი გაგვეყვას მის ბოლოში გამოქმული აზრისათვის — შემოქმედებითი პასუხისმგებლობის შესახებ, რაც ყოველ ჭეშმარიტ მსახიობს უნდა ახასიათებდეს. გრ. ნაცვლიშვილისათვის სპექტაკლის პრემიერა მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი და მძიმე, დაუღლევი შრომისა, რომლითაც იგი ვეიდება ყოველ ახალ როლს. ყოველი როლის ახალ წარმოდგენას. ამიტომაც გვხვბლავს მის გმირებთან ყოველი შეხვედრა, გვიხილავს, რადგან ვგრძნობთ რაოდენი სკულპტურული გამოკვეთილობითა და მხატვრული ტაქტით ძერწავს იგი თავის სცენურ იერსახეებს და საინტერესოდ გვიამბობს მათ ჭირ-ვარამსა თუ სიხარულზე. სანამ ეს ინტერესი იქნება, არც თვატრსა და არც მსახიობს მაყურებელი არ დააკლდება, რაც თავისთავად შემოქმედებითი იმპულსია ახალ-ახალი შემოქმედებითი გზებისა და გაქანებისათვის.



8. ნაცვლიშვილი ანზორის როლში (ანზორი)

კოტე

ფოცხვერაშვილის გიორგაშვილისათვის

ლეილა ნანიტაშვილი



კოტე ფოცხვერაშვილი

კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა ქუთაისის სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო იურიფეის უნივერსიტეტში. პარალელურად იგი აქ 1902 წლიდან სისტემატურად ხელმძღვანელობდა ქართველი სტუდენტებისაგან შემდგარ გუნდს. კოტე ფოცხვერაშვილის დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხალხური სიმღერების შევრება-დამუშავებაში, თავისი გუნდის გამოსვლებით იგი რუსულ საზოგადოებას აცნობდა ჩვენს კულტურას და ეწეოდა ქართული ხალხური საუნჯის პროპაგანდას. კოტე ფოცხვერაშვილის კონცერტების წარმატებებზე ნათლად მეტყველებენ საღამო-კონცერტების ის პროგრამები და აფიშები, რომლებიც მრავლადაა დაცული კომპოზიტორის პირად არქივებში.

იმდროინდელი პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა კ. ფოცხვერაშვილის გუნდის მონაწილეობით გამართული საღამოების უოგუნულ ხასიათსა და მრავალფეროვნებას.

საყურადღებოა, რომ ქართველთა სათვისტომოს მიერ გამართული კონცერტების შემოსავალი ღირბი სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი.

1910-1914 წლებში კოტე ფოცხვერაშვილი პეტერბურგში გადავიდა და ცნობილი პროფესორების — საკეტისა და ბრუნის ხელმძღვანელობით განაგრძო მუცადინეობა.

ამჟერად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კოტე ფოცხვერაშვილის სტუდენტობის პერიოდის ერთ ეპიზოდზე. პეტერბურგში 22 იანვარს გამართული ტრადიციული

ქართული საღამოს შესახებ გაზეთი „ჩვენი საქმე“ 1909 წლის 11 თებერვალს წერდა:

„...საღამოს შინაარსი ფრიად მღაღარი იყო. გარდა რუსული არიებისა და რომანსებისა, რომლებიც შესრულა ცნობილმა არტიტებმა, სახელგანთქულმა არხანგელსკიმ და ხორომ, ბნ ფოცხვერაშვილის დირიჟორობით იმღერეს ქართულად „მერცხალი“, „მურმან-მურმანი“, „ერო“, „ლილე“, „ფაცხა“, „ვახტანგ მეფე“, „ბოლონი“ და სხვა. სიმღერები საუცხოვოთ შესრულდულ იქნა. საზოგადოება მეტათ ნასიამოვნები დარჩა. რამდენჯერმე გამეორებინეს და ცხოველი ტაშის ცემით დააჯილდოვეს ბი ფოცხვერაშვილი.

მარა აქ კიდევ არ იყო ფოცხვერაშვილის ტრიუმფი. ეს წაღად ხვდა მას მესამე განუოფილებაში. აქ დადგული იქნა მისი-განვი დაწერილი ერთოქმედეზიანი ოპერა „ბაყბაყ მდევიდან“ რამდენიმე მოქმედება, ცოცხალი სურათები და მუსიკით, მისი-ბ დ. პოლტორაკიმ და ისე ჩინებულით, რომ უკეთ აღარც კი შეიძლებოდა, რითაც საზოგადოება მეტათ კმაოფილი დარჩა. დამსრენი გაიტაცა და აღფრთოვანებაში მოიყვანა მუსიკამ; აქ იუენეს სპეცილისტები, ცნობილი კომპოზიტორები, მუსიკის სპეციალური რეცენზენტები და უველინი ესენი ერთიმორეს გაცირვებით ეკითხებოდნენ: ნუთუ ქართველებს ასეთი მუსიკა აქვთ? რაკომ აქამდის არ გავგოგონია. ზოგი მათგანი ფოცხვერაშვილს ბაზს და ვაგნერსაც კი ადარებდა. ასეთი მუსიკის რეცენზია ორიოდ სიტყვით არ დაწერებია...

რაგორც ხედავთ, ბ. ფოცხვერაშვილმა ისეთი ნიჭი გამოიჩინა და ერთხელ კიდევ მოახვდა საქართველოსკენ რუსეთის საზოგადოება და მისი შესწავლის სურველი აღუძრა. და ეს მართო პეტერბურგში კი არა, უველან, სადაც კი მან მონაწილე-



ობა მიიღო საღამოს გამართვაში. აი, ასეთი ნიჭიერი და თვალსაჩინო გონებრივი ძალა, რომელსაც ანგარიშს უწევენ ცნობილი მეფუსიციეო, მთელი წელიწადისა სტაქენილის დანიშნავს ემუდარება სხვადასხვა ქველმოქმედ დაწესებულებებს, მაგრამ ამოღების დაწესებულება ბ. სარაჯიშვილის სტიპ. 25 მან. მარა, შარშან მაისში სწორით მას შემდეგ, როცა ოდესის გატყობნა ასეთი ზეიშით აღნიშნეს ბ. ფ. ს. ნიჭი და ღირსეული ღობა შეისახეს, მის თხოვნას სტაქენილის მომეტების შესახებ მით უპასუხეს, რომ ისიც წარათვის, რასაც აძლევდნენ. ვერ უშველა საქმეს ვერც ბ. გოგებაშვილის ავტორიტეტმა, ვერც ორი უნივერსიტეტის ქართული „ზეგლიაჩესტვის“ გამგეობის თხოვნამ ქუთ. თვ. დ. ანაურობისადმი, ვერ მოაღბო ჩვენი „კვირისუბლების“ დაუწესლო გულში...“

მსგავსი რეცენზიები კოტე ფოსტვერაშვილის წარმატებების შესახებ ხშირად იბეჭდებოდა იმდროინდელი ქართული და რუსული პრესის ფურცლებზე. მოტიანილი ნაწევრებიდან ჩანს, კოტე ფოსტვერაშვილი, ჯერ კიდევ სტუდენტმა მიიქცია დიდი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის ყურადღება, რომელმაც სწავლამოწიურებულ ასალგაზრდაში მომავალი ნიჭიერი კომპოზიტორი დანიასა. ამის ნათელი დადასტურებაა წერილები: „ქართულის სიმღერის ხროის შესახებ“, „უნესური გაწივსატება“, „უკანასკნელი მიღება“, „არაჩვეულებრივი შუამდგომლობა“, „ბიუროკრატიული თრევა საკითხისა“ და სხვ.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1908 წლის შემოდგომაზე, პეტერბურგის, იურივის და მოსკოვის სტუდენტთა წრეებმა მოსკოვის „თანამემამულეთა წრის“ წევრებთან ერთად, იშუამდგომლეს თბილისის გუბერნიის თავდასწანართა საკრებულოს წინაშე, რათა სტაქენიდა დაენიშნათ კოტე ფოსტვერაშვილისათვის. ამ თხოვნას სტუდენტები იმითაც ასაბუთებდნენ, რომ საჭირო იყო ჩვენი ეროვნული მუსიკის შესწავლა და მისი გამოქვეყნება. „...ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, — ვკითხულობთ შუამდგომლობაში, — რომ ფოსტვერაშვილი, თუ მას მატერიალური სახსარი აღმოუჩნდა და თავისი, დღემდის თვითგანვითარებით შეძენილი, სამუსიკო ცოდნა სისტემაში მოიყვანა და გააფართოვა, ბერათ წინ წასწევს ქართულ მუსიკას...“²

აღნიშნული შუამდგომლობა ქართველმა სტუდენტებმა იაკობ გოგებაშვილის მეშვეობით გადასცეს თბილისის გუბერნიის თავდასწანართა საკრებულოს.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი № 214, საქმე № 3578), დადგულია იაკობ გოგებაშვილის სამი პირადი ბარათი ილია შურაბიშვილისადმი (თავდასწანართა საკრებულის მდივანი). ბარათები დათარიღებულია 1908-1910 წლებით და მათში ნათლად ჩანს იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება ახალგაზრდა კომპოზიტორისადმი.

ბატონო ილია ელფუტერის ძეგლი

ეს ორი კვირა, რაც გაცივებით და ინფლუენციით ვავდ ვარ, და თუშე არა ვწევარ, მაგრამ კარში კი ვერ გამოვდივარ, რადგანც ექიმმა მოხობა, თუ გაცივდი, ფულტების ანთებად გადაგამკვეთაო ამის გამო ვერ შემოვარე თქვენ დებუბატოთა საკრებულოში და ვერა გკითხეთ, თუ როგორ გადასწევრეთ საკითხი ფოსტვერაშვილის შესახებ. ვხოვით შემაძეებოთიო ბარათით, გადასწადე ეს საკითხი, თუ არა, და თუ გადასწადე, ან გვარად? თუ ჭერ არ განხილულა ეს საკითხი, რადის განხილდება? პეტერბურგში მოუთმენლად ელიან ასახუს ჩვენან და უნდა მათე მივაწოდო... (ეს წერილი იბეჭდება შემოკლებით — დ. ნ.)

თქვენი იაკობ გოგებაშვილი

7 იანვარს
1908 წელსა

ბატონო ილია ელფუტერის ძეგლი

დაურსრებულს ყოყმანობას დროულად ცივის უარის თქმა ბევრად ემგობნებოდა, რადგან ამ უკანასკნელს შემოხვევაში სტუდენტთა ორგანიზაციები სხვა ღონისძიების მიმართავდნენ დაუგვიანებლად. ეხლა კი ხელგაუმწირებელი ეოლოგებია თქვენს პასუხს და მოვლად ცარილთ იმებით უპასიანდღებინა შში. ერ-მწუჭრავლს ფოსტვერაშვილსა. საჭიროა, ფრად საჭირო კოყმანობას ბოლო მოვლოთ და საკითხი ავად თუ კარგად გადასწავტოთ. და თქვენი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეატყობოთიო პეტერბურგის სტუდენტების ორგანიზაციას ან პროფესორი მარის შუაყაციობით. მე კი პირადად უარს ვებოძო უკვედგვარს შუამდგომლად და შუაყაციობაზე ამ საქმეში, და საუვედგვარს ვსწერ იმ სტუდენტს, რომელსაც, ორგანიზაციის მინდობილობით, მარშლის სახელზე კი ამი გამოგვანა წერილობითი შუამდგომლობა, არამედ მე გამოგვანა, რითაც გამანდა რადად გარდაქმნე ინსტანციად და რამაც შეიძლება არა სასურველი გავლენა იქონია საკითხის მსჯელობასა და გადაწყვეტაზე.

პირადად შემოვივლოდი თქვენის კრებულის სადგურში საქმის შესატყობლად, მაგრამ ინფლუენცია ისევ გრძელდება და კარში არ მივხვბს.

თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე იაკობ გოგებაშვილი
15 იანვარს
1909 წელსა

ბატონო ილია! ვხოვით დღევც, ორშაბათს, გაუგვანოთ ქუთაისში კოტე ფოსტვერაშვილსა უველას დოკუმენტები, რომლებიც ჩვენებურს თავდასწანართობს გამოუგვანეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა. ასე საჭიროდ გავგანა დოკუმენტებისა იმისათვის არის საჭირო, რომ ქაოუტრის მრეწველთა საბჭოში რასბ ამ ომისას უნდა გაიარეს ფოსტვერაშვილის თხოვნა სტაქენილის დანიშვნის შესახებ. ფოსტვერაშვილის ადრესი ასეთია:

Кутаис, Казоковский переулок, дом Мчедлидзе, Константин Георгиевичу Поцхверашвили.
იმედო მკვებს, რომ ჩემს თხოვნას შეასრულებთ და დღესვე გაგზავნით დოკუმენტებსა, რადგანაც ხელოვანი გავაჩვენო სხდომას ველარ მიუსწრებს.

8 სექტემბერს
1910 წელსა

თქვენი იაკობ გოგებაშვილი

სამწუხაროდ, ი. გოგებაშვილის ჩარევამ თავდაპირველად სასურველი შედეგი ვერ გამოიღო — კოტე ფოცხვერაშვილს, როგორც არათავადაზნაურთა წარმომადგენელს, სტიქენდიაზე უარი ეთქვა. ამ ამბით შეწუხებული იაკობ გოგებაშვილი მელიტონ კელენჯერიძეს¹ წერდა: „ბორჯომიდან ჩამოვედი გუმინ თბილისში და თქვენი წერილი იქ დამხვდა. ყოველი ღონისძიება ვიხმარე, რომ ბატონი ფოცხვერაშვილისათვის სტიქენდია მეშვნა, მაგრამ ვერას გახვდა“.²

მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა, კოტე ფოცხვერაშვილი მეცადინეობას განაგრძობდა. 1909 წლის ნ სექტემბერს იაკობ გოგებაშვილს წერდა:

„ყოველი ღონე და სახსარი მომესპო, არასიდან, ხელოვნების მეტს დახმარებას არ მოველი, მაგრამ ქართულ მუსიკას თავს მაინც ვერ დავანებებ. ვინც ხალხისათვის ხელოვნების საკითრება იცნო, ვინც ქართული ხმების გამომოთქმელი სიმწვენიერე იგრძნო, ვისაც სწამს, რომ ჩვენი ხალხისათვის ენა, ზნე-ჩვეულება და უფრო კი მშობლიური ხელოვნება გადაგვარების წინააღმდეგ თითქოს ერთადერთი მძლავრი იარაღია, უსაქმოდ ვერ გაჩერდება. დაე, ზოგიერთმა ვაგებატონებმა ეს ნაკლულებანება ჩამოთვალონ, მაგრამ მე არა მსურს რომ ქართველი ერი გადაგვარდეს და ყოველ ღონეს ვიხმარ ამ გადაგვარებას ხელი

შევეშალო... შეიძლება მუსიკის შესწავლისათვის სახსრის ძებნაში დავლიო ჩემი წუთისოფელი, შეიძლება ჩემზე გამოქმული იმედები ნახევრადაც ვერ შევასრულო, მაგრამ ეს კი მწამს, რომ იმდენს მაინც მოვიმოქმედებ, რომ ბარათაშვილის არ აყოს, ჩემს შემდეგ „გზა თელილი“ მაინც დარჩეს“.³

იაკობ გოგებაშვილის გულმოდინე მეცადინეობის შედეგად კოტე ფოცხვერაშვილს სტიქენდია დაუნიშნა ჭიათურის შავი ქვისა და ნავთის მრეწველთა გამეგობამ⁴.

„...როგორც იქნა, მოვესწარი იმას, რასაც ვნატრობდი, — სწერდა კოტე ფოცხვერაშვილი თავის კეთილამყოფელს, — ევროპული და ქართული მუსიკის სისტემატურ შესწავლას შევედგე. თუ მეორე ნატვრაც ამისრულდა და ქართული მუსიკით ვსთქვი ის, რისიც თქმა მინდა, ჩემ მიზანს მიღწეულად ჩავთვლი“.⁵

კოტე ფოცხვერაშვილმა თავის მიზანს მიღწია. მას სწამდა ქართული მუსიკის მომავლისა და ამ ბრწყინვალე მომავლის შექმნაში მისი დიდი წვლილიცაა.

შენიშვნები:

1 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV, 1955 წ. 2 ცსსა, ფონდ: № 214, საქმე № 3578. 3 მელიტონ კელენჯერიძე, „ტონკვლი“ (1864-1942), ცხოვლი პედაგოგი და მწერალი. 4 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IX, 1962 წ. გვ. 309-310. 5 კ. აქეკიძის საბ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის პირადი ფონდი, ხ. № 197. 6 ამ პერიოდზე სანტერესო წერილი გამოაქვეყნა თვით კომპოზიტორმა „ჩემი მოგონება ი. გოგებაშვილის შესახებ“, ეურ. კომუნისტური აღზრდისათვის, 1940 წ., № 10, გვ. 81.

მატეარ-დეკორატიოთა ნამუშევრების გამოფენის ერთ-ერთი კუთხე საზღვარგარეთის შეყვებითან მეგობრობისა და კულტურულ ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში



ბასკლითი საკლენუო

კონსერტაი

ალექსანდრე ლორია

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თაოსნობით დამკვიდრდა მესანინზავი ტრადიცია — გასვლითი საპლენუმო კონცერტების ჩატარება რესპუბლიკის რაიონულ ცენტრებში. ეს ღონისძიება სხვადასხვა თაობის ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესრულებით ფართო აუდიტორიას ნათლად წარმოუდგენს საქართველოს მუსიკალური კულტურის განვითარების ვრცელ სურათს, მიღწევებს სხვადასხვა ჟანრის სფეროში.

ათ წელზე მეტია, რაც ამ მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებაში რეგულარულ და აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი მისი მთავარი დირიჟორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლ. კილაძის ხელმძღვანელობით. ამ კოლექტივმა მაღალ დონეზე ჩაატარა საპლენუმო კონცერტები ბათუმში, სოხუმში, თელავსა და ამბროლაურში.

საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის შექმნის ორმოცდაათი წლის იუბილეს მიძღვნა ამას წინათ საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკეს-

ტრის მიერ გამართული მუსიკალური ფესტივალები ბათუმში, ქუთაისსა და სოხუმში. მრავალრიცხოვანი და საინტერესო პროგრამა წარმოდგინილი იყო ზ. ფალიაშვილის, დ არაკვივილის, მ. ბალანჩივას, შ. მშველიძის, ა. ბალანჩივას, გრ. კილაძის, თ. თაქიაშვილის, ა. ბუკიას, ა. მაჭავარიანის, ს. ცინცაძის, რ. ლალიძის, ა. ჩიმაკაძის, ა. შავერზაშვილის, ვ. დავითაშვილის, თ. თევდორაძის და შ. დავიდოვის ნაწარმოებებით, რომელიც მხატვრული გემოვნებითა და ტემპერამენტით შესარულა ორკესტრმა ლ. კილაძისა და სპ. კორკოტაშვილის დირიჟორობით. კონცერტებში მოწვეული იყვნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები — ა. ბალანჩივაძე და პ. ამირანაშვილი, თბილისის სახელმწიფო ოპერის სოლისტები ნ. ნადიბაიძე და ნ. გელაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტო რ. ჯობლაძე და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ვაჟთა ვოკალური ოქტეტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მ. ხატელიშვილის ხელმძღვანელობით.

ფესტივალი გაიხსნა ბათუმში, სადაც აუდიტორია დიდი ენთუზიაზ-

მით შეეგება სტუმრებს. მათ ხელოვნებას მაღალი შეფასებით გამოუმარა გაზეთი „საბჭოთა აჭარა“. ა. ბალანჩივას, პ. ამირანაშვილის, ლ. კილაძეს, სპ. კორკოტაშვილსა და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიურ ორკესტრის გადაცემა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები.

როგორც ბათუმში, ასევე ქუთაისსა და სოხუმში საფესტივალო კონცერტების პროგრამიდან შთაბეჭდილებების სიძლიერითა და შესრულების მხატვრულ-ტექნიკური ოსტატობის მხრივ გამოირჩეოდა შესავალი ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“ (დირიჟორი — ლ. კილაძე, პობოი-ზე, და კლარნეტზე სოლო პარტიების შემსრულებლები: თ. სტეფნაძე და გ. გალუსტოვი), ა. ბალანჩივასის შესაქმნელ საფორტეპიანო კონცერტი, რომლის შესრულებით ავტორმა და ორკესტრმა (დირიჟორი ლ. კილაძე) მსმენელს მიაწვდინეს ამ ნაწარმოების ნატიფ მხატვრულ სახეში ნორჩი თაობის სულიერი სამყარო თავისი უშუალოდობა და გატაცებით, ჩაღხიას სცენა და არაა, მინდას პირველი არია თ. თაქიაშვილის ოპერიდან „მინდია“. (დირიჟორები — ლ. კილაძე და სპ. კორკოტაშვილი სოლისტები — პ. ამირანაშვილი და ნ. გელაშვილი), ა. ჩიმაკაძის სიმფონია „ჩემი მხარე“, რ. ლალიძის „მოსვეური ბალადა“ ვაჟთა ვოკალური ოქტეტისა და ორკესტრის შესრულებით (დირიჟორი სპ. კორკოტაშვილი, სოლისტი ჯ. მდივანი). დიდი ინტერესი გამოიწვია სცენამ ა. ბუკიას ახალი ოპერიდან „სამი მჭედელი“ (დირიჟორი ლ. კილაძე, სოლისტები — ნ. ნადიბაიძე, ნ. გელაშვილი და ვაჟთა ვოკალური ოქტეტი) და ა. მაჭავარიანის „საზეთო უფრტოურამ“. საყურადღებო იყო შ. დავიდოვის ახალი კონცერტი კლარნეტისათვის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. საზოგადოება ოვაციით ხვდებოდა გრ. კილაძის „ვალსსა“ (ბალეტიდან „სინათლე“) და რ. ლალიძის „საჭიდაოს“ შესრულებას.

მ. ხვიტია.
გვიანი შემოდგომა



ე. ბაღდაძე,

მოსავლის დღესასწაული

საპარტიველოს სსრ
და საპარტიველოს
კომპარტიის 50
წლისთავისადმი
მიძღვნილი
გამოფანიდან





პროფესორი შალვა ასლანიშვილი.

შალვა ასლანიშვილის შეპოქველავითი სვლა

ბამონიშვილი მუსიკოსი-მეცნიერი პროფესორი შალვა ასლანიშვილის მთელი ცხოვრება აღსავსეა დაუღალავი შრომით, უაღრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი მოღვაწეობით. 1937 წლიდან დღემდე იგი სამაგალითო კეთილსინდისიერებითა და თავდადებით ხელმძღვანელობს მუსიკის თეორიის კათედრას ვ. სა-

რაიშივილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც სამეცნიერო კვლევით მუშაობას უთავსებს ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდას. იგი ასწავლის პარმონიასა და მუსიკალურ ნაწარმოებთა ფორმის ანალიზს. პროფ. შ. ასლანიშვილის მიერ აღზრდილი მუსიკოსთა რამდენიმე თაობა,

ისინი აქტიურად მოღვაწეობენ ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალურ სასწავლებლებში, სკოლებსა და კონსერვატორიებში. იგი მუდამ დიდ დახმარებას უწევს სხვადასხვა მუსიკალურ პრობლემებზე მომუშავე მკვლევარებს, ახალგაზრდა კომპოზიტორებს.

უაღრესად მნიშვნელოვანია შ. ასლანიშვილის კვლევითი მოღვაწეობა. მისთვის ჩვეული ერუდციითა და სიღრმით მას გაანალიზებული აქვს ქართული ხალხური და, საზოგადოდ, მუსიკალური კულტურის მრავალი კარდინალური საკითხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. ასლანიშვილის დიდი ღვაწლი ქართული მუსიკალური აზროვნების განვითარების საქმეში. მას შემოვილილი აქვს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, შვედროვილი და ჩაწერილი აქვს უნიკალური მუსიკალური მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო მის კვლევით მოღვაწეობას — თვითმყოფადი ქართული ხალხური მუსიკის მეცნიერულ შესწავლას.

შ. ასლანიშვილმა დაადგინა აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორის პარმონიული თვისებებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია კაპიტალური ნაშრომი: „ქართლისა და კახეთის საგუნდო ხალხური სიმღერების პარმონია“. ასევე საყურადღებოა შ. ასლანიშვილის შემდეგი ფუნდამენტური ნაშრომები: „მრავალხმიანობის ფორმები ქართულ ხალხურ სიმღერაში“, „ქართული ხალხური სიმღერების ჟანრები“, „დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების კილოები“, „ქართული (ფშავ-ხევსურული) ხალხური სიმღერები“, „ქართული (რაჭული) ხალხური სიმღერები“, „ქართული (სვანური) სიმღერები“, „სვანური რიტუალური სიმღერები“ და სხვა.

შ. ასლანიშვილმა ჩამოაყალიბა ქართული ხალხური მუსიკის პარმონიის სპეციალური კურსი, რომელსაც იგი ჩვენს კონსერვატორიაში კითხულობს. დიდად საყურადღებოა მისი შემდეგი პრობლემატუ-

რი ხასიათის ნაშრომები: „ხალხური პარმონიის საფუძვლები ქართულ კომპოზიტორთა შემოქმედებაში“, „ბაზის ორი და სამხმანინი ინვენციები“, „ბეთოვენის III სიმფონიის ფინალი“, „ბეთოვენის 32 ვარიაციი“, „ბაზის ჩაკონა IV სავიოლინო სონატიდან“, „მასვე ვკუთნის ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ კლავირის რედაქცია და შესავალი წერილი. აგრეთვე ნაშრომი — „ჩაიკოვსკი საქართველოში“.

წლების მანძილზე შ. ასლანიშვილი მუშაობს თანამედროვე მუსიკის პარმონიის საკითხებზე. კვლავაც შეუწელებულია მისი ენერჯია, კვლევითი სამუშაოებისადმი ინტერესი ქართული მუსიკალური ხელოვნებისადმი პატივითული დამოკიდებულება.

ბუნებრივია ის ღრმა პატივისცემა და მადლიერება, რომლითაც მსოფლიო მეცნიერისადმი გამსჭვალულია ჩვენი მუსიკალური საზოგადოება.

ახლახან ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში შესდგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხელოვნებათმოდუნეობის დოქტორის, პროფესორ შალვა ასლანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო, რომელიც მიჰყავდათ თბილისის კონსერვატორიის პრორექტორს გ. ლორთქიფანიძესა და კონსერვატორიის დეკანს, კომპოზიტორ ს. ნასიძეს. შ. ასლანიშვილის ცხოვრებას და მოღვაწეობაზე მოხსენება გააკეთა თბილისის კონსერვატორიის დოცენტმა ქ. თუმანიშვილმა. იუბილარს მიესალმნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, საქ. სსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი, პროფესორი პავლე ხუჭუა, კონსერვატორიის დეკანი ე. დავლიანიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ქ. ჯიქია და სხვ. პროფ. შალვა ას-




შალვა ასლანიშვილის საიუბილეო საღამოს პრეზიდენტი

ლანიშვილმა მსურველე მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლებს.


საღამოს მეორე განყოფილებაში გაიმართა კონცერტი თბილისის კონსერვატორიის პედაგოგთა და სტუდენტთა მონაწილეობით.

შეუქრებელი დარბაზში





მ. ხოლუაშვილი.



ლოკრიული ქილო

ქარბულ

ხალხურ სიმღერაში*

მინდია ყორღანიძე

პილწმბრძნი თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს „გარეგახური საკვდლო“, ჩაწერილი თ. ჩიჯავაძის მიერ სა-გარეჯოში.¹ ეს სიმღერა „სათამაშოს“ (ანუ საცეცავოს) სა-ხელითაც არის ცნობილი და ზემოთ განხილული „სათამა-შოს“ ერთ-ერთი ვარიანტია. არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ამ სიმღერაში არჩევულფერვიად მძინირ ცვა-ლებადობა კილოს ერთ ტონიკაზე: აქ მთელი სიმღერის მანძილზე არის ერთი ტონიკა (ლა), მაგრამ მასზე აგებუ-ლია 6 სხვადასხვა კილო; მათ შორის ქართულ ფოლკლო-რისტიკაში ცნობილი, ყველაზე პოპულარული 3 კილო: ეოლიური, მიქსოლიდიური, ფრიგიული; და კიდევ 3 კილო, რომელთა შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე მითითებული არ ყოფილა. ესენია: მიქსოლიდიური კილო პატარა (დაბალი) სექსტი (ა, h, cis, d, e, f, g, a)²; ლოკრიული კილო (ა, b, c, d, es, f, g, a) და, ბოლოს, შემცირებული კილოს განსაკუთრებული სახეობა — a, b, c, des, es, f, g, a, ე. ი. კილო, რომელიც შეიცავს პატარა ტერციას (ამ ნიშნით მინორულია), პატარა სეკუნდას, შემცირებულ კვარტას და შემცირებულ კვინტას.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ დასახელებული კი-ლო გვხვდება სოლისტის პარტიაში, ე. ი. მელოდიის სახით არის მოცემული. მოგვაგვს სამივე მელოდია.

პირველი მელოდიის კილო ლა მიქსოლიდიურია და-ბალი სექსტი (ლა, სი, დო-დეიზი, რე, მი, ფა, სოლ, ლა). უნდა აღინიშნოს ამ სექსტის ინტონაციის დიდი მნიშვნელობა. იგი ხაზგასმულია რეგისტრულად (უმაღ-ლესი ბგერა), რიტმულად (ტაქტის, ამასთან დასაწყისი, მთავარი ტაქტის პირველი, უძლიერესი მახვილის მქონე, თვალა), ხმოვანების სიმღერით და თითქმის განსაზღვრავს მთელი ფრაზის ტონუსს, აძლევს მას თავისებურ სვედიან ელფერს). ამაში მას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, გუნდის რეფერენს ნათელი მიქსოლიდიური მაჟორის შემდეგ მი-ნორული სექსტის შემოჭრა, რომელიც კონტრასტულად ხმოვანებს და, მეორე მხრივ, დაღმავალი მინორული ტეტ-რაჟორდი — ფა, მი, რე, დო-დეიზი, რომელიც პარამონი-ული (რე) მინორისათვის დამახასიათებელ ინტონაციას (პირველ რიგში შემცირებული კვარტის ინტონაციას დო-დეიზი-ფა) შეიცავს.³

განსაკუთრებით ყურადღება გვიდას გაგამახვილოთ ჩვეთივს ამჟამად ყველაზე საინტერესო მორფე ნაწყვეტზე, რომელიც მოტარია სიმღერის ბოლო, დასკვნითი სტრო-ფიდან და, სადაც სუფთა სახით გვაქვს ლოკრიული კილო, დამახასიათებელი შემცირებული კვინტის ინტონაციით — ლა, სი-ზემოლი, დო, რე, მი-ზემოლი, ფა, სოლ, ლა.⁴ ხაზი უნდა გაუსვას იმ გაზრებებს, რომ ლოკრიული კილოს გა-მორჩენა არ არის შემთხვევითი და კანონზომიერების ხასი-სით ატარებს. ჯერ ერთი, იგი ჩნდება დამაგვირგვინებელ საბოლოო მუსიკაში, სადაც აღმდგება შესავლის ნელი ტემ-პი (ცეკვის დაწყებამდე სიმღერა ნელ ტემპში მიდის) და ხდება ძაბვის უეცარი გადაღრთვა მინორული განწყობილე-ბისაკენ. მთავარი მაინც ისაა, რომ კილო-საფუძვლის ვა-რირება ამ სიმღერის დამახასიათებელი თვისებაა და განეი-თავრების მუხლია ფაქტორია. საკმე იმაშია, რომ თვით სიმღერის მთელი ძალიან პატარაა — შესდგება ორტაქტიან-საშავლისა და ორტაქტიანი საფუნდო რეფერენსიდან; ამასთან ეს უკანასკნელი თითქმის არ იცვლება (სულ ორი ვარიანტია უწინშეყოლი ცვლილებებით) და მთელი სიმძი-ვე გადადის სოლისტის პარტიაზე, რომელშიც ნამდვილი გამოთქონლობაა გამოთქვანებული, პირველ რიგში სიმ-ღერის კილო-საფუძვლის ვარიანტის მხრივ. ამის წყალობით სოლისტის ორტაქტიან მელოდიამთ თავს იჩენს თით-ქმის ყველა ქართული კილო და მათ შორის ლოკრიულიც, რომელიც ამ კონტექსტში ძალიან ბუნებრივად ეღერს.

ასევე ბუნებრივია ჩანს სიმღერის პირველ ორ ტაქტში მოცემული კილო (იხ. მესამე ნაწყვეტი „გარეგახური საკვ-“

* დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 7, 1971 წ.
1. იხ. თ. ჩიჯავაძის „ქართული ხალხური სიმღერები — კა-ხური“, 6, II, გვ. 101.
2. ამ კილოს გვხვდებით გრ. ჩიჯავაძის მიერ ჩაწერილ „სა-თამაშოშიც“ — სხვადასხვა ვარიანტით. იხ. დასახ. კრებულთ, გვ. 407, მე-2-3 და მე-10-11 ტაქტები.
3. საგულისხმოა, რომ ამაღლებული ბგერის (დო-დეიზი) გამოჩე-ნა აძლიერებს მინორულ ელემენტს, ვინაიდან შეიცავს პარამონი-ული (რე) მინორის ნიშნებს.

4 მართალია, აქ მი-ზემოლი დამხმარე ნოტის სახით აიღება, მაგრამ ამას ბგერათარვის დადგენისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დაოდან⁵), რომელიც ყველაზე რადიკალურ გადახრას გვაძლევს სიმღერის ძირითადი მიქსოლიდიური მაჟორიდან⁶. ეს მღეროდა უნიკალური მოვლენა ქართული მუსიკაში. მისი ბგერათრივი (ა, ბ, ც, დეს, ეს, ი, ჯ, ა) შეიცავს სამ სპეციფიკურ ინტერვალს კილოს საყრდენიდან. პატარა სეკუნდას (ლა, სი-ბემოლი), შემცირებულ კვინტას (ლა, მი-ბემოლი) და, ბოლოს, შემცირებულ კვარტას (ლა, რე-ბემოლი). რამდენადაც ვიცით, ამ კილოს არა აქვს სპეციალური სახეობა. ცხადია, არ არის მისაღები თანამედროვე რუსულ სამბუთა მუსიკათმცოდნეობაში დამკვიდრებულ მეთოდს, როცა ყველა კილო დაყვანილი ბუნებრივ მინორ-მაჟორად და აღინიშნება განსაკუთრებული, სპეციფიკური ნიშნით. ასე მაგალითად, ფრიგიული — მინორი დადაბლებული II საფეხურით, ლოკრიული — მინორი დადაბლებული II და V საფეხურით (მაშინ ამ კილოს სახელი იქნება მინორი — დადაბლებული II, IV და V საფეხურებით).

ამრიგად, დიატონური კილოებისათვის, ლოკრიულს ჩათვლით, არის სპეციალური ტერმინები და საჭიროა ამ კილოსაც (რომელიც თავისი ბგერათრივით ძალიან უახლოვდება ჩვეულებრივ დიატონურ კილოებს) ჰქონდეს საკუთარი სახელი.

ცნობილია, რომ ბუნებრივ დიატონურ კილოში ყოველი დადაბლება მინორული ელემენტის მატარებელია. ასე მაგალითად, თუ დი-დან აგებულ მაჟორულ ბგერათრივში გააძლიერებ პირველი ბემოლი (სი-ბემოლი), კილო შეიცვლება მიქსოლიდიურით. მიქსოლიდიური კილო მაჟორულია, მაგრამ ამასიათებს მინორული სექტიმა (პატარა სექტიმა). მეორე ბემოლი (მი-ბემოლი) უკვე საფუძვლიანად ცვლის კილოს, რომელიც იქცევა მინორულ (დორიულ) კილოდ, მაგრამ მას ჯერ კიდევ აქვს ერთი მაჟორული ელემენტი — დიდი სექტა. მესამე ბემოლი (ლა-ბემოლი) უკვე ბუნებრივი მინორის — ეოლიური კილოს ბგერათრივს გვაძლევს.

ამრიგად, მაჟორიდან სამი მინორული ხარისხი გადასა გვაძლევს ჩვეულებრივ გავრცელებულ მინორულ კილოს: მაგრამ მინორული ხარისხები მეტია. თუ კიდევ ერთ ბემოლი (რე-ბემოლი) დავმატებ, კილო მიიღებს ფრიგიულ სახეს. მეხუთე მინორული ხარისხი (სოლ-ბემოლი) უკვე ლოკრიული კილოს ბგერათრივს მოგვცემს. დარჩა ერთადერთი საფეხური, რომლის დადაბლებაც სწორედ ეს თეორიულად — ესაა მე-4 საფეხური. და შეიძლება ეს საფეხურიც დაბალი აღნიშნულ კილოში. ე. ი. ამ კილოს აქვს 6 მინორული ხარისხი შვიდასფეხურიან გაბაში (ტემპერირებული წყობის პირობებში) მეტი შვიდობელია⁶. ცხადია, ამ კილოს აქვს ყველაზე მეტი მინორული ხარისხი, მაქსიმალური 7-საფეხურიანი გამის პირობებში (ამასთან ბოლო ხარისხი რე-ბემოლი თავისთავად ორმაგი სიძლიერისაა, ვინაიდან მანამდე რიგით უნდა დადაბლდეს პირველი საფეხური — დო, ამიტომ ფაქტიურად რე-ბემოლი — უფრო შორეული, მე-7 ხარისხის ნიშნებს შეიცავს). ასეა თუ ისე, აღნიშნული კილოს ყველა საფეხური დაბალია, აქვს მაქსიმალური „მინორული ხარისხი“. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება სახელწოდება რამდენადმე თანამედრო-

ვე სტილში — „სუპერმინორული კილო“. იმისთვის, რომ, ვთქვათ, დო- იონური კილო (ბგერათრივით ემთხვევა დო-მაჟორს) ვაქციოთ „დო-სუპერმინორულ კილოდ“ საჭიროა ნახევარი ტონით დავაბალოთ დარჩენილი ექვსივე საფეხური.



როგორც ვხედავთ, „სუპერმინორული კილო“ მაჟორისათვის პოლუსური მინორული კილია (აღსანიშნავია, რომ იგი ერთგვარად ჰკავს დიატონურ კილოს, არ შეიცავს პარ-მინორული კილოებისათვის დაბანასათებელ გადიდებულ სეკუნდას).

ახლა, როცა ეს კილო აღმოჩნდა ხალხური მუსიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ნიმუშში, გვინდა მოვიგონო ერთი მგლოდია, რომელიც ჩვენს მუსიკათმცოდნეობაში დღემდე უკურადღებოდ იყო მიტოვებული. ესაა დ. არაკიშვილის მიერ 1901 წელს სოფ. სამთავისში ჩაწერილი „ორგვალა“⁷. იგი ემყარება სი-სუპერმინორულ კილოს (სი, დო, რე, მი-ბემოლი, ფა, სოლ, [ლა]).



და არაკიშვილი აღნიშნავს მიუთითებს, რომ ეს სიმღერა სრულდება კალოზე ლუწვის დროს და, სამწუხაროდ, ტექსტის ჩაწერა ვერ მოახერხა. ცხადია, ეს მიმენტი გასათვალისწინებელია — ჩანაწერი სრულყოფილი არ არის. მაგრამ ურადღებს იქცევის ეს გარემოება, რომ სიმღერის არცერთ ნოტს არა აქვს შენიშვნა ამა თუ იმ ბგერის შემამჩნევ მერყობაზე⁸, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გლეს-სი მგლოდია ინტონაციურად მტკიცედ, დამაჯერებლად შეასრულა; ამას კი არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოს. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ კილოს ისევ და ისევ შრომის სიმღერაში შევხვდებით. აქვე შეიძლება მივუთითოთ თ. მამალაძის მიერ ყვარელში ჩაწერილ „კალსპირულუცე“⁹, რომლის ძირითადი კილო სი-ფრიგიულია, მაგრამ დასაწყისში შეინიშნება ერთგვარი მერყეობა და სუსტად გამოვლენილი სახით ჩანს „სუპერმინორული“ კილოს ნიშნები (სი-ფრიგიული კილოდ დროებით ფა-ბგერისა და მი-ბემოლის გამოჩენა).

ამრიგად, „სუპერმინორული“ კილო შრომის სიმღერების განსაკუთრებით სამწინაოქმედო ციკლოდ დაკავშირებული სიმღერების დაბანასათებელ კილოდ მოჩანს. ეს კი მეტად საგულისხმოა, ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში შემწვეულია შრომის სიმღერების ერთი ჯგუფის (მათ შორის ორიველების) განსაკუთრებული მინორული

⁵ სიმღერაში 16 მუსხლა. აქედან მიქსოლიდიური კილო გუნდის პარტიაში ვაკვს თექვსმეტჯივეჯერ, სოლისტის პარტიაში ქ-11-ჯერ (აქედან 3 პატარა სექტა) და დაღარჩენი 5 კილო. არის მინორული (ორი ეოლიური, ერთი ეოლიურ-ფრიგიული).

⁶ ცხადია, I საფეხური ვერ დადაბლდება, რადგან კილოს საფუძველი გამოცელება და შეიცვლება ტონალობის სიძლიერე.

⁷ იხ. არაკიშვილის ტ. V. გვ. 55.
⁸ ასეთი სახის შენიშვნებს და არაკიშვილი მუდამ მიუთითებს. იხილეთ თუნდაც იმავე 55-ე გვერდზე შენიშვნა „პერისო“ შე-სახებ.

⁹ იხ. თ. მამალაძის „შრომის სიმღერები კახეთში“ დამატება გვ. 10.

ელფერი და დიდი სიახლოვე გლოვის სიმღერებთან. გამოთქმულია მოსაზრება მათი გენეტიკური კავშირის შესახებ.¹⁰ დავებრუნდეთ ისევ „გარეკაბურ საქიდაოს“. ეს სიმღერა უნიკალურია ქართულ (და არა მარტო ქართულ) მუსიკალურ ფოლკლორში. ერთია ის, რომ ჩვენ აქ შევხვდეთ ნიკოლოს, მათ შორის სამს, რომელთა შესახებ ქართულ ფოლკლორისტიკაში მითითებული არ ყოფილა. მაგრამ მათგან ის არის, თუ როგორ კონტრაქტში ეს კილოები მოცემული. ამ მხრივ ეკ, ალბათ გამხდომდა ანალოგიური სიმღერის მოძებნა. შევხვედითბაში გვაქვს ის, რომ ამავე სიმღერაში ქართული მუსიკის ყველაზე „უკეთესი“; ორი უკიდურესი მინორული ხარისხის მქონე კილოები — ლოკრიული და „სუპერმინორული“, იქვე დაპირისპირებულია იმავე ტონიკაზე აგებულ მიქსოლიდიურ მაჟორთან, ყველაზე მაჟორულ კილოსთან ქართლ-კახურ დიალექტში.¹¹

ამრიგად, „გარეკაბურ საქიდაოში“ გვაქვს ხალხური სიმღერისათვის უზაგალითო ფერადოვანი კონტრასტი ერთ-ერთ ტონიკის ფარგლებში, ნათელი მაჟორული სახეების დაპირისპირება უკიდურესი მინორული ხარისხის მქონე კილოებთან. აღსანიშნავია, რომ იგივე ნიშნები რამდენადმე მერიტიზებული სახით შეინიშნება ზემოთ განხილულ „სათამაშოში“.

ამ ორ სიმღერაში განსაკუთრებული ძალით შეინიშნება ერთი ტონიკის მქონე სიმღერისათვის დამახასიათებელი მოწინილობა კილო-საფუძვლის მინორლობის ეოლოტიკული ვარიანტების მხრივ, რომელიც სიმღერის ვახეითარების მთავარ ფაქტორად გვევლინება.

ორივე სიმღერაში ფერადოვანი კონტრასტები მოცემულია, ერთი მხრივ, თვით სოლისტების პარტიებით, მეორე მხრივ, სოლისტისა და გუნდის რეფრენს შორის.


ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „გარეკაბური საქიდაო“ ფაქტორად იქვე „სათამაშო“, ორივე ერთი სიმღერის სხვადასხვა ვარიანტია. ასევე ცნობილია ქართლ-კახური საეკვაიფისა („სათამაშოების“) და შრომის სიმღერების მსგავსება. მართლაც, ამ ორი სიმღერის მსგავსება შრომის სიმღერებთან აშკარა. მაგალითისათვის დავასახელოთ იგივე „ლოკრიული“ და „მიჰო, პური შემოსულა“. მათი მსგავსება თითქმის ყოველმხრივია: სტრუქტურულად (სოლისტისა და გუნდის მონაცვლეობა), ინტონაციურად, პარმონიკულად, რიტმულად, მეტრიკულად, ბოლოს, კილო-საფუძვლით, მინორული ელფერის სიჭარბით (რომელიც „მიჰო, პური შემოსულა“-ში არქაული, მარტივი სახითაა მოცემული, დანარჩენ სიმღერებში კი — უადრესად განვითარებული სახით). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, დამწყობთა მელოდიების და, მეორე მხრივ, საუნდო რეფრენთა დიდი ინტონაციური მსგავსება, საერთო ინტონაციური და პარმონიკული საფუძველი.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, მივითვითთ ამ სიმღერებს შორის არსებულ ძალიან ახლო ნათესაობაზე და გენეტიკურ კავშირზეც კი.¹²

დავებრუნდეთ ისევ ლოკრიულ კილოს. ჩვენ მივიტანეთ მისი ორი მაგალითი: სიმღერა „მიჰო, პური შემოსულა“, რომელიც თავიდან ბოლომდე ლოკრიულ კილოში ელფერს, და ერთ-ერთი ვარიანტი „გარეკაბური საქიდაოს“ დამწყობის პარტიიდან. ლოკრიული კილოს ნიშნები ქართულ ხალხურ მუსიკაში ამ ორი მაგალითით არ ამოიყურება; იგი შეინიშნება აგრეთვე ერთხმთან სიმღერებშიც.

ქართულ, უფრო სწორად, ქართლ-კახური ერთხმანი შრომის სიმღერების ჯგუფში — ორიველგებში („გუთნური“, „კალოური“, „იკვერული“) შეინიშნება მინორული კილოს გარკვეული საფეხურების დროებითი დადაბლება. კერძოდ, ფრიგიულ კილოში — V საფეხურისა და ეოლიურში — II და V საფეხურების დადაბლება ნახევარი ტონით, რაც დროებით წარმოქმნის ლოკრიული კილოსათვის დამახასიათებელ ბეგვართვებს, და, ბუნებრივია, უნდა ჩაითვალოს დროებით გადახრად ლოკრიული კილოში.

ამგვარი სიმღერების საინტერესო ნიმუშები მოიპოვება და არაყიშვილის ჩანაწერებში. ერთი მათგანია კახური „კალოური“, რომელიც მოთავსებულია მის I ტომში (გვ. 319).¹³ ამ სიმღერის პირველსავე მუსიკაში (მე-3 ტაქტი) ხდება მესხურ საფეხურის ბეგრის დადაბლება ნახევარი ტონით, რაც მოკლე ხნით წარმოქმნის ლა-ლოკრიულ კილოს.



ამრიგად, მე-3 ტაქტში დროებით ჩნდება მი-ბემოლი და მამასადაზე, იქმნება ლოკრიული კილო თავისი სპეციფიკური შემცირებული კვინტი (ლა, მი-ბემოლი). მართალია, ეს გადახრა ძალიან ხანმოკლეა, მაგრამ ამას არა აქვს გადაწყვეტი მიმიწველობა. შემდეგ ტაქტებში ასეთივე ცვალებადობას განიცდის II საფეხურიც, რომელიც ხან აიღება, როგორც ეოლიური კილოს II საფეხური (სი) და ხან კი, როგორც ფრიგიული კილოს II საფეხური (სი-ბემოლი). ზოგჯერ კი ორივე ერთდროულად გლისანდირების (ხმის დაცურების) სახით არის მოცემული. მსგავსი მერყეობა II საფეხურისა ერთხმან ქართლ-კახურ შრომის სიმღერებში საკმაოდ ხშირია (უფრო მეტად — ოთოველებში, ნაკლებად — ურმულეებში), განსაკუთრებით საკადანსო საქვევებში; ასეთი სახის ფრიგიული კადანსირების წყალობით ორიველა საოცრად სველიანი ხასიათისა. ამავე სახეობის (განწყობილების) გამოძახილია V საფეხურის დადაბლება, რაც ტონალობას კიდევ უფრო ნაღვლიანსა და პირქუსს ხდის.

უფრო მაკაფიოდ ჩანს ლოკრიული კილო ქართლურ „ორიველაში“ (ჩაწერილია დ. არაყიშვილის მიერ 1908 წელს სოფ. არანსში).¹⁴ აქ, ლოკრიული ბეგვართვი უკვე ორჯერ გვხვდება.



10 ამის თაობაზე 1963-65 წლებში მოხსენიებული გვექონდა თბილისის კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის კათედრაზე და შრომა „К вопросу генезиса грузинских трудов песен“.

11 თვსისები წარავადენეთ ანტროპოლოგთა, ეთნოგრაფთა და ფოლკლორისტიკა საერთაშორისო კონგრესზე (მოსკოვი, 1964 წლის აგვისტო).

12 უფრო „ძლიერი მაჟორი“ — იონური ქართლ-კახეთში არ არის გავრცელებული.

13 ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ ფაქტს, რომ სწორედ ამ ორ მონათესავე სიმღერაში აღმოჩნდა ლოკრიული კილო.

13 იხ. გრ. ჩხიკვიძის „ქართული სიმღერა“, ტ. I. გვ. 252.

14 იხ. არაყიშვილის ტ. V, გვ. 96, № 3.



ორივე ნაწყვეტში ძალიან რელიეფურად ჩანს ლოკრიული კილოს ბგერათრივი და ყველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ამ სიმღერას ლოკრიული კილო ისევე ახასიათებს, როგორც ეოლიური და ფრიგიული.¹⁵

საერთოდ, ოროველას ახასიათებს ძალიან სველიანი მელოდია; იგი ემყარება მხოლოდ და მხოლოდ მინორულ კილოებს; ხანც ყველაზე ნათელი კილოა ეოლიური (არ იხმარება დორიულიც კი!). ამასთან ეოლიურია ოროველას ძირითადი კილო-საფუძველი, მაგრამ ეს შედარებით ნათელი მინორული კილო განსაკუთრებული, მკვეთრად ფრიგიული და აგრეთვე ლოკრიული ინტონაციების წყალობით, ძალიან ნაღლიან იერს ღებულობს.

ამრიგად, ოროველაში ჩვენ გვხვდებით ქართულ სიმღერის ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელ კილოს ცვალებადობას ერთ ტონიკაზე, რის შედეგადაც მთავარი მქოლიური ხაზი ტარდება ხან ეოლიურ კილოში, ხან ფრიგიულში და ზოგჯერ — ლოკრიულში.

ლოკრიული კილო ოროველასთვის დამახასიათებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ლოკრიული კილოს გამოჩენა ზემოთ მოტანილ ნაწყვეტებში და, საერთოდ, სიმღერაში, არ აღიქმება რაღაც უწყველო მოვლენად; იგი ძველს ძალიან ბუნებრივად, ქართულად, რაც თავისთავად საველისსმოდ ფაქტია. ამრიგად, ლოკრიული კილოს დროებითი გამოჩენა ეოლიურ შრობის სიმღერებში არ შეიძლება ჩათვალოს რაღაც „არაბუნებრივ“ გამოჩენად, რომლის საფუძველზე დასკვნის გამოტანა სარისკო იყოს.

ჩვენს ხელთ არსებული ლოკრიული კილოს ხუთი მაგალითი (ი.ბიჭო, პური შემოსულა¹⁶, ორი მუხლი არანისში ჩაწერილი „ოროველადან“, ერთიც კახური „კალოურიდან“, აგარეკახური საჭილოს¹⁷ ბოლო სტროფი) სრულიად უეცრიანობის ხდის იმ ფაქტს, რომ ლოკრიული კილო დამახასიათებელია ქართული ხალხური მუსიკისათვის.

შეიძლება სხვა საბუთების მომველიებაც. ქართულ ფოლკლორისტიკაში თავიდავე იქნა შემჩნეული (დ. არაყშვილი), რომ ხალხურ სიმღერებში ადგილი აქვს გარკვეული საფეხურების შესამჩნევ მერყობას და დაბლებების, ან ამაღლებებისაკენ.¹⁶ მინორული კილოს მქონე სიმღერების შემოწმებამ მოგვცა საინტერესო შედეგი. აღმოჩნდა, რომ ფრიგიული კილოს სიმღერებში ხდება

V საფეხურის ოდნავი დადაბლება და ეს ზოგჯერ სრული და დაბლების წინამორბედაა (რაც წარმოქმნის ნამდვილ ლოკრიულ კილოს). ასევე ეოლიურ კილოში ზოგჯერ მერყობის და დაბლებისაკენ II და V საფეხურები; ესეც ლოკრიული კილოს გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ.

მაგალითად, დ. არაყშვილის მიერ სოფ. არანისში ჩაწერილ ორივე ოროველაში¹⁷ მითითებულია ცალკეული ბგერების ოდნავ და დაბლებაზე. კერძოდ № 3 ოროველაში, რომელიც ფრიგიული კილოში შესრულა გლეხმა, ერთგან მითითებულია (მეოთხე სტრიქტების პირველი ტაქტი), რომ ბგერა მი (ე. ი. კილოს V საფეხური) ოდნავ დაბლა ძვდეს. მხოლოდ ორიველაში (№ 4), რომელიც ეოლიურ კილოშია ჩაწერილი, მითითებულია, რომ პირველი მუხლის მე-5 ტაქტში ბგერები და მი (ე. ი. II და V საფეხური) ოდნავ დაბლა ძვდები.

ორივე შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ბოლომდე გაუმჯდარებული ლოკრიული კილოს ნიშნებია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მერყეობა ნებისმიერ, სუბექტურია. სხვა შესრულებაში (ან სხვა დროს შესრულებაში) ეს ბგერები შეიძლება უფრო მეტად მიუხაზოდეს ნამდვილ დაბალ საფეხურს, ე. ი. და დაბლებს სრული (ან თითქმის სრული) ახავერი ტონით. ეს კი მოგვცემდა ლოკრიული კილოს სპეციფიკურ ინტერვალებს (პატარა სვეკუნდას და უმცირესულ კვიზას). თუ ამ მდომილებს შევასრულებთ ასეთი ლოკრიული ვარიანტით, ისინი ბუნებრივ იერს ოდნავადაც არ დაკარგავენ. პირველ „ოროველაში“ („გეონურში“) ასეთი „ბოლომდე გამჯდარება“ ორჯერ მოხდა და წარმოქმნა ფრიგიული მქოლიის ლოკრიული ვარიანტი (ორივე მაგალითი ზემოთ მოვიტანეთ).

ამრიგად, სრული საფუძველი ვგვაქვს, რომ აღნიშნული სახის მერყეობა, მისწრაფება და დაბლებისაკენ ფრიგიულ (V სავ.) და ეოლიურ (II-V სავ.) კილოში მივიჩნიოთ ლოკრიული კილოს ნიშნების სუსტად გამოვლენილ, ბოლომდე გაუმჯდარებულ სახედ.

ქართულ ხალხურ საფეხურ სამხიან სიმღერებში ძალიან გავრცელებულია სიმღერის დამთავრება მიქსოლიდური კილოს III საფეხურზე შემდეგი პარმონიული სტოლი — I-II-III (სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია „ფრიგიული კადანისი“ სახელით).

ასეთი საკადანო საცეკვი საკამოდ ხშირად იხმარება აღმოსავლეთ საქართველოს საფუნდო სიმღერებშიც, განსაკუთრებით ქართლში (შეიძლება დაეასახელოთ „წიაცვა-წის თამარ ქალი“, „შვეკრათ წითელ-წითელი“, „გაგრული მრავალგამიერ“, „აი და წიაცვალგამიერ...“). და ნაკლებად-კახეთში („მუშლი მუხასა“, „გლესამ და გლესამ“).

ეს საკადანო საცეკვი თავისთავად ატარებს მოდულაციის ნიშნებს. ამის თაობაზე პროფ. შ. ასლანიშვილი წერს: „ფრიგიულ კადანს მოდულაციური მნიშვნელობაც აქვს. ფრიგიული კადანის თავისთავად შეიცავს ფრიგიული კილოს დამახასიათებელ ინტონაციებს (ეგულისხმება პატარა სვეკუნდის ე. წ. „ფრიგიული სვეკუნდის“ ინტონაცია, მ. ტ.)... ამიტომ ფრიგიული კადანის უნდა განვიხილოთ, როგორც კილოს მოდულაცია III დამოკიდებული¹⁸ საფეხურის კილოში“¹⁹.

17 იხ. არაყშვილი, ტ. V, გვ. 96, № 3 და № 4.

18 სტამბური შედომბა, — უნდა იყოს — „დამოუკიდებელი“.

19 იხ. შ. ასლანიშვილი „ქართლ-კახური ხალხური საფუნდო სიმღერების პარმონია“, გვ. 101.

ამის დამამტიკეებელ საბუთად მოტანილია ამ კადანსის შემდეგი ნიმუხები: დამთავრდა უნისონო, ძლიერ დროსზე, რიტმული ხაზგასმულობა:

„III საფეხურის დამოუკიდებელი ხასიათი მსგავს დაბოლოებებში ხაზგასმულია რიტმულად და უნისონური ბეგრადობით. კადანსური უნისონი თავს იჩენს ტაქტის ძვიერ დროსზე“²⁰

ამ მოსაზრებებს უთუოდ უნდა დაეთანხმო. ასეთი კადანსის დროს მიქსოლიდური კილოს III საფეხური მარულაჟ შეიცავს მეტ ნიმუხებს, ვიდრე უბრალოდ დამთავრება მესამე საფეხურზე. ამ კადანსს აქვს ძალიან მიახსნაწარფული სიმართლა III საფეხურისაკენ (ხშირად წინა, II საფეხურზე ძალიან არის ხაზგასმული), სადაც უნისონში თავს იყრის სამივე ხმა (ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია) მით უმეტეს ტაქტის ძლიერ დროსზე, რიტმულად ხაზგასმული დიდი გრძობის ნოტიო;

ამრიგად, „ფრიგიული კადანსი“ შეიცავს მოდულაციის მომენტებს და, გარკვეული აზრით, შეიძლება გახსილულ იქნას, როგორც მოდულაცია III საფეხურის კილოში. მაგრამ მიქსოლიდური კილოს III საფეხურთან აგებული კილო ლოკრულია.

ამის თანაზე შ. ასლანიშვილი წერს: „ფრიგიული კადანსის დროს, „ნარჩენი შთაბეჭდილების გამო“ შეიძლება ვივლოდისმით ლოკრული (ჰიპოფრიგიული) კილო. მართლაც, III საფეხურზე შეჩერება მიქს. F-ში (ა-ზე) რჩება ნოტა es-ის კვალს და მაშინ ნოტა a თითქოს შემდეგ ბეგრადობით შემავალი ბეგრადი: a, b, c, d, es, f, g, a, — ლოკრული კილო. მაგრამ როგორც მუსიკის მთელი ისტორია ცხადყოფს, რომ კილო, რომლის I საფ. შეიცავს შემც. კვინტას, არასოდეს ყოფილა ხშირებაში“ (ხაზი ჩვენსა, მ. ქ.)²¹

ამიტომაც, პატ. ავტორის აზრით, მიქსოლიდური კილის მესამე საფეხურზე აგებული მცირე სეკუნდის დამახასიათებელი ჟღერადობა უნდა ჩაითვალოს ახალი კილოს I და II საფეხურებს შორის წარმოქმნილ „ფრიგიულ სეკუნდად, რაც ფრიგიულ კილოში გადასვლის საბაზს წარმოადგენს“.

აქ კარგად ჩანს, თუ რატომ ეწოდება ამ კადანსს ფრიგიული. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი საბუთები მოწმობენ, რომ ლოკრული კილო სიცოცხლისუნარიანია და მისი ასებობა ქართულ მუსიკაში უცილობელი ფაქტია. ამიტომ ძნელია დაეთანხმო ასეთ კატეგორიულ განცხადებას. მით უმეტეს, რომ ამას მუსიკის მთელი ისტორია არ ცხადყოფს. მაგალითად, შოსტაკოვიჩი ხშირადს მინორულ კილოებს: 1. დადაბლებული II და V საფეხურებით, 2. დადაბლებული კვინტით, 3. დადაბლებული II-IV-V საფეხურებით და ა. შ.

შემცირებული კვინტის ინტონაცია საკმაოდ ხშირად გამოყენება ხალხურ მუსიკაშიც, მაგალითად, სომხურში. აქ დამახასიათებელია დორიული კილო დადაბლებული V საფეხურით (შეიცავს გადიდებულ სეკუნდას V და VI საფეხურებს შორის და დორიული-დადაბლებული IV საფეხურით (შეიცავს გად. სეკუნდას ინტონაციას IV-V საფეხურებს შორის)²² და ა. შ.

ლოკრული კილო ფიქსირებულია აგრეთვე ისურ და აზერბაიჯანულ ხალხურ მუსიკაშიც.

ცხადია, პატ. ავტორი ამ კატეგორიულ განცხადებაში გულისხმობდა მხოლოდ ხალხურ მუსიკას და საკუთრე ლოკრული კილოს, მაგრამ, როგორც დაინახეთ, არც ეს აღმონიანდა მართებული.

ლოკრული კილოს წინააღმდეგ აქ ერთადერთი არგუმენტია — მას არასოდეს ჰქონია და არც შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილმა საბუთებმა, ფეიქრობ, დადასტურეს ამ ბრალდების უმართებულობა. ამრიგად, არავითარი საფუძველი არა გვაქვს მიქსოლიდური კილოს III საფეხურზე ლოკრულის მაგივრად ფრიგიული კილოს ნიმუხები დაინახოთ. მიქსოლიდური კილოს III საფეხურზე აგებული ბეგრადობრივი ლოკრულია და, ცხადია, ატარებს ლოკრული კილის ნიმუხებს.

ქართული ხალხური მუსიკიდან შეიძლება მოტანილ იქნას არაერთი მაგალითი, რთაც უცილობლად მტკიცდება, ერთი მხრივ, ის, რომ ე. წ. „ფრიგიული კადანსი“ შეიცავს მოდულაციის ნიმუხებს მიქსოლიდური კილოს III საფეხურის ტონალობაში და, მეორე მხრივ, ამ III საფეხურზე აგებული კილო არის ლოკრული და არა ფრიგიული.

მოიკვანთ ერთ-ერთ მაგალითს — დ. არაყიშვილის მიერ სოფ. ვაქერში 1901 წელს ჩაწერილ „მუშურს“²³, რომელშიც განსაკუთრებით კარგად ჩანს ორივე მომენტი: მოდულაცია მიქსოლიდური კილოს III საფეხურის კილოში და ამ საფეხურზე წარმოქმნილი ახალი კილოს ლოკრული საფუძველი.

ა. ხა. ევს და მ. ხი. ა. ხა. ლე. ბი. ვვ
 ვი ხა. ევს. ბი. ვვ. ხი. ა. ხა. ლე. ბი. ვვ
 ბი ვვ. ბი. ვვ. ხი. ა. ხა. ლე. ბი. ვვ. ხი. ა. ხა. ლე. ბი. ვვ
 ბი. ვვ. ხი. ა. ხა. ლე. ბი. ვვ. ხი. ა. ხა. ლე. ბი. ვვ

სიმღერის ძირითადი კილო არის ფა-მიქსოლიდური; ბოლო მუხლში ხდება მოდულაცია სოლ-მიქსოლიდურში, მაგრამ მაღლებ უბრუნდება ძირითად ტონალობას (ბოლოდან მე-5 ტაქტი) და მთავრდება ცნობილი საკადანსო საქცევით — I-II-III.

²⁰ იქვე, გვ. 100.
²¹ იქვე, გვ. 101.
²² Комитас — Армянские народные песни и пляски, т. II, 1950 г., Ереван, № 67 და № 53.

²³ იხ. ატ. ტ. V, გვ. 113.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ აღნიშნული კადანის პირველ ორ შემთხვევაში (მე-5-6 და მე-10-12 ტაქტები). ორივეჯერ გვაქვს მოდულაცია III საფეხურის კილოში, ორივეჯერ მუსიკალური წინადადება ერთდაგივე წესით მთავრდება მიქსოლიდიური კილოს III საფეხურზე. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს შესაბამისი ფეხური (ბეგრა ლა) იქნეს ტონიკის ძლიერ ნიშნებს. იგი ძლიერს ატარებს სასარგებლოდ, გაკუმულად და მანინაც იმარჩუნებს ტონიკურ ფუნქციას, როცა მაღალი ხმა იწყებს ახალ მუსულს. ამ დროს ბანში შენარჩუნებული ახალი ტონიკის ხაზზე მტკიცებით და ლოკირული კილო, ბეგრათრით — a, b, c, d, es, f, g, a. ამრიგად, ამ სიმღერაში და-ლოკირული კილოს არსებობა არავითარ გეგმს არ იწყებს; მისი შენარჩუნება ხდება საკმაოდ დროის მანძილზე, დასტურდება უდავო „ნივთიერი საბუთებით“ (გაქმნილი ბურღონული ტონიკური ბეგრის ფონზე მულტიდიური ხაზის გამლა ლოკირული კილოს ბეგრათრიკის ფარგლებში).

ამ მაგალითის საფუძველზე, ერთი მხრივ, მტკიცდება, რომ სწორია პროფ. შ. ასლინიშვილის დებულება, რომ კადანსი I-II-III შეიცავს მოდულაციის ნიშნებს მიქსოლიდიური კილოს „მესამე დამოუკიდებელი საფეხურის კილოში“, მაგრამ არ დასტურდება მეორე მისაზრება, რომ ეს არის მოდულაცია მიქსოლიდიური კილოს III საფეხურიდან აგებულ ფრიგიულ კილოში. როგორც დავინახეთ, ეს აღმოჩნდა მოდულაცია მიქსოლიდიური კილოდან III საფეხურზე აგებულ პარალელურ კილოში — ლოკირულში და არავითარი საფუძველი არა გვაქვს შევეცვალოთ იგი უფრო უნებრით, მისაღები კილოთი — ფრიგიულით.

ამრიგად, მიქსოლიდიური კილოს III საფეხურზე აგებული კილო ლოკირულია. კადანსს, ამ III საფეხურზე რომ ბოლოვდება, მივყავართ ისეთი კილოსაკენ, რომელიც შეტყობება გამოვლენილი სახით შეიცავს ლოკირული კილოს ნიშნებს.

ახლა, როცა დავრწმუნდით, რომ ლოკირული კილო უფლებამოსილი, სიცოცხლუნარბანი კილოა და მისი არსებობა ქართულ ხალხურ მუსიკაში უცილობელი ფაქტია, შეიძლება დაისვას საკითხი მისი სრული „რეაბილიტაციის“ შესახებ.

პირველ რიგში, უნდა შევეცადოს კადანსის I-II-III სახელწოდება.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მიქსოლიდიური კილოს III საფეხურზე აგებული კილო ლოკირულია და სწორედ აქეთკენ მივყავართ აღნიშნულ საკადანსო ქვევას. ამიტომაც მიზანშეწონილია მას „ფრიგიული კადანსის“ მაგივრად წავსვათ „ლოკირული კადანსი“.

რაც შეეხება გავრცელებულ ტერმინს — „ფრიგიული სკუნდა“ იგი, ფრიგიული კილოსათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ინტონაციის (პატარა სკუნდა I და II საფეხურების შორის) აღნიშვნელად უნდა დარჩეს (ანალოგიურად „დორიული სკესტისა“, „ლიდიური კვირტისა“, „მიქსოლიდიური სეპტიმისა“ და „ლოკირული კვირტისა“). მაგრამ მისი ხმარება ლოკირული კილოს I და II საფეხურების შორის წარმოქმნილი პატარა სკუნდისათვის არ იქნება სწორი. თუ აუცილებლობა მოითხოვს ისევ „ლოკირული სკუნდა“ უნდა ვიხმაროთ.

„ფრიგიული სკუნდა“ შეიძლება ერქვას მხოლოდ ფრიგიული კილოს I და II საფეხურების შორის არსებულ მეორე სკუნდას, ისევე როგორც, დორიული სკესტისა იქნება მხოლოდ ის დიდი სკესტა, რომელიც არის დორიული კილოს I და VI საფეხურების შორის და არა, ვთქვათ, მიქსოლიდიური კილოს I და VI საფეხურების შორის არსებული სკესტა. — თუმცა ესეც დიდი სკესტაა. ამა თუ იმ კილოს სპეციფიკური ინტერვალის სახელწოდება დამოკი-

დებულია არა თვით ინტერვალის ხარისხობრივ (ტონურ) სიღრმეზე, არამედ სასპეციფიკო კილოებზე კონტექსტზე, რომელზეც იგი არის მოცემული.

ამრიგად, ლოკირული კილოს ნიშნები ქართულ ხალხურ სიმღერაში შეინიშნება საკმაოდ ძლიერად — ა) როგორც დროებითი კადანის სახით, ბ) შენებლობით, ბოლომდე გაუმქლავებელი სახით, გ) მიქსოლიდიური კილოს III საფეხურის, „ლოკირული კადანის“ შემეფიქებით კილოს მოდულაციის სახით და დ) სუფთა სახით („იტი პური შემისულა“).

ფიქრობთ, ეს საკმაო საბუთებია იმისათვის, რომ ლოკირული კილო ქართული ხალხური სიმღერის დამახასიათებელ კილოდ გამოვაცხადოთ.

აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ ლოკირული კილო აღმონდა ქართულ საკულტო გალობაში — იქ, სადაც მისი არსებობა წარმოდგენილი ჩანდა.

აი, ერთი ნაწყვეტიც: „ამინ“ — დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილი ლიტურგიიდან „იოანე ოქროპირის წესი“²⁴



ამ საგალობლის ძირითად კილოდ უნდა ჩაითვალოს სი-ლოკირული, რომელიც, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ არის გამოყენებული. მართალია, აქ ერთგვარ სიმკარეს აღწევს VI საფეხური — სოლ, რომელიც სუსტად გამოვლენილ მიქსოლიდიური კილოს ნიშნებს ატარებს (იხ. მე-4-5 ტაქტები), მაგრამ ნაცნობი საკადანსო სკესტი — ლოკირული კადანსი“ (იგი ასევე შეიძლება ჩაითვალოს მეორე კიდევ უფრო გავრცელებულ საკადანსად VI-VI-I) საბოლოოდ აღადგინს საწყისი ტონალობის — სი-ლოკირულის ტონიკას, ხაზს უსვამს ამ უკანასკნელის პირობიტეტს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზეც, რომ ამ საგალობლის კილო ატარებს ხალხური ლოკირული კილოს თვისებებს — მასში საკმაოდ ნათლად შეინიშნება IV და VI საფეხურების შედარებითი ხაზგასმა, რაც მეტად საკულისხმია, რადგან ქართული ფრიგიული და ლოკირული კილო ძირითადად პლაგალურ პარმონიულ ცენტრებს (I-IV-VI) ეყრდნობა.

თუ ვაითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ეს ზემოთ მოტანილი საგალობელი სრულიადაც არ აღმოჩნდა გამონაკლისი, მაშინ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ლოკირული კილო ქართულ გალობაში, ე. ი. ძველ ქართულ პროფესიულ მუსიკაში გავრცელებულ კილოდ უნდა ჩაითვალოს.

ლოკირული კილო ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკის დამახასიათებელი კილოა.²⁵

²⁴ იხ. არაყიშვილი, ტ. I, გვ. 338, № 8. „ამინ“ და იქვე სხვა საგალობლებიც — № 3, 5, 7.

²⁵ ლოკირული კილო შეინიშნება სხვა კუთხისა და სხვა ძვარის სიმღერებშიც. მაგ., მოილეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმღერა — „ქაბაის წინას“ (იხ. არაყიშვილი, ტ. V, გვ. 187), რომელიც შეინიშნება გამოყენა შ. მშვეილიძე, ა. ლ. არაგული და ა. ფრიგიული კილოების დაპირისპირებაზე აგებული (ამ სიმღერაზე მიმართა, ფოლკლორისტიკა გვ. კობონიძემ, რისთვისაც მადლობას მოგახსენებ).



მხატვართა ნამუშევრების გამოფენა ბართაშვილის ზიდის საექსპოზიციო დარბაზში

სამხრეთ კლუბის თვითმკვლელობა

თამარ გომართელი

პარბა ხანი, რაც თბილისის პლეხანოვის სახელობის კლუბის საბავშვო სექტორთან ჩამოყალიბდა ჭარბულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი ნიჭიერი ლობჯინაძის მერი ვეფხვაძის ხელმძღვანელობით. მერის შემოქმედებითი გზა ოთხი ათეული წლის წინ დაიწყო ბათუმში, აჭარის სახელმწიფო კაპელაში, რომელსაც მელიტონ კუხიანიძე ეღვა სათავეში. საკუნდო-სადიდიორო კურსების დამთავრების შემდეგ მ. ვეფხვაძეს იწვევენ აჭარის ასრ სახელმწიფო გუნდში ხალხური ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელად.

მ. ვეფხვაძე პირველი ლობჯინაძის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობასთან ერთად იგი იწვევს პედაგოგიურ მოღვაწეობას. ხელმძღვანელობს თვითმოქმედი კოლექტივების — მასწავლებელთა სახლის მუსიკალურ საკრავთა ანსამბლს, „აჭარპროფკავშირის“ მუშა-მოსამსახურეთა გუნდს, აჭარის რადიოკომიტეტის მერონგურე ქალთა ანსამბლს; ასწავლის მუსიკას ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, პედაგოგიურ სასწავლებელსა და სასკოლო მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებში.

დიდი სამამულო ომის დროს აჭარის ასრ სახელმწიფო ფილარმონია აყალიბებს სიმღერისა და ცეკვის ახალგაზრდულ ანსამბლს, რომლის ლობჯინაძე და ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელად იწვევენ მ. ვეფხვაძეს. ამ ანსამბლმა მთელი საქართველო მოიარა. სამამულო ომის მძვინვარე დღეებში იგი კონცერტებს მართავდა ფრონტზე, სავლეთ პოსპიტლებში, რისთვისაც მ. ვეფხვაძე დაჯილდოვდა აჭარის ასრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებითა და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

1950 წლიდან მ. ვეფხვაძე თბილისში სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობს პირველი ინჟექციური საავადმყოფოს გუნდს, პირველი მაისის რაიონის მედიცინის მუშაკთა გაერთიანებულ ანსამბლს (რომელმაც წარმატებით ჩაატარა კონცერტები ლენინგრადში), მეორე საავადმყოფოსა და რკინიგზის სამგზავრო სადგურის გუნდს; იგი მუშაობს კომუნალური მეურნეობისა და ცეკვაშირის



ქეთევან მოკვა

ანსამბლში. მანვე კომუნალური მომსახურების კულტურის სახლთან შექმნა ვეფხვაძეების ვოკალური კვარტეტი.

ნიჭიერმა ლტბარმა პლენანოვის სახელობის კლუბში მუსიკით გატაცებული 25 ახალგაზრდა შემოიკრიბა. ამ კოლექტივს უკვე მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს. ანსამბლის წევრები ასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერებს, ქართველ კომპოზიტორთა: ცინცაძის, კოკელაძის, შაველაშვილის, ფიცხვერაშვილის, ლალიძის, მილორაგას ნაწარმოებებსა და თვით მ. ვეფხვაძის მიერ დამუშავებულ სიმღერებს.

ახალგაზრდული ანსამბლი ხშირად მართავს კონცერტებს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მსმენელებისათვის. გასულ წელს მათ კონცერტს დაესწრნენ საფრანგეთიდან ჩამოსული სტუმრები. ისინი გულთბილი ტაშით ხვდებოდნენ ყველა გამოსვლას. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ხალხურ საკრავთა ანსამბლის მიერ შესრულებულ „სულუკოს“. სტუმრებმა მონაწილეებს სამახსოვრო სამკერდე ნიშნები გადასცეს.

თავისი არსებობის მანძილზე ანსამბლი მხატვრული თვითმოქმედების ყველა სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკური დოვლიერების მონაწილე იყო და ყოველთვის საბრძოლო ადგილზე გამოდიოდა. მ. ვეფხვაძე კი ხანგრძლივი პედაგოგიური მუშაობისათვის დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

თვითმოქმედი ანსამბლის შემოქმედმა დღითიდღე საინტერესო ხდენდა, მაღლდება სამუსრულებლო დონე, ფართოვდება რეპერტუარი.

პლენანოვის სახელობის კლუბში აღზრდილი მოსწავლეები ხშირად სწავლას განაგრძობენ მუსიკალურ და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლებში საესტრადო და საგუნდო მუსიკის განხრით. მენ საშუალო სკოლის მოსწავლე ციალა იანტბერიძე ამჟამად ფილარმონიის ორკესტრის „სცინციათელაში“ მღერის და ამასთან ერთად ასწავლის ქართულ ხალხურ საკრავებზე დაკვრას. მწვენივე და დიდგულა ქართულ ხალხურ საკრავებს თამარ დეკანოზიძე, რომელიც მხარში უდგას მ. ვეფხვაძეს. ლტბარში მ. ვეფხვაძე წარმატებით ხელმძღვანელობს აგრეთვე ანსამბლებს სკოლებსა თუ დაწესებულებებში, რომლებიც გატაცებით ემზადებოდნენ საბჭოთა საქართველოს წარსულისათვის.

1924-1925 წლებში ნაძალადევის კლუბში (ამჟამად პლენანოვის კლუბი) ცნობილი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის ალექსი ალექსიძის ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა ქართულ ქორეოგრაფიულ წრეს.

ალ. ალექსიძე იმ პიონერთაგანია, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევეს ეწეოდა ქართული საცეკვაო ხელოვნების პროპაგანდის როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

მან დიდი შემოქმედებითი მუშაობა გასწია პლენანოვის სახელობის კლუბშიც: ერთ-ერთმა პირველმა დადგამსობრივი ცეკვები და დამტკბები, ქართლ-კახური ფერხლები, ცეკვა „ქართული“.

როგორც პედაგოგი და ქორეოგრაფი ალ. ალექსიძე თავის მოსწავლეებს უღვივებდა პატრიოტულ დამოკიდებულებას, სიყვარულს ქართულ კულტურისა და საცეკვაო შემოქმედებისადმი. იგი კარგ მოცეკვავეებთან ერთად ქორეოგრაფებსაც ზრდიდა. მისი აღზრდილები არიან ცნობილი მოცეკვავეები და ქორეოგრაფები ილიკო სუხიშვილი და ჯანო ბაგრატიონი, კონსტანტინე და გრიგოლ

ვალა საჯაია და გიორგი პოლოსოვი ბავშვთა ქორეოგრაფიული წრის წევრებთან.





ლოტბარი შერი ვევერკაძე
(ცენტრში) ქართული ხალხური
საკრავების წრის წევრებთან

ჩივადემბრი, ალექსანდრე ჩახავა, დი-
მიტრი მანტაკავა, გიორგი გავაშელი
და ალექსი შადური.

ა. ალექსიძის წახვლის შემდეგ
ქორეოგრაფიულ ანსამბლს სათავეში
ჩაუდგა სახელგანთქმული ქორეოგ-
რაფი ჯანო ბაგრატიონი, რომელიც
ქართული ცეკვების შესანიშნავი შეს-
სრულებით წლების მანძილზე აღა-
ფრთხოვანებდა მასყარებელს. მან ან-
სამბლის მუშაობას თავიდანვე საფუ-
ძვლად დაუდო ხალხური ცეკვის სიწ-
მინდე და ბუნებრიობა. იგი ახალმო-
სულეს საფუძვლიანად უხსნიდა ცე-
კვის ბუნებას, მოძრაობის თავისებუ-
ლებებს, ეყნობოდა თითოეული მო-
წაწილის შესაძლებლობებს და ინდი-
ვიდუალური ფიზიკური მონაცემების
მიხედვით წვრილიდა მათ.

ამ წრეში აიდეკეს ფიზი შემდეგში
ცნობილმა მოცეკვავეებმა: მათ შო-
რის რესპუბლიკის დამსახურებულმა
არტისტებმა — მიხეილ შუბაშვილი-
მა და ვანო მერაბიშვილმა.

ჯ. ბაგრატიონის შემდეგ მისი საქ-
მე განაგრძეს გრიგოლ და კონსტან-
ტინე ჩივაჭიძეებმა. მათ აღზარდეს სა-
ხელმძღვანელო მოცეკვავეები: რე-
ზერტ და ნოდარ თარგამაშვიტი, ძმები
ქორიძეები და ქორეოგრაფი მიხეილ
ბაჩტაძე.

1932 წელს გრიგოლ ჩივაჭის ხელ-
მძღვანელობით პლუხანოვის სახელო-
ბის კლუბში იხსნიება ქართული ხალ-
ხური ცეკვების შემსწავლელი წრე.

ზეორის პედაგოგიურ მოღვაწეო-
ბაში აღსანიშნავია გულრძისმირი
დამოკიდებულება აღსაზრდელებისა-
ნადმი. იგი მოწოდებდა უმაღლეს პო-

ულობდა საერთო ენას და მათ სიყ-
ვარულს იმსახურებდა.

გ. ჩივაძე ჰაბუკური გზებითა და
ენერგიით ემსახურებოდა საყვარელ
ხელოვნებას, მონდომებით გადასცემ-
და თავის გამოცდილებასა და ოსტა-
ტობას ახალგაზრდა თაობას. განსა-
კუთრებით გამოირჩეოდა ცეკვა „ქა-
რთულის“ ახალგაზრდა შემსრულე-
ბელი მარტე გომიძევილი. ამ დროს
იგი შთაგონებით ასრულებდა აგრეთ-
ვე ცეკვა „თეირანულს“, „უსუნდარ-
ას“. მიხეილ ბაჩტაძესთან ერთად
ცეკვადა „იეზიდურს“. მარტე გომი-
ძევილი არა მარტო ცეკვადა, არა-
მედ მღეროდა კიდეც. შემდეგში სიმ-
ღერებისადმი სიყვარულმა გადაძ-
ლია და მარტე სიმღერით აკად-
უნობლიო მსოფლიოს მრავალ ჭეჭა-
ნაში.

პლუხანოვის სახელობის კლუბის
ცეკვის წრეში მონაწილეობდა მიხე-
ილ ბაჩტაძე, რომელიც ჯერ ასისტენ-
ტი იყო, ხოლო 1938 წლიდან კ. ჩი-
ვაძის შემცველი. კლუბის გამგეო-
ბის დავალებით მ. ბაჩტაძემ შექმნა
ბავშვთა ანსამბლი მდიდარი რეპერ-
ტუარი: „ქართული“, „მოთულური“,
„ფერხული“, „ხორუმი“, „სებანური“,
„აჭარული“, „აფხაზური“, „ხევსუ-
რული“, „სამაია“, საბავშვო ცეკვები
— „ლახტი“, „დიდ შესვენებაზე“,
„სკოლის ესო“.

ანსამბლი ერთადერთი იყო თბი-
ლისში და დიდ მოწონებასაც იმსა-
ხურებდა. იგი წლების მანძილზე იმა-
რჯეობდა ოლიმპიადებზე. შემდგომ
აქ აღსაზრდელების ნაწილი ხალხური
ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ჩაი-

რიცხნენ. შემსრულებელთა შორის იყ-
ვნენ რესპუბლიკის დამსახურებული
არტისტები: გიორგი სიმონიშვილი,
გივი გოჯორიშვილი, ამირან სალუქა-
შვილი, ანზორ ბუაძე, თათარ ნასყი-
დაშვილი, თამაზ ტალახაძე, ვახტანგ
ნინიძე, ნოდარ გიორგაძე, თენგიზ
სოლომონიშვილი. ნიჭიერი მოცე-
კავეები: მურმან თევზაძე, ნოდარ
კლდიაშვილი, თათარ არჯვანიძე
(მსოფლიო ახალგაზრდობის მეთოხე
ფესტივალის პირველი ლაურეატი),
იური რატაიანი, მიხეილ მაისურაძე,
აკაკი კიკელიშვილი; ქორეოგრაფი-
ები: რესპუბლიკის დამსახურებული
არტისტები — თათარ პაპაშვილი,
ვასო მამრიკიშვილი, გივი დაცაბიძე,
თათარ კალანდაძე, ბესიკო სვანიძე,
ზინადე კერესელიძე, მიქაილ კალან-
დაძე, გურამ საკანდელიძე, ვაჟა აბა-
შიძე და სხვ.

ანსამბლი კონცერტებს მართავდა
საქართველოში, სომხეთსა და აჭერ-
ბაიჯანში, რამდენჯერმე მიწვეული
იყო მოსკოვშიც, სადაც რკინიგზე-
ლის დღისადმი მიძღვნილ კონცერტ-
ზე პირველი ხარისხის დიპლომი და-
იმსახურა.

ხელოვნების დამსახურებულ მო-
ღვაწეს ქორეოგრაფ მიხეილ ბაჩტა-
ძეს საპატიო მოვალეობად მიანჩნა
მთცეკვავეთა აღზრდა. მისი დაუღა-
ლავი და თავადებული შრომის შე-
დეგია ჩვენში მრავალი ქორეოგრაფი-
ული წრისა და ანსამბლის არსებო-
ბა.

სამამულო ომის წლებში (კერძოდ
1942-43 წწ.) თბილისის საკლუბო
პოსპიტლებად, ხოლო კლუბები ვე-

კურირებულთა თავშესაფარად გადაკეთდა. თითქმის ყველა კლუბმა, გარდა პლენარების სახელობისა, შეწყვიტა მუშაობა. აქ მძიმე პირობების მიუხედავად მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობდა.

მოცვეკვავითა ბრიგადის ძირითადი მიზანი იყო პოპიტლევის, სამხედრო ნაწილებისა და ფანრიკა-ქარხების ნაწილსაურთა. კონცერტები მუდამ მაღალ დონეზე ტარდებოდა. ბრიგადა გამოდიოდა სამხედრო ნაწილებში, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, უმაღლეს სასწავლებლებში, რკინიგზელთა და ოფიცერთა სახლებში, კულტურისა და დახვეწების პარკებში, ლენინის სახელობის სტადიონზე, ხუდადოვის ბაღსა და ნახშირის სასწავლებელში. ამ მძიმე წლებში ისინი სავაჭრო-ლოდ დადიოდნენ აგრეთვე ბათუმში, სოხუმში, ფოთში, ქუთაისში, გაგრაში, სოჭში, წყალტუბოსა და დუშეთში.

პლენარების კლუბის ანსამბლში ცეკვადა ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მსოფლიოს IV ფესტივალის ლაურეატი თამარ ტალახავა. იგი ცეკვასთან ერთად გარნიზონზე უკრავდა. პარალელურად მუშაობდა მშობითი რესპუბლიკის ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელად. 1950 წლიდან იგი ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ანსამბლშია.

მიხილ ბატაქის აღზრდილი თათარ არჯვანბეე ცეკვადა პლენარების კლუბის მოზრდილთა ქორეოგრაფულ წრეში, შემდეგ სახელმწიფო ანსამბლში, პარალელურად ხელმძღვანელობდა პლენარების კლუბის ბავშვთა ქორეოგრაფიულ წრეს. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ საუკეთესო მოცეკვავეები: ბეჟან სურმავა, დიმიტრი ხიზანიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ნოდარ ჯანიაშვილი, თენგიზ ვოგავა, შოთა მელაშვილი. ექვთიმ წლის შემდეგ თათარ არჯვანბეემ კულტურის სახლთან ჩამოაყალიბა ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ჯგუფი, რომლის აღზრდილები ამჟამინდელ თეატრებსა და ანსამბლში. ბევრი მათგანი სხვადასხვა ფესტივალისა და დათავიერების ლაურეატია. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მე-4 რესპუბლიკურ ფესტივალზე კი ზოგიერთმა მათგანმა პირველი ადგილი დაისაკუთრა.

1954-1964 წლებში პლენარების სახელობის კულტურის სახლთან არ-

სებული ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ქორეოგრაფად მუშაობდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვაჟა აბაშიძე (ანსამბლის ხელმძღვანელი სტალინების დამსახურებული მოღვაწე ქეთევან ოლიბერიძე).

1954 წელს მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თეიმთქმედების რესპუბლიკურ დათავიერებაზე ვაჟა აბაშიძის მიერ დადგმულმა ცეკვამ „მწყემსების ზეიმი მთაში“ ჩეთივან ღლონბერიძის მიერ დაწესებული სიმღერის თანხლებით პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

იმავე წელს პლენარების კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის 120-კაციანმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ბაქოში ამიერკავკასიის პროფკავშირების აქტივის თათბირისადმი მიძღვნილ კონცერტზე და დიდი მოწონება დაიმსახურა. მრავალფეროვანი პროგრამით გამოვიდა ქორეოგრაფიული ჯგუფი მოსკოვში — პროფკავშირების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე. განსაკუთრებული წარმატებით შეასრულა: „ტალი, დარიალია!“, „მწველსების ზეიმი მთაში“, „მთხევის ქალი“, „წინ წყარო“, „კახური მრავალამიერი“ და სხვ. ცეკვები „დავლური“ (სოლისტები ბელა ბერიძე, ნანა ბურგინიძე და ფრიდონ სულაბერიძე), „ყაზბეგური“ (ნანა მარამიძე, ჯემალ ნავროსაშვილი და მერაბ ჩულაშვილი), „შეჯიბრი“ (მერაბ ჩულაშვილი, რობერტ კავალაშვილი, ავთანდილ ფუხაშვილი, ჯონი მერამიშვილი, ნოდარ ჯანიაშვილი, ალექსი ნიკოლაძე, შოთა ჩაკვაჭავაძე, თითარ შენგელია).

ანსამბლმა მრავალი კონცერტი ჩაატარა საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში.

1952 წელს პლენარების სახელობის კულტურის სახლის დირექტორის გრიგოლ ოსმანაშვილის თაოსნობით ქორეოგრაფმა გიორგი პოლოსოვამ ჩამოაყალიბა ხალხური ცეკვების წრე გ. პოლოსოვს დამთავრებული აქვს თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი. იგი მრავალი წლის განმავლობაში ცეკვადა თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში. ამჟამად კი წარმატებით ასწავლის ახალგაზრდებს. წრის რეპერტუარშია რუსული, უკრაინული, მოლდავური, ბელორუსული, ჩეხური, ესპანური, მექსიკური, პოლონური სა-

ბავშვო-სასანაითო და სახუმარო ცეკვები. თუ პირველ ხანებში წრეში მხოლოდ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილები ღებულობდნენ, შემდგომ ფართოდ გაიღო კარი ლენინის რაიონის მოსწავლეობისთვის.

თავისი საკუთარი დიდი ენთუზიასტი გ. პოლოსოვი ახალგაზრდა მოცეკვავეებით სისტემატური მუცადობებით, დაბამული შრომით, დარბე დიდებს აღწევს. პლენარების კლუბში აღზრდილი საუკეთესო მოცეკვავეები სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში განაგრძობენ სწავლას.

წრე ხშირად მართავს კონცერტებს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, საკურორტო ადგილებზე. რესპუბლიკურ და საქალაქო ოლიმპიადებზე ეს კოლექტივი მუდამ განმაჯანბრების გამძღობს.

წელს წრე საგასტროლოდ იყო ბათუმსა და წყალტუბოში, სადაც მათსევემელოთავის ჩაატარა ოცი კონცერტი. მადლიერმა დამყვენებლებმა მაღლობის წერილები გამოუგზავნეს მართავლის სსრ პროფსაბჭოს ჩუკობიძეს, კეველიან, სიმეტიანი, აშენაძესა და სხვებს.

ამჟამად წრეში გაერთიანებულია 50 მოსწავლე. ბევრი მათგანი რესპუბლიკის ფესტივალის ლაურეატია. განსაკუთრებით გამოირჩევიან მოცეკვავეები ქეთევან მოჭია, ნინო ვაშაიძე, ავთანდილ მიგრიალი, ბეკვი თოფურიძე, თეიმურაზ ხოზაშვილი.

პლენარების კლუბის მხატვრული თეიმთქმედებში დიდი წვლილი შეაქვს ვოკალურ ჯგუფ „შედიკაცას“, რომელიც 1956 წელს შექმნა საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა იუზა კულბაშვილმა.

„შედიკაცა“ ასრულებს ქართველ კომპოზიტორების შოთა მართვახას, რევაზ ლაღიძის, არჩილ ჩიმაკაძის, ვლადიმერ კურტილის სიმღერებს. მის რეპერტუარშია მრავალი ხალხური სიმღერა თუ საგალობელი. მათ შორის „ოდლია“, „კუნძი ბედნიერი“, „ჩელა“, „შენ ხარ ვენახი“, „არბალოლი“. გარდა ამისა, ანსამბლის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რუსულსა და უცხოურ სიმღერებს.

პლენარების კლუბის „შედიკაცას“ წევრიან ამჟამადვე ინტენსიურად განაგრძობენ შემოქმედებით მოღვაწეობას, რაც მათი შემდგომი წარმატების საწინდარია.

რაფაელი

(გარდაცვალებიდან 450 წელთან დაკავშირებით)

პარმენ ზაქარაია



რაფაელი.

ავტოპორტრეტი

იტალიის რენესანსი შუა საუკუნეების ევროპაში წყვილი-დის შემდეგ ნათელის დადგომა, აღორძინება და უდიდესი პოტენციის მქონე პროგრესის ჩასახება. ძველის, ანტიკურის გაცოცხლებით, მასში ეპოქის სულის ჩაბერვით იწყება მხატვრობის, ქანდაკების, არქიტექტურის, პოეზიის, ფილოსოფიის... ტრიუმფალური სვლა. რენესანსის ადამიანი არ ჰგავდა წინა ხანის ადამიანებს. იგი უპირველეს ყოვლისა იყო ჰუმანისტი, მრავალმხრივ განვითარებული და განათლებული, სწორედ „რენესანსული“ გაქანების მქონე, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი. თუ ხალხთა კულტურის ისტორიაში ახალი ერის დადგომის საწყის საფეხურებზე ჯოტო, მაზაჩო და ბრუნელესკო იდგნენ, მის მწვერვალს ლეონარდო, მიქელ-ანჯელო და რაფაელი ამშვენებდნენ. თითოეული მათგანი ტიტანია ტიტანთა შორის.

რაფაელს დიდხანს არ უცოცხლია, თითქოს გრძნობდა დღემოკლებობას და დაუტყობმელი ენერგიით მუშაობდა, რათა მოესწრო მოზგავებული აზრების, მოჭარბებული სცენების და ჯერ უთქმელი სიმართლის ფერებში გადატანა. იგი შემოქმედებითი წვის პროცესში ჩაიფერვლა, ახალგაზრდა — 37 წლის და ვინ იცის, რამდენი ფიქრი და ოცნება ჩაიტანა თან.

რაფაელ სანტი დაიბადა ურბინოში 1483 წელს, მხატვ-

რის ოჯახში. იგი ადრე დაობლდა და ნიჭიერი ბავშვის აღზრდა, მის მომავალზე ზრუნვა, იცისრა იმ დროისათვის შეტად განათლებულმა ქალმა ელისაბედ გონზაგომ. რამდენიმე სახელისნოს გამოცვლის შემდეგ რაფაელი სწავლას განაგრძობს მაშინ უკვე სახელგანთქმულ პერუჯინოსთან, რომლის გავლენა გვიანაც ჩანდა მის ნახატებში.

რაფაელის პირველ დიდ ნაწარმოებად ითვლება „მადონა კონესტაბილე“, სადაც უკვე ამკარად გამოსჭვავის მადონას ის რაფაელისებური სახე, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე წითელი ზოლივით გასდევს მის შემოქმედებს. აქ იშვიათი სინატიფით არის გადმოცემული ახალგაზრდა დედის ნათელი სახე, რაც საერთოდ ახასიათებთ რენესანსის დროინდელ შემოქმედთ. დედის სახეს რაფაელი გადმოსცემს იშვიათი სირბილითა და ლირიზმით. წინა საუკუნის ოსტატებისაგან განსხვავებით, რაფაელის „მადონას“ კომპოზიცია არ არის ერთგვარი ნაძალადვე, ხელოვნური, ყველაფერი მკვემდებარება პარმონიულ კომპოზიციას. ეს თვისებები უკეთ გამოვლინდა იმავე ხანებში შესრულებულ „მარიაშის და-წინდავაში“ (1504 წ.), რომელიც რაფაელის უმბრიაში მოღვაწეობის პერიოდის დასასრულს განეკუთვნება. სურათის მთელი ჩანაფიქრი და კომპოზიციის წყობა მონუმენტური ასახვის პრინციპზეა აგებული. თვით მოქმედება ტაძარში კი არ ხდება, არამედ მის წინ, მზის ქვეშ, ცის ფონზე. მაყუ-



რაფაელი.

მარიამის დაწინაღვა

რებელს ატყვევებს სურათის კომპოზიცია და შინაარსი. წი-
ბა პლანზე მოცემულია მღვდელმთავარი. მის წინაშე დგანან
მარიამი და იოსები, რომელიც საცოლეს ბეჭედს აცემებს
თითზე; იქვე დგანან მეგობრები, ხოლო უკანა პერსპექტივა
მცირდება და კომპოზიციას ამთავრებს მრგვალი ტაძარი —
იშვიათი ხუროთმოძღვრული ნაწარმოები.

სურათზე გამოსახული მეტად მიმოიხედვლიან არიან თა-
ვიანიტი სისადავითა და მოხდენილობით. თავისუფალი მი-
ხრა-მოხრა, მოქნილი მოძრაობა იმის მარჯვენაგანია, რომ
მან დასძლია კვატრორენტოს შემოკლიობა და საბოლოოდ
დაეფულა მაღალი რენესანსის პრინციპებს. რაფაელმა აქ
მიიღწია შესტებისა და მოძრაობის იმ მრავალმეტყველ გა-
მოსხვავს, რომელიც მის მიერ შემდგომ შემქნილ სახეთა
დამამასიათებელი გახდა. მარიამისა და იოსების სულიერი
სიახლოვის გრძნობა არაწვეულებრივია, თითქმის მუსიკალუ-
რი მეტყველებითაა გადმოცემული მათი ხელების მიახლოე-
ბაში. იგივე მუსიკალობა ჩანს დეტალებსა თუ საერთო
მოძრაობის რიტმში.

„მარიამის დაწინაღვაში“ ყველაზე უკეთ გამოჩნდა რა-
ფაელის მომადლებული ნიჭის თავისებურება, რომელიც
სურათის ელემენტების მხატვრული წარმოსახვის ოსტატო-

ბაში გამოიხატება. ეს თავისებურება ერთგვარად თავს
ჩიხნს იმ დაძაბულ რიტმში, რომელიც ახასიათებს რაფაე-
ლის სურათებს. ამ სურათში კოლორიტიც საინტერესოა და
მოცემული. მოქმედების სადღესასწაულო ხასიათს ნათელი
გახსივსნებული კოლორიტი შეესაბამება.

მალე პერუჯინოს სახელისნო, სადაც რაფაელი განაგრ-
ძობდა დაოსტატებს, მისთვის დავიწროვდა და 1504 წელს
იგი გადადის ფლორენციაში, სადაც უკვე ყალიბდებოდა მა-
ღალი რენესანსის პრინციპები. სწორედ ამ დროს ერთ-
მანეთს ერკინებოდა ხელოვნების ორი გოლიათი — ლეო-
ნარდო და მიქელანჯელო. მათ გვერდით დადგა მესამე ფე-
ნომენი — რაფაელ სანტი, რომელმაც პირველივე ნაბიჯე-
ბიდან მიიპყრო საუკეთესოთა ყურადღება.

ფლორენციაში რაფაელის შთაგონების წყაროდ იქცენ
ღვთაბერივი „მადონები“, რომელნიც აშკარად მეტყვე-
ლებდნენ მის შემოქმედებაში ახალი ეტაპის დადგომას. ესე-
ნი საერთო მოტივის ვარიანტებია, რაც ახალგაზრდა ლამა-
ზი ღელის გამოსახვაში გამოისახებოდა. მას ხელში ჰყავს
ჩვილი ქრისტი და იოანე ნათლისმცემელი. აქ მშვიდი და
წყნარი დედობრივი სიყვარული იგრძნობა. ნახატების ლი-
რიზმს ხაზს უსვამს პეიზაჟის გაშლილი ფონი. კოლორიტი
ამ პერიოდისათვის თავშეკავებულია.

მალე რაფაელი რთულ კომპოზიციებს ქმნის, რომელთა-
გან გამოირჩევა „მადონა ანსიდვი“. ამ ნახატის დრამატუ-
ლი და პლასტიკური მოტივები ლეონარდოსა და მიქელან-
ჯელოს შემოქმედებიდან იღებს საწყისს, მაგრამ იქვე ჩანს
დამოუკიდებელი გზა.

რაფაელმა იმდენად გაითქვა სახელი, რომ მალე დიდი
არქიტექტორის ბრამანტეს საშუალებით მიწვეულ იქნა რომ-
ში, პაპის კარზე. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: თუ ად-
რე კათოლიკური ეკლესიის ცენტრი მტრულად იყო განწყო-
ბილი აღორძინების გზაზე მდგარი რეალისტური მხატვრო-
ბისადმი, თანდათანობით გეზი იცვალა და ბოლოს თვით
მოინდომა ინიციატივის ხელში ჩაგდება. ეს ეწინააღმდე-
გებოდა საერთო შეხედულებას, მაგრამ როდესაც იგრძნეს
ეპოქის ცვლა, შეუძლებელი შეიქნა ძველი გზის გაგრძელე-
ბა, რადგან ცხოვრება მათ თავისთავად გარიცხებდა. ამ საქ-
მეში პირველი თამამი ნაბიჯი პაპმა იულიუს II გადადგა.
იგი დაუკავებელი ენერჯის ადამიანი იყო და ძლიერი ხე-
ლით მხატვრული პოლიტიკაც მძლავრად შემოატრიალა.
მის დროს რომში თავი მოუყარეს უდიდეს შემოქმედით. ბრა-
მანტე იწყებს პეტრეს ტაძრის მშენებლობას, მიქელანჯელო
პაპის აკლდამის პროექტის გაკეთებიდან გადადის სიქსტის
კაპელას პლაფონის მოხატვაზე, ხოლო რაფაელს დაევალა
ვატიკანში პაპის აპარტამენტების მოხატვა.

ვატიკანის სტანციების (თახების) კედლებს რაფაელი
მოუფუგვებს დახმარებით რამდენიმე წლის განმავლობაში
ხატავდა. მის მიერ შესრულებული ვატიკანის ფრესკები
მიეკუთვნება რენესანსის უბრწყინვალეს ნაწარმოებებს.
მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში ძნელია მოძებნო ისეთი
მხატვრული ანსამბლი, რომელიც ეროვნულად ადვანსირო-
ვანებს, როგორც იდეურად, ისე გამომსახველობის მხრივ.
გასული საუკუნეებისაგან განსხვავებით, როდესაც კედლები

დაქვეყნებული იყო ცალკეული სცენებით, აქ ყოველ კედელზე თითო სცენა აღბეჭდილი და მასშტაბიც არქიტექტურასთან არის შეხამებული.

დამკვეთთა აზრით, ფრესკების იდეურ შინაარსს უნდა აემსაღებინა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი. ზოგან პაპების პორტრეტებიც იყო ჩასატკლი, მაგრამ რაფაელის სტანცები ზოგადსაკაცობრიო ხასიათის ატარებს და ზოგჯერ ეკლესიის საწინააღმდეგოდაც არის მიმართული.

ამ მხრივ გამიორჩევა რაფაელის მიერ მოხატული პირველი სტანცი, ე. წ. სტანცი დე ლა სენაიტურა (ქართულად ნიშნავს ოთახს, სადაც პაპის ბრძანებებს ბუქვებს ასვამდნენ). ფრესკის თემა ადამიანის სულიერი ცხოვრების ოთხი მხარე: ღვთისმეტყველებას წარმოსახავს „დისპუტა“, ფილოსოფიას — „ათენის სკოლა“, პოეზიას — „პარნასი“, მართლმსაჯულებას — „სიბრძნე, ზომიერება და ძალა“.

თვით ის ფაქტი, რომ საერთო მხატვრულ ჩანაფიქრში ქრისტიანული რელიგიის სახეები წარმოდგენილ მითოლოგიასთან იყო გაერთიანებული, იმაზე ლაპარაკობს, თუ როგორ უყურებდნენ მაშინ რელიგიურ დოგმებს პუმიანურად განწყობილი მოაზროვნეები. აქ მარტო შერიგება კი არ ჩანს ანტიკურ კულტურასთან, არამედ მისი აღიარებაც.

საკულტო მოტივები ყველაზე მეტად „დისპუტაში“ აღბეჭდილი, სადაც გამოსახულია დისპუტი ზიარების საიდუმლოებებზე. მოქმედება ორ პლანშია ნაჩვენები — მიწაზე და ზეცაში. ქვემოთ, საკურთხევის ირგვლივ, და კიბეებზე, განლაგებულნი არიან ეკლესიის მამები, პაპები, ეკლესიის მსახურნი და სხვა. იქვეა დანტე, სავანაროლა და ბეატო ანჟელიკო. ზემოთაა მამამღერთი, ქრისტე, მარიამი და სხვა სიმარტოები. ფრესკაზე მოქმედი პირნი, მიუხედავად მათი სიმარტოებისა, დიდი ხელოვნებით არიან განაწილებულნი და გეზიბლავენ სრულყოფილობითა და სილამაზით.

ამ კომპოზიციებიდან ყველაზე უკეთესად და, საეროდ, რენესანსის სიამაყედ ითვლება „ათენის სკოლა“. აქ უზარმაზარი სივრცე უჭირავთ ანტიკური სამყაროს მოაზროვნეებს. ცენტრში, პერსპექტივაში მიმავალი პარადულად მორთული კამარების ფონზე, გამოსახული არიან პლატონი და არისტოტელი. ერთ მათგანს ხელი ზეცისკენ აღუმართავს, ხოლო მეორეს — მიწისკენ. რაც თავისთავად მათი აზროვნების მიმართულების ასნას წარმოადგენს. აქვეა სოკრატე, რომელიც საუბრობს მსმენელებთან, ქვემოთ — საფეხურზე მათხოვარივით წამოწოლილა ცინიკოსთა სკოლის დამაარსებელი დიოგენი, უფრო ქვემოთ წინა პლანზე ორი ჯგუფია განლაგებული. მარცხნივ — პითაგორა მოწაფეებით, მარჯვნივ — ისევ ევკლიდი (ზოგიერთის აზრით არქიმედი) ასალგაზრდა მოწაფეებში, რომელიც რაღაცას ხაზავს. ამ ჯგუფის უფრო მარჯვნივ მდგარ ზოროასტრსა და პტოლომეს უკავიათ სფერო. მარჯვნივ რაფაელმა თავისი თემა გაიმოსახა, ხოლო შუაში ჩაფიქრებული ზის პერკალიტე ეთესელი.

სხვა ფრესკებისგან განსხვავებით აქ მთლიანად სურათი და ყოველი ფიგურა მონუმენტურია. თითოეული წამყვანი პიროვნების სახეზე დიდი შინაგანი ძალა და ღრმა აზრია აღბეჭდილი. წარსულ დროთა მოაზროვნეების სახით რა-



რაფაელი.

მადონა სავარჩელში



რაფაელი.

კარდინალის პორტრეტი

ფაელი ხშირად თანამედროვეებს გადმოსცემს, მაგრამ ეს მხოლოდ აძლიერებს შთაბეჭდილებას. თანამედროვეთა აზრით, პლატონის მაგიერად ლეონარდოს ბრწყინვალე ფიგურაა გადმოცემული, ევკლიდის მაგიერად ბრამანტეა, ხოლო ჰერაკლიტეს მოღუშული სახით თითქოს მიქელანჯელო უნდა იყოს გადმოცემული.

საინტერესოდაა გადაწყვეტილი საერთო ატმოსფერო, იგრძნობა მოქმედ პირთა სულიერი განწყობილება. მიუხედავად იმისა, რომ პლატონი და არისტოტელი სურათში ყველაზე შორს არიან, კომპოზიცია ისეა გადაწყვეტილი, რომ მათ მინც ცენტრალური, წამყვანი ადგილი უჭირავთ. ისინი კი არ დგანან, არამედ წინ მიდიან, რითაც დინამიური ცენტრი მათ ეკუთვნით. აქედან კი მოძრაობა ერთგვარად უწყვეტია.

შემდეგ ფრესკაზე გამოსახულია „ელიოდორას განდევნა“. ეს თემა დაკავშირებულია ამბავთან, რომლის მიხედვითაც სირიელმა მხედართმთავარმა ელიოდორმა მიონდომო იერუსალიმის ტაძრის გაძარცვა და განდევნილ იქნა ზეციური მხედრის მიერ. ასეთი თემის წარმომობას, ჩვეულებრივ, უკავშირებენ პაპის სამფლობელოდან ფრანგების განდევნას. კომპოზიციის მარჯვენა მხარეს მხედარმა და ორმა ანგელოზმა დაანარცხეს მარცველი, ხოლო მიობრდაბიერ მხარეს ხელში აყვანილი შემოჰკავთ სავარძელში მჯდომი პაპი იულიოს II. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყველაფერი ეს ხდება მისი განკარგულებით (ტახტის წამლებთა

შორის გამოსახულია დიდი გერმანელი მხატვარი ალბრეხტ დიურერი).

რაფაელის მიერ შესრულებული დანარჩენი ფრესკებიც მრავალმეტყველია, სადაც საინტერესო დრამატული ხასიათებია აღწერილი. თუმცა, ვატიკანში შესრულებულ რამდენიმე ფრესკაში აღარ იგრძნობა ადრინდელი ძალა. ამის მიზეზი რაფაელის გადატვირთვაა. იგი ვერ ასწრებდა ყველა დაკვეთის შესრულებას და ზოგიერთი ფრესკა მისი მოწაფეების მიერაა შესრულებული.

იმავე წლებში რაფაელი პარალელურად მუშაობდა სხვა თემებზედაც. აქედან აღსანიშნავია „მადონა ალბა“ (1509 წ.), რომლის კომპოზიციურ გადაწყვეტაში იგრძნობა მხატვრის სტილის გაუმჯობესება. ადრე შექმნილ მადონებთან შედარებით აქ გაცილებით მეტი ენერჯია და მოძრაობის თავისუფლება ჩანს.

შემოქმედების უფრო მოწიფულ საფეხურზე დგას „მადონა დელა სელა“ (1516 წ.), ანუ „მადონა სავარძელში“, როგორც მას ხშირად ეძახიან. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს არის რაფაელის დაზგურ მხატვრობაში პლასტიკური გამოსახვის მწვერვალი.

იმავე წლებში რაფაელი მუშაობს დიდი ზომის დაზგურ სურათებზე, რომელთა დამაკვირვებელია „სიქსტის მადონა“. დღეს იგი ღრუზდენის სამხატვრო გალერეას ამჟღავნებს.

„სიქსტის მადონა“ ეკუთვნის ყველაზე განთქმულ მსოფლიო შედევრთა რიცხვს. რესენანსის მხატვრობაში დედობ-



რაფაელი.
მადონა კონესტაბილე



რაფაელი.
პარნასი

რივი გრძნობა სხვებზე უკეთ შესაძლოა აქ იყოს გამოსახუ-
ლი. მხატვრის შემოქმედებაში ეს ნახატი წარმოადგენს
მრავალი წლის ძიების სინთეზს.

სურათზე, ღია ფარდიდან ღრუბლებზე გამავალი მადონა
ჩელით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველებზე.
წმინდა სიქსტისა და ბარბალუს მოძრაობები, ანგელოზთა
მალა აპყრობილი თვალები, ფიგურების საერთო რიტმიკა,
ყოველივე ეს მაყურებლის მზერას მიაპყრობს მადონას და
მათ შორის უნებლიედ მყარდება სულიერი კონტაქტი. დე-
დაღვთის გამომეტყველება საშუალებას გვაძლევს ღრმად
ჩავიხედოთ მის სულიერ სამყაროში. თითქოს გრძნობს იგი
ტრაგედიის მოახლოების შიშს. პატარა ქრისტეს კი არაბავ-
შუერი, მეტად სერიოზული გამომეტყველება აქვს. ამ ფი-
გურებში არაფერი არ არის გადაჭარბებული და ეგზალტი-
რებული.

რაფაელის მიერ შექმნილი სახეების ემოციური შინაარსი
არაჩვეულებრივადაა ჩაქსოვილი ფიგურების პლასტიკურობ-
აში. მაგალითად, მადონა მოძრაობაშია მოცემული. მისი
ფიგურა მსუბუქად დაფრინავს ჰაერში და ამავე დროს არ
არის მოკლებული ადამიანურ სიმძიმეს. მას შვილი ისე უპყ-
რია ხელთ, რომ, ერთი მხრივ, ჩანს დედობრივი სიყვარუ-
ლი, ზრუნვა შვილისადმი და, მეორე მხრივ, ის, რომ შვილი
მხოლოდ მას კი არ ეკუთვნის, არამედ მსხვერპლად მიჰყავს
ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

„სიქსტის მადონას“ კომპოზიცია ერთი შეხედვით მარტი-
ვია. სინამდვილეში ეს სიმარტივე მოჩვენებითია, ყველა
დეტალი ერთმანეთთან არაჩვეულებრივი სიხუსტითაა შე-
ფარდებული და შეხამებული, რაც სურათს სილამაშესა და
სიდიადეს მატებს, ყველაფერი ცენტრისკენაა მიმართული,
რითაც ხაზი ესმება მარამის ღვთაებრიობას.

საინტერესოა აღინიშნოს, თუ ვის ემსგავსება მადონა, მის
სახეში ვისი პორტრეტი იგულისხმება. ამის თაობაზე არის
რამდენიმე ლეგენდა, რომელთაგან ერთ-ერთის მიხედვით
იგი იმ ქალს ჰგავს, რომელიც გამოსახულია სურათში —
„ქალი თავსაბურავით“. მაგრამ შეიძლება აქვე გავისწნოთ
რაფაელის მიერ გრავ კასტილიონესთან გაგზავნილი წე-
რილიმ გატარებული აზრი — იმისათვის, რომ დაინატის
ლამაზი ქალი, საჭიროა მრავალი ასეთი ქალი ნახოს მხატ-
ვარმა, მაგრამ რადგანაც ასეთები ცოტანი არიან, იგი ანზო-
გადგებს, იღებს რაღაც იდეას, რაც თავისთავად მის გუ-
ლისსმობს, რომ რაფაელისათვის მთავარია დაკვირვება და
სინთეზი.

მეთექვსმეტე საუკუნის ათიანი წლები იყო საუკეთესო
პორტრეტების შექმნის პერიოდი. მათში ყველაზე განთ-
ქმულია პაპ იულიუს II პორტრეტი (1511 წ.). საუკეთე-
სოა აგრეთვე ბალდასარე კასტილიონეს პორტრეტი. მხატ-
ვარმა მასში არ გამოყო ხასიათის რომელიმე წამყვანი ხა-
ზი. პირიქით, მან თითქოს გაანეიტრალა ხასიათის თავიუ-
ბურებები იმისათვის, რომ მიღწეული ყოფილიყო შიდა წო-
ნასწორობა, ადამიანის პიროვნების მშვიდი პარმონია. ამის
შესაბამისად იქმნება წყნარი სილუეტი. ამავე პორტრეტში
რაფაელმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ იგი არის ბრწყინ-
ვალე კოლორისტი, მან იცის ფერებისა და ტონების სადუმ-
ლოება.

რაფაელის ბოლო პერიოდის პორტრეტებში არის მოდუ-
ლის კონკრეტული ხასიათის უკეთ გამოვლენის ტენდენცია.
მაგალითად: „კარდინალის პორტრეტი“. იგივე თავისებუ-
რებები ახასიათებს სურათს „პაპი ლევ X კარდინალბით“. აქვე
ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაქტიურად ეს ნახატი
რენესანსის ისტორიაში პირველი რეგულური პორტრეტია.

პაპს ხელში უჭირავს ლუპა, რომლითაც ათვალეიერებს ხელ-
ნაწერს მინიატურებთან, აქ თავისთავად გამოთქმულია ეპო-
ქის ჰუმანური ინტერესები. მართალია, აქ ჯგუფში შემავალი
სამი პირი ერთმანეთთან დაკავშირებულია რაღაც საერთო-
თი, მაგრამ ამავე დროს თითოეული მათგანი თავისთავადაა
ჩაკეტილი. ამით არ არის მიღწეული ჯგუფური პორტრეტის
ერთიანობა. ეს თავისებურება იგრძნობა ცოტა მოგვიანე-
ბით ტიციანთან.

მონუმენტური მხატვრობიდან რაფაელის უკანასკნელი
პერიოდის ნამუშევრებში გამოირჩევა „გალათეას ტრიუმფი“,
რომლითაც დაფარულია ვილა ფარნეზინას კედელი. მასზე
გალათეას სახით გამოსახულია ლამაზი ქალი, რომელიც
დედფინებშემბმული ნიჟარით მიცუარავს ტალღებზე.
აქაა გასხივოსნებულ ტონებში გადმოცემული მხიარული,
ლამაზ სახეთა ზეიმი, მჩქეფარე სიცოცხლე.

ამას გარდა, უშუალოდ რაფაელის მონაწილეობით, ან
ესკოზებით, მრავალი ნახატია შესრულებული მისი მოწა-
ფეების მიერ, მაგრამ ამ ნახატებს არა აქვს ის სიღაღღე,
რომელიც ახასიათებს უშუალოდ რაფაელის მიერ შესრულე-
ბულ სურათებს.

რაფაელის მხატვრობაზე საუბრისას აუცილებლად უნ-
და აღინიშნოს მისი ნახატის სიძლიერე. რაფაელის პირვე-
ლსავე მონაქმენში ჩანს მომავალი კომპოზიციის ჩამოყალი-
ბებელი სახე და დახვეწილი ფორმები. მის ესკოზებს დამ-
თავრებულ ნახატებს თუ შევადარებთ, აშკარა გახდება მხატ-
ვრის უდიდესი ტალანტი და უსაზღვრო შესაძლებლობანი.

რაფაელი როგორც რენესანსის ტიპიური წარმომადგენე-

ლი, შემოქმედების მარტო ერთი ხაზით არ დამკაყოფილე-
ბულა. იგი იყო ბრწყინვალე მხატვარი, მაგრამ არქიტექტუ-
რაშიც თქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა. ჯერ ერთი,
აღსანიშნავია ის გარღობა, რომ ყველა მის დიდ მხატვრულ
კომპოზიციაში არქიტექტურა მარტო ფონი კი არ არის,
არამედ მათარგანიზებულია და ყველა დეტალში რენესან-
სულია. და მეორეც, მან შექმნა არა ერთი სასახლისა და ვი-
ლას პროექტი, რომელთაგან ნაწილი აშენდა, დანარჩენი კი
დარჩა პროექტად. სხვა სამუშაოებზე რომ არაფერი ვთქვათ,
ბრამანტეს შემდეგ მან შეადგინა წმ. პეტრეს ტაძრის ახალი
ვარიანტი, მაგრამ მისი შესრულება არ დასცალდა.

დიდა რაფაელის როლი არქიტექტურულ ნაგებობათა
ინტერიერის გაფორმებაშიც, რომელიც „გროტესკის“ სა-
ხელწოდებითაა ცნობილი. ეს სახელწოდება მომდინარე-
ობს „გროტ“-იდან, რომელიც რაფაელისა და სხვა არქი-
ტექტორების მიერ გათხრილი იყო ძველი რომის ნანგრევებ-
ში. ამ შენობათა კედლებზე არსებული მხატვრობის მიზად-
ვით რაფაელმა შექმნა თავისი ეპოქის შესაფერი ნახატე-
ბი — მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველების ურთი-
ერთგადახლართვით.

რაფაელი გარდაიცვალა 1520 წლის 6 აპრილს. მისი
უდროო სიკვდილი ერთობ მოულოდნელი იყო. დიდი მხატ-
ვარი შესაფერისი პატივისცემით დაკრძალეს რომის პან-
თეონში.

შესაძლოა, მომდევნო საუკუნეებში არც ერთი სხვა მხატ-
ვარი არ სარგებლობდა ისეთი სახელით, როგორც რაფა-
ელი. განუზომელია მისი როლი მსოფლიო ხელოვნების ის-
ტორიაში.



რაფაელი.
ათენის სკოლა

დ ე კ ო რ ა ტ ი უ ლ ი ქ ე ე ბ ი

ვალერიან ზუნბაია

საშუაშემო ქართველობაში გამოვლილი ქართული განსაკვირვებელი ხუროთმოძღვრული ძეგლები ძირითადად ქვისაგან არის ნაგები. ამჟამად მშენებლობაში გამოყენებულ დეკორატიულ მასალებს შორის ყველაზე მეტი სილამაზე და სიმტკიცე ბუნებრივ ქვას ახასიათებს. ამიტომ განსაკვირვებულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მას წარსულში, როდესაც ქვა თითქმის ერთადერთ დეკორატიულ მასალას წარმოადგენდა. ბუნებრივი ქვა ყველაზე გამძლეა. დეკორატიული ქვით მოპირკეთება გამოირჩევა მაღალი არქიტექტურული გამოხატულებით, განსაკუთრებული მონუმენტურობით, ამავე დროს ასევე ღია და ათასეული წლების მანძილზე უსურნევლყოფს ნაგებობას და ზიანებისაგან. დეკორატიული ქვების მარაგითა და მრავალფეროვნებით საქართველოს სამეფოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. აქ გვხვდება მკვრივი მარმარილოები და ტიშენიტები, ბაზალტები და ანდეზიტები, პორფირიტები და ტუფები, შედარებით რბილი კირქვები და ქვიშაქვები, ტრავერტინები და ფიქლები. საქართველოში ცნობილი მოსაპირკეთებელი ქვები ძირითადად ერთგვაროვანია — ღია ფერებითა და რბილი ტონებით; ჩანასრები, მუქი ფერის ზოლები და ლაქები არ ახასიათებს. საქართველოს დეკორატიული ქვები თავისი შედგენილობით, ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებებით, საშუალებას იძლევა დამუშავებისას ზედაპირის ნებისმიერი ფაქტურა მიეცეს ე. წ.

„სკალიდან“ სარკისებრ ზედაპირამდე.

შეგ და მუქ ნაცრისფერ დეკორატიულ ქვებთან ერთად ცნობილია უფრო რბილი ტონის, თეთრი, ვარდისფერი, იისფერი, ოქროსფერი და სხვა ღია შეფერილობის ქვები. ქართული ხუროთმოძღვრების მაღალი დონე დეკორატიული ქვების სიუხვითა და მრავალფეროვნებითაც აიხსნება. ისტორიულ წარსულში და ამჟამადაც ქართველი ხუროთმოძღვრები ოსტატურად იყენებენ დეკორატიულ ქვებს არქიტექტურაში: უკანასკნელ ხანებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვას არქიტექტურული ობიექტების დეკორატიული რელიეფით შემკობაში. ქვის მხატვრული დამუშავებისა და ტონის მაღალი ხელოვნებისათვის ქართველი ოსტატები ითვალისწინებდნენ ქვების დეკორატიულ თვისებებს: ფერს, სიმტკიცეს, გამძლეობას, დამუშავების თვისებებს; არჩევდნენ ქვებს დეკორატიული მოტივებისათვის, წნულებისათვის და ა. შ.

ძველად დასავლეთ საქართველოში ფასადების მოსაპირკეთებლად, აგრეთვე პორტალების, სვეტების, კაპიტელებისა და სხვა არქიტექტურული დეტალებისათვის მეტწილად კირქვაა ნახმარი, აღმოსავლეთ საქართველოში კი სხვადასხვა ფერის ქვა არის გამოყენებული. დეკორატიული ქვების შერჩევაში საყურადღებოა მისწრაფება ღია ფერის, რბილი ტონის ქვებისადმი. ძველად და ამჟამადც, როცა ცოკოლი მუქი ფერის ქვითაა ნაგები, შენობის ზე-

და ნაწილები, არქიტექტურული ელემენტები, სადაც კი ამის შესაძლებლობა იყო, ღია ფერის ქვებით სრულდებოდა. მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად სხვადასხვა ფერის ქვების გამოყენება განსაკუთრებით კარგად ჩანს სამხრეთ საქართველოს ძეგლებში. დმანისის სიონი (VII ს., რუსთაველი) და XII საუკუნეში) აგებულია ბაზალტით, ტუფორქვით, ტუფოგანური ქვიშაქვითა და ტუფით; კარებისა და ფანჯრების ანაყოლები და კარები გამოკეთებულია წითელი ტუფით, ჩუქნითგამოყვანილი მწვანე ფერის ტუფისა. დმანისის რაიონში სოფელ გორას გვიგისის (შუა საუკუნეები) კედლები მოპირკეთებულია მწვანე ალბიტოვით და შავი ბაზალტით, ეკლესიის კოშკი ყვეთილი ტუფოგანური ქვიშაქვით, კოშკის კუთხეები და ჯვარი ფანჯარათთან — შახნაზარის წითელი ტუფით.

პოლიქრომა, ფერადი ქვების ეფექტი შეიმჩნევა თანამედროვე ნაგებობებშიც: მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობის სასიკისებრ გაერალბული მუქი-ნაცრისფერი მოწვანო კლფერის ტუფებით მოპირკეთებული კოლონები მკაფიოდ გამოიყოფა ფასადის კედლისაგან, რომელიც მოყვითალო-ვარდისფერი ნაყმიანი პორფირით ბოლოსის ტუფითაა მოპირკეთებული; ხილთ ზედა ნაწილში პილონი შემკულია პორფირით, ეკლარის თეთრი კირქვით შესრულებული პორფირული პანო მკვეთრად გამოიყოფა შენობის საერთო ფონზე.

შეიძლება სხვა მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანა.

ძველ საქართველოში ნაებობისათვის დიკორატიულ ქვეშის იესე ფაქისაღ, წმინდად ჭრიდნენ... თითქოს ეს მორთულობა გათვალისწინებული ყოფილიყოს არა არქიტექტურული შემკობისათვის, არამედ ყველაზე ეფორფასი და ლამაზი სურათის ჩარჩოსათვის“ (კ. უჯაროვა).

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ცნობა იმ დეკორატიულ ქვეშეზე, რომლებმაც თითქმის დღემდე უცვლელად მოგვითხრობენ სხვადასხვა ეპოქის ქართველ ხუროთმოძღვრება ჩანაფერში.

მარმარილო თავისი წვრილმარცვლოვანი აგებულებითა და ლამაზი შეფერილობით უფერფასესი ქვაა არქიტექტორისა და მოქანდაკისათვის. აი როგორ ახასიათებს ცნობილი ხელოვნათმცოდნე ა. ფელაქოზაძე მარმარილოს: „ჩვენს პლანეტაზე არ არის სხვა მასალა, რომელსაც ქმნიდნენ ისეთი სუფთა თეთრი ფერი, როგორც მარმარილოს, იგი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ახალჩამოყვანილ თოვლს; მეორე მხრივ, შავი მარმარილო თავისი სარკისებრი გლვანებით ქმნის პირქუშ სახეში შეშენიერებას და სიძლიერეს: ფანტაზიას აღძრავენ მარმარილოს ძარღვევითა და ლაქებით მრავალნიცხოვანი ფერადი სახესხვაობანი... რა დიდებული, საუცხოოა წითელი და ყვითელი, რა ფანტასტიკურია შავ-მარბრენი ყვითელი მარმარილო; როგორი საოცარია წითელი ამ მწკანზე, რომელშიც სხვა ფერებია ჩართული; ზოგჯერ მარმარილოზე თითქოს ჩანს სტიქიის ტიტანური ბრძოლისა და მთელი სამყაროს ქვაში გაბრუნდული გამოსახულება.“ ამ სტრიქონების წერისას ავტორს თითქოს საქართველოს მარმარილოები ქმნიდა მხედველობაში, რადგან ყველა ამ შეფერილობის მარმარილო მთიანეთშია საქართველოში.

წვრილმარცვლოვანი აგებულებითა და ლამაზი შეფერილობით ქართველი მარმარილოები კონკრეტების უწყვეტ მსოფლიოში ცნობილ ტაძლების, სახეობების, საფარავნებისა და ბეულების მარმარილოებს, ხოლო მზინვარეობითა და სახვანგებო ზოგ შემხვევაში სჯობიან კიდევ მათ. ლოპოტის (კახეთი) მარმარილო მსოფლიოში საუკეთესო კარარის (იტალია) და ბენტლეიკონის (საბერძნეთი) მარმარილოების ანალოგურია. იგი თეთრი ფერისაა ნაცრისფერი ძარღვევით; ცნობილია თეთრი მარმარილო მწვანე და ვარდისფერი გლ-

ფერი, მოყვითალო-მწვანე, ვარდისფერი, მტრედისფერი და სხვა გლფერი მისი ძარღვევით, დიხის (განეფი) მარმარილოს ორ სახესხვაობას ბრჩვენს: ნაცრისფერ-ხოლოვანი და დიხის პერიფერიულ ნაწილებში და ღია ნაცრისფერს — ბუდობის ცენტრალურ ნაწილში. აბუეთის (სამხრეთ-ოსეთი) მარმარილო ღია ნაცრისფერია მუქი ნაცრისფერი ზოლებით. იქვე ახლოს დედამიწის მარმარილო აბუეთთან შედარებით უფრო მუქი ფერისაა, ჭრელი, ლამაზი ელფერი; ხარისხითაც მასზე უკეთესია.

რეკოლუციამდე ძველი შრომის ბუდობიდან მოქმედით მარმარილო თბილისში, ანდროლეტის სახელოსნოში. შრომის მარმარილოებზე კირქვა ღია წითელი ფერისაა; წითელ ფონზე მიმოფანტულია რთულნაყმანი ქალისებრი თეთრი ლაქები. გაკრიალების შემდეგ იგი სასიამოვნო ელფერს იღებს. მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა დიდი (2 მ-ზე მეტი) მონოლითების მიღება და ტრანსპორტის სახელოვანი ხელი შეწყვიტა შრომის მარმარილოს ფართოდ გამოყენებას როგორც საქართველოში, ისე ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ისევე საუცხოო დეკორატიული თვისებებსა ახალი შრომის (კოტორტაურის) მარმარილო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოლითის მარმარილო, რომელიც ხასიათდება მდიერ ლამაზი ფერებით; აქ არჩვენ წითელი ფერის მარმარილოს ყავისფერი გლფებით, შავ-აირის საერთო ფონზე მიხატულია ნების საერთო რთულნიც თითქოს ბუნების ლანდშაფტებს გამოსახვენ. მეორე სახესხვაობაა ნაცრისფერი, რომელსაც შავი ნაყმები დაყვება. ნაყმები შედგენილი თეთრი ფერისაა; მესამე სახესხვაობა მოწითალოა, თეთრი ლაქებით. მოლითის მარმარილო ერთ-ერთი საუკეთესო დეკორატიული ქვაა ჩვენს ქვეყანაში. სადახლოს (წითელი) მარმარილო მოყავისფერ-მონაცრისფერია, თეთრი და ყვითელი ძარღვევით; ქუთაისიდან 7 კმ-ზე, სათაფლიას მიმდებარეობს, მოიპოვება შავი, თეთრი და მტრე-დისფერი მარმარილოები კირქვეში, ნაცრისფერი ნახატებით და თეთრი ფერის მარმარილო შავი ზოლებით. ასევე მალაი დეკორატიული თვისებებით ხასიათდება სალითის, ბინევის, საკასრიასა და სხვა ბუდობები.

ფერ-12 საუკუნის მწერალს ი. შავთელს თამარ მეფის სასახლის აღწე-

რისა ჩვენთვის საინტერესო ცნობა აქვს უკოლი:

„მოკო-ვირცხლებობა, ბრწყინავს ციხელებრივ. ყველ-საოცრი ფაქილი ძირწილინი.“

შავთელის ამ ცნობის შესახებ ი. ჯავახიშვილი წერს: „ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ სასახლის კედელ-ყურენი ფიქალით ძირწილინი ყოილიან, ანუ სამეფო დარბაზს მოფიქალილი კედლები და ყურენი ქმნიან. ამ შემთხვევაში ფიქალით რომელიმე ძვირფასი მოსაპირკეთებელი ქვა, თუნდაც მარმარილო შეიძლება ვიგონისხმით, ფიქალი ძველად მარმარილოზე შეიძლება ყოფილიყო“. მაგრამ, ჩვეულებრივ, ფიქალი არის ქანი, სიპი ქვა, რომელსაც ძველ საქართველოში, განსაკუთრებით მთიან რაიონებში (სვანურებში, მოხუერი-ჭაქის ქვა) საშენად და სახურავად იყენებდნენ. ფიქალმა, როგორც დეკორატიულმა ქვამ, ამ მოყვანება მხოლოდ კომპოზიციის განისაზღვრად ისიც კმარა, რომ ფასანურში (1963 წელს აგებული სასტუმროს რესტორნის ინტერიერში) და თბილისში (სასტუმრო „კოლხიზი“ წინა ფსადისათვის) ნახმარია ფიქალი. საქართველოს ქალაქებში ფიქალი ხშირად გამოყენებულია მთავანების, რესტორნების შიდა ფსადების, მოაჯირების, თბილისკებისათვის და სხვა.

საქართველოში ფიქალის ბუდობები მეგრებში მოიპოვება. პრაქტიკული თვალსაზრისით სწორ ფიქალზედა ადგილი პოზადობით, ერთგვაროვნებით, ჭრის სიადგილობა და სხვა თვისებებით ყველაზე მნიშვნელოვანია კახეთის ბუდობები (მდ. ინყოლის ხეობა).

ძვირფასი დეკორატიული თვისებებით ხასიათდება მოყვითალო ფერის ნაყმებიანი ბოლინის ტუფი. ქართულ დეკორატიულ ქვეშის ჭრის იგი ყველაზე ლამაზი სახესხვაობაა. ამასთან დიდი გამძლეობითაც ხასიათდება.

აი რას წერს ბოლინის ტუფურუბინელი მწერალი ვიქტორ კერნაბაი: „სიონში... ჩემი ყურადღება მიიქცია ვინმე მეფეყვებლი საყლპ-ტორის მიერ ამოკვეთილმა ნაყმმა. გულუბრყვილოდ ვკითხე, რა ხეზე იყო ამოჭრილი ეს შეფერილი ნაყმი. თანამგზავსა ღიმომიით მიპასუხა, რომ ეს ხე ქვის ჯიშისაა, ყველაფერი სუფთაა და ცოცხალი, გულგრილი დროთა მსვლელობისაგან. ქვა არ უფრთხის ეამთა სულს... გაოცე-

ბული ვაკეირდობი ტუფის ფერებს, მის გლუვ ზედაპირს, ძარღვებს და სიკატის ნახელოებს სიფეხებს. განა ადვილია სამართებელით მახვილი დანით გაიარო მაგარი ჯიშის ქაწიყე; ეს ხომ ცაცხვის ფეხი არ არის, მაგრამ ქართულიდან ჩინებულად იყოღენე, რომ ამას, რასაც აკეთებდნენ, მიმკვიდრებდა უტოვებდნენ მისგან ათასწლეულებს“.

სამხრეთ საქართველოში ცნობილია აგრეთვე მალაი, დეკორატიული ღირსების, სხვადასხვა ელფერის ტუფის სახესხვაობანი. მისივეილდის სიონის (VIII ს.) მოსაპირკეთებლად გამოყენებულა კვარციანი ალბიტოფირის მოყვითალო ტუფოლავე, თვალისთვის სასიამოვნო, ძლიერ ლამაზი დეკორატიული ქვა. დეკორატიული ღირსებით განსაკუთრებით მიიწველოვანია ქართლის რაიონებსა და სამხრეთ-ოსეთში გავრცელებული ანდეზიტური შედგენილობის ფერფლის ტუფი, პირველ რიგში, მისი ღია მწვანე ფერის სახესხვაობა (თუძაბის ტუფი და სხვა). მწვანე ტუფის — ტუფოქიჩის ტიპის სახესხვაობა ნანამარია მცხეთის სვეტიცხოვლის გუმბათის ყვლისათვის. შემტანე მას „მწვანე პორფირის“ უწოდებს. ხოლო მცხეთის სვეტიცხოვლის არქიტექტურული დეტალებისათვის გამოყენებულა მომწვანე-მოყვითალო, ზოგჯერ მონაცრისფრო ანდეზიტური შედგენილობის ფერფლის ტუფი.

მკვრივ დეკორატიულ ქვებს შორის საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანია ტუშინტები („კურსების გრანიტი“), რიკოთის დიორიტული ქანები. მათ ფართოდ იყენებენ არქიტექტურული დეტალების, სიღების, კიბეების, ქვაფენილებისათვის, ძველების კავრცობებებზე და სხვა. ქართლის, სამხრეთ-ოსეთის, მესხეთ-ჯავახეთის ანდეზიტთან ერთად ბაზალტებიც უნივერსალურ მოსაპირკეთებელ ქვად შეიძლება ჩაითვალოს. ბაზალტებს იყენებენ არა მარტო მოსაპირკეთებლად, არამედ დეკორატიული ელემენტებისათვისაც; მისგან ამზადებდნენ პროფილირებულ ქვებს, სახურავ კრამიტს. ძველად და ახლაც თბილისში შენობათა ცოკოლების, კიბეების, მოზარების (ხშირად ქვედა სართულების) მოსაპირკეთებლადაც) ძირითადად მუქ-ნაცრისფერ ან ნაცრისფერ ბაზალტურ ქანებს იყენებენ. ასეთია ცნობილი „ალაგეთის ქვა“, რომლის

მიღართი ნაკადები შიშვლდება მდ. ალგეთის ხეობაში. ბაზალტებთან შედარებით ანდეზიტი უფრო ღია ფერის დეკორატიული ქვაა. ნაცრისფერთან ერთად მშენებლობაში ნახმარია იისფერი, მოწითალო, იასმინისფერი, მოყვანფრო და სხვა ელფერის ანდეზიტები. შენობათა ფსადებში ბაზალტებთან შედარებით უფრო ზუსტად თლილი ანდეზიტების კვადრები გვხვდება. ვახუშტი ბატონიძის მიერ აღწერილი „ლორესის ქვა“, რომლითაც „ბურჯენე კელსიებთა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათვის“ არის ნაცრისფერ-იისფერ-ანდეზიტური ლავის ნაკადი.

ნაცრისფერი, მოყვითალო, ვარდისფერი და მომწვანო ფერის დეკორატიული ქანები ალბიტოფირები და კვარციანი ალბიტოფირები შუა საუკუნეებში, მკვრივი, შედარებით ადვილდასამუშავებელი, სასიამოვნო ელფერის ქვები ფართოდ ყოფილა მშენებლობაში გამოყენებული თეთრი წყაროს, ბოლისის, დმანისის, მარნეულის, რაიონებში. ღირსშესანიშნავი ქართული არქიტექტურული ძეგლები, როგორცაა ბოლისისის სიონი, წუდრულაშენი, გუდარქი, აკაკურთა სხვა ქანებთან ერთად ალბიტოფირებით არის მოპირკეთებული.

საქართველოში კირქვა, როგორც მოსაპირკეთებელი-დეკორატიული ქვა, ანტიკური ხანიდან არის გამოყენებული (სოხუმი). ჩვენში ბევრგანაა ცნობილი დეკორატიული ღირსების კირქვები (ქვლარი, გოდოვანი, ქუთაისი, მოწამეთა, ბანიჯა, ხანდები, ცაიში, ტყვარჩელი, სოხუმი, გავრა და სხვა.).

ქვლარის კირქვა გასული საუკუნე 50-იანი წლებიდან არის ცნობილი. ქვლარის ახლოს, სოფელ ჭოგნარის ტერიტორიაზე, შორეული დღიდან წარმოება კირქვის მოპოვება და დამუშავება. ამ სოფელში დღემდე დაცულია კირქვისგან გამოთლილი ჭიშკრის მალაი სვეტები, მასზე აპოკეითლი რელიეფური პორტრეტებითა და რიზიტებით. სახლები შეშულა ქვისაგა კირბენებთან, მოშუქრთმებულ ჩარჩოში ჩამდარი კარ-ფანჯრებით, ქვის კიბეებით, მოშუქრთმებული ბუჩრებით. სოფელი ჭოგნარი ქვიშაურობის ნამდვილ ხალხურ მუზეუმს წარმოადგენს. ქვლარში კირქვის ორ სახესხვაობას არჩევენ: თეთრიდან ღია ნაცრისფერი გარდამავალი და ვარდისფერ-აგურისფერი. ამქმად

საქართველოს ქალაქებში დეკორატიული მიზნით ყველაზე მეტად ქვლარის ქვის იყენებენ. გოდოვანის კირქვითაა აგებული არა მარტო გოდოვანის X საუკუნის ეკლესია, არამედ მრავალი ღირსშესანიშნავი ნაგებობა. თბილისის, ქუთაისის, წყალტუბოსა და სოჭის კირქვითაა გამოკვეთილი ნიუტონმინდის განუშორებელი ნიურთომები და წყალმორი.

საქართველოს ქვიშაქვების საუკეთესო დეკორატიული თვისებებზე მიგვიბრუნებს ის ფაქტი, რომ ძირითადად ქვიშაქვითაა მოპირკეთებული ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ძეგლები, როგორცაა მცხეთის სვეტიცხოვლი და „კვარას“, სამთავისი, ატენის სიონი, თიღისა და ანანურის ეკლესიები, წრომის ტაძარი, თბილისის შეტქვის ეკლესია, ბედის, მოქვის მონასტრები და სხვა. ქვიშაქვითააგან ამზადებდნენ პროფილირებულ ქვებს, გამოიყავდათ ლამაზი ჩუქურთმები. ძველად დეკორატიულ ქვად გამოყენებული იყო კირქვის ტუფის მკვრივი სახესხვაობა, ე. წ. სპინტაცი, ანუ შირიმის ქვა, ახლა მას ნაკლებად იყენებენ. კახეთის რაიონებში (ცხრაკარას, ახმეტის, გორიჯვარის, კონდალიანის ეკლესიები, ნეკრესის ბაზილიკა და სხვა) ხშირად გვხვდება სპინტიკის ქვა. მაგალითად, ცხრაკარას მონასტრის ბუნილივანი არა მარტო გარეთა ბუხებში, არამედ შინაგანი ნაწილები (ტროშიში, იმპოსტი, თალი, ახსიდის კუბებები) მთლიანად მოყვითალო ფერის ფორფანი შირიმის ქვისაა. მდ. ძირულას ხეობაში უბისის მონასტრის მთავარი ტაძრის (XII ს.) კედლები მოპირკეთებულია სპინტიკის ქვით.

ქართულ არქიტექტურაში ქვას მომავალიც დიდი ადგილი უნდა დაეკავოს. ამჟამად დამკვიდრებული „მინის არქიტექტურა“ არ შეფერვბა საქართველოს არც კლიმატურ პირობებსა და არც ქართული არქიტექტურის ტრადიციებს.

საქართველოს დეკორატიული ქვების მრავალფეროვნება და დიდი მართაც საშუალებას იძლევა გაფართოვდეს ძველი და გაისინას ახალი კარიერები; ხოლო ქვის დამმუშავებელი წარმოების შექმნაზისა და ავტომატიზაციის მაღალი დონე თანდათანობით შეაცივრებს დეკორატიული ქვების თვითღირებულებას და უფრო მასობრივ გახდის მათს გამოყენებას.

ელინიზმი და კოლხეთი*

ოთარ ლორთქიფანიძე

მანძი ნაპოვნი ბერძნულ-ელინისტური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ძეგლია ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი, რომელიც ხანძრისგან ძლიერ დეფორმირებულია¹ და ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მისი ფორმის აღდგენა.² სამაგიეროდ, თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი მისი სკულპტურული მორთულობა. ჭურჭელი, როგორც ჩანს, იდგა ფრინველის (არწივის) ბრჭყალებიანი კლანჭების გამოსახულებაზე (ასეთი „კლანჭი“ ექვსია ნაპოვნი). ამავე ჭურჭელს ამკობდა ბრინჯაოსგანვე ჩამოსხმული არწივის სამი გამოსახულება. დიდებულია სამივე ქანდაკება: ფრთაგამოილი არწივები, რომელთა თითოეული დეტალი (ნისკარტი და თვალები, განსაკუთრებით — ბუმბული და ღონიერი კიდურები) დიდი მხატვრული ოსტატობითაა დამუშავებული.

ჭურჭლის მხატვრული გვირგვინია 18 ს. სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც გამარჯვების ფრთოსან ქალღმერთს — ნიკეს გამოსახავს. სრული შთაბეჭდილება, თითქმის ქალღმერთი სწრაფად ეშვება ზეციდან გამარჯვების მაცნედ. მას ამაყად გადაუვლიდა უკან თა, ი, რომელსაც ნაზად ვარსცხნილი თმა უმშვენებს. ქალღმერთის ტანს

ნოსას დიდებული კვართი, ხოლო მის მოსახსამს ქარი აფრიალებს. სამოსელის ვერტიკალური ნაოჭები შესანიშნავადაა შეხამებული ქანდაკების სურათო რატთან, დაუოკუნელსა და უსწრაფეს მოძრაობას რომ გამოხატავს. კვართი გადახსნილია და მოჩანს ქალღმერთის ნატიფი შიშველი ფეხი.

მთელი რიგი ნიშნებით (ტანის წაგრძელებული პროპორციები და შედარებით პატარა ნიშის თავი, წინ გამწვრილი შიშველი ფეხი) ვანის ნიკე ანალოგიებს პოეზიას ნიკეს იმ ტიპთან, რომელიც ძვ. წ. II ს. მეორე ნახევარში შექმნა მცირეაზიური ქალაქის მირინის კოროლასტიკამ.³

ჭურჭლის მოსართავ ნაწილებს ეკუთვნის აგრეთვე ექვსი პროელიფური გამოსახულება, რომელიც მეღვინეთა-მევენახეობის ღმერთის — დიონისეს წრის ღვთაებებს გამოხატავს.⁴ მათგან ერთი ძლიერ დაზიანებულია, თუმცა შემორჩენილი ვაზის ფოთლებისაგან შედგენილი გვირგვინი მოწაბა, რომ აქ, ისევე როგორც დანარჩენ შემთხვევებში, დიონისეს წრის გამოსახულებებთან გვაქვს საქმე. მეორევე გამოსახული წვეროსანი მოხუცი პანი (ბერძნული მითოლოგიის თანახმად ესაა ტყის ღმერთი, მწყემსებისა და მონადირეების მფარველი ღვთაება). მას თხისებური წვეტიანი ყურები აქვს, ხოლო მენხური თმა ცხოველის ჩლიქებივითაა ამოხიდილი. პირი ფართოდ აქვს გაღებული და მოჩანს კბილების ქვედა რიგი. სწორედ ფართოდ გაღებული პირი და ზემოთკენ მომხრალი თვალები, ღრმა პირიზონტული ნაოჭებით დაღარული შუბლი, აძლიერებენ სახის უაღრესად პატივტურ გამომეტყველებას. ისეთი შთა-

* დასასრული. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ 1970 წ., № 2, № 9.

¹ ნ. ხოშტარია, რ. ფუთურაძე, ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეობით, „ქველს მეგობარი“, № 15, 1968, გვ. 28-30.

² ეს უნდა ყოფილიყო იმ ტიპის ჭურჭელი, რომელსაც პოლინიპტის უწოდებენ. სიონტერესია, რომ ასეთი ჭურჭლები ხშირად ნაპოვნი ტაძრებში და იხსენიებიან წარწერებშიც სატაბრი ქონების აღწერისას. დაწერ. იხ.

M. Milne A greek Fautbath in the Metropolitan Museum of Art the American Journal of Archaeology, XLVIII, № 1, 1944, გვ. 26-63.

³ „Myrina“, II, გვ. 65-68, სურ. 80-81.

⁴ პროელიფურ გამოსახულებათა სიმაღლე 10-12 სმ-ია.

ბეჭდილებაა, რომ მოხუცი პანი ახლა გამძვინვარებულია და საზარელი ყვირილით პანიკურ შიშს გვრის მისი სიმშვილის დაშრევებს.

სტილისტურად ეს გამოსახულება მოგვაგონებს კარგად ცნობილი წვეროსანი გალის ქანდაკებას იმ ჯგუფური კომპოზიციიდან, რომელიც ათეში აღმართეს ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში პერგამონელთა ახტატებმა (ე. წ. ატალოს პირველის ფოტივიში).⁵ საერთოდ კი ვანიშ ნაპოვნი გამოსახულება ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია და, იქნებ, დამაკავშირებელი რგოლიც გვიანბუნებისტური ხანის სატირთა გამოსახულებების იმ რიგში, რომელმაც ბრწყინვალე გამოსახულება კპოვა საყოველთაოდ ცნობილ „მოცმევაზე ფავნის“ ქანდაკებაში (პომპეუმში რომაა ნაპოვნი და ნეაპოლის მუზეუმში გამოფენილი).⁶

მესამე პორკლიეფური გამოსახულება დიონისეს მუდამ მხიარულ თანამგზავრს — სატირის ეკუთვნის. მის თავს ამკობს სურთს ფოთლებითა და ნაყოფით შდგენილი გვირგვინი. ოსტატს იგი თითქოს რიდავ შემოვარალი გამოუსახავს და ამიტომაც ცბიერი გამომეტყველება აქვს. სტილისტურად ეს გამოსახულება ძალიან ახლო დგას ე. წ. პერგამონული სტილის სატირების იმ ჯგუფთან, რომლის საუკეთესო ნიმუშები კახას-სიტის (აშშ) მუზეუმშია დაცული და ე. წ. II საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.⁷

მეოთხე გამოსახულება ქალისა და გამოირჩევა პათეტური იერით. აქ უკვე გზედვით კლასიკურად სწორ ნაკვეთებს. მას თავს ვაზის ფოთლებით შეკრული გვირგვინი უმკობს, ხოლო ყურებზე ყურძნის მტევნები კვიდა. სახეებით აშკარაა, რომ ესეც დიონისეს წრის ღვთაებაა. ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს არიადნე, თევზებისაგან მიტოვებული, რომელიც მითის თანახმად გახდა დიონისეს მეუღლე და ქურუმი.

დანარჩენი ორი პორკლიეფური გამოსახულება წარმოსახავს დიონისეს მუდამ მხიარულსა და მომხიბლავ თანამგზავრებს — სახემშვენიერ მენადებს. ორივეს თავს ამკობს ვაზის ფოთლების გვირგვინი. ერთ-ერთ მათგანს ფართო, განიერი სახე აქვს, მოკლე ნიკაბი. ამ ნიშნებით იგი უახლოვდება პერგამონის საკურთხეველის დიდსა და მეორე ფრიზებზე წარმოდგენილ ჭაბუკთა და ყმაწვილ ქალთა სახეებს.⁸

პერგამონული წრის მხატვრულ პლასტიკასთან დიდი მგავსება და სიახლოვე კიდევ უფრო მკაფიოდ შედგინდება მეორე მენადის გამოსახულებაში ძალზე დამახასიათებელია და ტიპური, მაგალითისათვის, თვალის გადმოცემა, მშვილდით მორკალული წარბები და ნაზად მოსაზრული ქეთუთები. სახის ოვალი, თვალები, მსუქანი ტუჩები და ნაწილი მოკლე კი თითქოს იმერებს ბერლინის მუზეუმში დაცული ცნობილ პერგამონელ ქალის თავს, რომელსაც ე. წ. II ს. მეორე მეოთხედით ათარიღებენ (დაახლ. ძვ. წ. 160 წლით).⁹

მილიანად ეს სკულპტურული მორთულობა წარმოადგენს ელინისტური ხანის ბერძნული ხელოვნების შესანიშნავ



ნიკე

ნე ნიმუშებს, რომელთა აგრე დამახასიათებელი მხატვრული სახეების მრავალფეროვნება სათავეს ძვ. წ. IV ს. უდიდესი პეოქნი მიქსადეკეისის პრაქსიტელესა და სკოპასის შემოქმედებაში იღებს. მათი დათარიღება ეჭვს არ იწვევს: ძალზე ახლო მსგავსება პერგამონული წრის მხატვრულ სახეებთან მიუთითებს პერგამონის საკურთხეველის ე. წ. მეორე ფრიზის შექმნის შემდგომ ხანაზე, ე. ი. ძვ. წ. II საუკუნის 60-იანი წლების შემდგომ პერიოდზე, მაგრამ არა უგვიანეს 40-იანი წლებისა.

გაცილებით უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ სადაა დამაზღვრელი ეს ჭურჭელი და მისი სკულპტურული მორთულობა. ვიდრე არაა დასრულებული მხატვრული სახეების კიდევ უფრო დეტალური სტილისტური ანალიზი, აგრეთვე არაა აღდგენილი ჭურჭლის ფორმა და არც მისი ტექნოლოგიური თვისებებია ჯეროვნად შესწავლილი, იძულებული ვართ ჯერჯერობით ღიად დავტოვოთ ეს საინტერესო საკითხი. მაგრამ ამ აღმოჩენის თვით ფაქტმა ჩვენთვის ამავრად ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი. იგი მოწმობს, რომ ვაზის მოსახლეობისათვის ცნობილია დიონისეს კულტთან დაკავშირებული ბერძნული მითოლოგიური რელიგიური სახეები (ამას სხვა რიგის მოთაყვამეები მოწმობენ). პირველ რიგში ყურადღებას იქცევს თვით ის ფაქტი, რომელშიც აღმოჩენილია დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებებით შემკული სარიტუალო ჭურჭელი.

⁵ L. Alschar, Griechische Plastik, Berlin, 1957, გვ. 96, და შემდ. გვ. 101 და შემდ. სურ. 43.
⁶ L. Alschar, დასახ. ნაშრ., გვ. 110 და შემდ. გვ. 113-115, სურ. 47 ბ.
⁷ შედ. M. Bieber, A Satyr in Peryanene Style in Kansas City, the American Journal of Archaeology, 67/3, 1963, გვ. 275 და შემდ.
⁸ L. Alschar, დასახ. ნაშრ., გვ. 90, 98, სურ. 36 ბ.
⁹ L. Alschar, დასახ. ნაშრ., გვ. 89-92, 100-102, სურ. 35; E. Rohde, Griechische und römische Kunst in den Staatlichen Museen zu Berlin, 1968, გვ. 109, სურ. 81.



სატირა

ესაა ძვ. წ. II საუკუნის ტაძარი, რომელიც წარმოადგენს აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ მარტივი მგვართონის ტაძრის სწორკუთხა ნაგებობას, რომლის პარალელური (იხრ. და სათ.) კედლების სიგრძე 13 მეტრია, ხოლო დასავლეთი კედლისა — 5 მეტრი. ტაძრის მიწიანი, მის დასავლეთ ნაწილში, აღმართულია სწორკუთხა პოტამენური მდგარი მრგვალი სვეტი—საკურთხეველი. ტაძარს აქოხდა მოსაიკური იატაკი, რომელიც კიხისხარით შეაკვირებული თეთრი და ღია ვარდისფერი რიყის ქვიშითაა შედგენილი. ეს იატაკი თითქმის სავანგებოდა: მთლიანად დახვრული. ტაძრის მოსაიკური იატაკის ნანგრევებში აღმოჩენილია მდიდარი შეწიკრული: კოლხური ქვევრი და 40-ზე მეტი (!) აფორა, 120 სპილენძის მონეტა. იქვე ნაპოვნი სარიტუალო საგნები: რკინის სასაქმევლე, რომელიც ორი ნაწილისაგანაა შედგენილი — „ჯამისა“ და დაფხვარულ კედლიანი კონუსური ქუდისაგან. „ჯამის“ კალთები ხატიფორი ორნამენტით (ფიბი და მარკალიტები, ვარდულები, მცენარის ფოთლოვანი ღერაუბი, ფრინველის გამოსახულებანი) მორთული ბრინჯაოს ფირფიტით ყოფილა გარემორტული. ტაძარში აღმოჩენილი მთელი კოლექცია: მეღვინეობა-მეფენახეობის მფარველი ღვთაების დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებებით მორთული სარიტუალო ჭურჭელი, საღვინე ქვევრი და შეწიკრული აფორები ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ტაძარი სწორედ მეღვინეობა-მეფენახეობის კულტთან იყო დაკავშირებული არქეოლოგიური აღმოჩენით დადასტურებული ეს საისტორიო შეთხარება ძალზე ჰკავს ჩვენს ეთნოგრაფიულ ყოფაში შიშობანულ ქართულ საკულტო მარას. ქართველმა ეთნოგრაფებმა საკმაოდ დამაჯერებლად ურყენეს ვაზის მო-

სავლიანობასთან დაკავშირებული მავიური და რელიგიური რწმენა—წარმოდგენების არანეგულბრებივი მრავალფეროვნება, რაც სრულიად სამართლიანად ჩვენში მეღვინეობა-მეფენახეობის კულტურის სიძველედაა მიჩნეული. დადგენილია, რომ ქართული მარანი სალოცავ ადგილს წარმოადგენდა და არსებობდა სავანგებო საკულტო მარნები, სადაც მარჯვენა კუბუხში იდგა სახედავმე ქვევრები, ე. ი. ღვთაებისათვის შესაწირავად გამიზნული ღვინის ჭურჭლები (ვანში აღმოჩენილ შემოსავნებელი ტაძრის სწორედ აღმოსავლეთ ნაწილში ელაგა შეწიკრულობა — 40-მდე ამფორა).

ქართული მარანი საჯვარე, სახედავმე-საკულტო ნაგებობაა, რომელიც სალოცავის ხატის როლს ასრულებდა. აქვე სსრულებოდა ლოცვა-ვედრებისა და მსხვერპლის შეწირვის რთული რიტუალი.¹⁰ ძალზე საინტერესოა აგრეთვე, რომ ვანში გათხრილ ამ ტაძარში აღმოჩენილია თირში ანოკვეთილი ორმოც, რომელიც, ვფიქრობთ, მსხვერპლად შეწირული პირუტყვისა თუ ფრინველის სისხლის ჩასადგურებად იყო გაკეთებული. ერთი სიტყვით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილი სურათის შედარება ქართულ ეთნოგრაფულ მასალებთან უაღრესად საინტერესო პარალელს ავლენს და ამ მიმართულებით შემდგომი კვლევა-ძიება ალბათ კიდევ უფრო პერსპექტიული იქნება. ამჟამად კი ჩვენ შეზოლდ იმას აღვნიშნავთ, რომ ზემოაღწერილი ნაგებობის არქეოლოგიური შესწავლით დასტურდება ქართული რელიგიური წარმოდგენების ღრმა და ადგილობრივი ფესვები. ამავე დროს მას გარეგნულად მაინც, იმდროინდელი მოდის შესაბამისად, გარკვეული ელინური იერიც აქვს მიღებული. მხედველობაში გვაქვს სწორედ ის სარიტუალო საგანი, რომელიც მეღვინეობა-მეფენახეობის მფარველი ბერძნული ღვთაების დიონისეს წრის მხატვრულ-რელიგიური სახეებით არის მორთული და მოწონილი დიონისეს კულტის არსებობის ვანში. მით უმეტეს, რომ ამის მოწონებელი გაიძლიერა სხვა საბუთიც დავასახელოთ: არქეოლოგიური გათხრებისას ვანში აღმოჩენილია ერთი ნაწილი ტრაკოტული ნიღბებისა, რომელიც გამოსახავს დიონისეს, აგრეთვე მის თანამგზავრებს — სილინსა და სატირს.¹¹ დიონისეს კულტის გავრცელების მოწმობად მიიჩნევენ აგრეთვე ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილ დღესასწაულებს, რომლის ზოგიერთი მომენტია — თხის ტყავებში გახვევა, ნიღბების გაკეთება და სხვ. მართლაც წააგავს დიონისურ მისტერიებს. ამიტომ სავსებით სამართლიანია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმული მოსაზრება, რომ ელინისტური კულტურის გავლენით დიონისეს სახით აქ შედგენილება უძველესი ადგილობრივი ღვთაება. დიონისე იყო ყველაზე პოპულარული ბერძნული ღვთაება საკურთხეო საბერძნეთის ფარგლებს გარეთ. ელინისტური კულტურის გამოჩენილი ძველესი ვილიაზს ტარნი წერს: „თუ ოდესმე რომელიმე ბერძენი ღმერთის ძალუდა მსოფლიოს დაპყრობა, ეს შეეძლო მხოლოდ დიონისეს, რომლის კულტი მიმხა მსახიობებმა მრეულ ევეკანას მოფინეს, ხოლო ხელოვნებამ და ლიტერატურამ უზრუნველყო მისი ტრეუმფალური მსვლელობა აზიაში

¹⁰ დავრ. ნ. თოფურია, ქართული მარანი, მჭებლის მეცნიერება, № 16;

В. В. Бардавелидзе, Древнейшие верования и обрядовые графические искусство восточных грузинских племен, Тбилиси, 1958, გვ. 65—75.

¹¹ ქ. რამიშვილი, ანტიკური ხანის ტრაკოტები ვანიდან, მსკრეპლს კავასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1968, გვ. 292—299.

მგავსად ალექსანდრე მაკედონელისა¹² ცნობილია, რომ ერთგულმა გააიგივეს იგი თავის ღმერთთან სავაოფისს. ეგვიპტელებმა — სერაპისთან (იმის გამო, რომ სერაპისის კულტში თავს იჩენს ოზირისის კულტის ელემენტები). დიონისე გახდა ატალიდეებისა და პტოლემეოსების წინაპარი.

დიონისური კულტები ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური ხანის შუა ასიაშიც.¹³ მით უფრო გახსავებია „დიონისური“ კულტების პოპულარობა და გავრცელება საქართველოში, რომელიც მეღვინეთა-მევენახეობის უძველეს ქვეყანას წარმოადგენს.

ფიქრობთ, მოტანილი მავალითებიდან ჩანს თუ როგორ აისახა ელინიზმის გავლენა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში. მაგრამ საზგასებით უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ეს ძლიერი გავლენა ელინიზმისა ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ჩანს მხოლოდ ვანში. ეს არ უნდა იყოს შედეგი იმისა, თითქმის ვანი უკეთაა შესწავლელი. ელინიზმური ხანის ძეგლები საკმაო რაოდენობითაა კოლხეთში: გამოვლენილი და ზოგიერთი მათგანი ინტენსიურად შესწავლილი, მაგრამ სურათი მაინც საგვებით განხსავებულა.

ბუნებრივია, დგება საკითხი იმის შესახებ თუ რით აიხსნება ელინიზმის ასეთი ძლიერი გავლენა ვანში. საკითხის მარტივად გადაწყვეტა იქნებოდა, რომ იგი ელინურ ქალაქად გამოვლენადებინა, მაგრამ ნამდვილ ელინურ ქალაქსა და ვანს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ცასა და დედამიწის შორის. აქვე უნდა შევინიშნოთ, რომ გამოთქმა: „ელინიზმის ძლიერი გავლენა“ საკმაოდ პირობითია აქ ელულისმება საქართველოსა და კავკასიის მასშტაბში. საკმარისია შევადაროთ იგი მახლობელ აღმოსავლეთს, რომ თვალსაჩინო გახდეს, თუ რაოდენ უზღაბრულია ეს გავლენაც კი. აქ არ გვხვდება არც წმინდა ბერძნული ტიპის ტაძრები, არც საცხოვრებელი ნაგებობანი — დამახასიათებელი პერისტილური ტიპისა. ვერ ვხედავთ ვერც წმინდა ბერძნულ ქანდაკებებს, რომელიც აგრე დამახასიათებელია ელინური საქალაქო თემისათვის და მისი წარმოდგენებისათვის კალოკაგათისა შესახებ.

ჩვენ გზადაგზა აღვნიშნავდით თუ რა ძლიერია აქ ადგილობრივი ტრადიციები, რომელიც ძალიან კარგად ჩანს მასიურ არქეოლოგიურ მასალაშიც (განსაკუთრებით კერამიკაში). ამავე უნდა დავემატოთ, რომ ტაძრების შეწირულობა ყველგან ადგილობრივია და, მამასადამე, ადგილობრივი მოსახლეობის რწმენას და მის გემოვნებას ასახავს. ერთ-ერთი მიზეზი ელინიზმის გავლენისა, ჩემი აზრით, უნდა ვეძებოთ სოციალურ-ეკონომურ წყობაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ როგორც ელინიზმის გეოგრაფიულ გავრცელებაზე თუ მის არეალზე დაკვირვება გვიჩვენებს, ელინური გავლენა და სინკრეტისმი ყველა იმ რაიონისათვის როდია დამახასიათებელი, სადაც კი ელინისტურ ხანაში ბერძენ-მაკედონელთა კოლონიზაცია ვრცელდებოდა: საჭირო იყო შესაფერი პირობები, რათა გავრცელებულიყო ელინური და ელინისტური კულტურა.

ჩვენ ფიქრობთ, რომ ელინისტური კულტურის გავრცელება ვანში განაპირობა ამ ქალაქის თავისებურებამ.

დღემდე ამოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით ვანის ნაქალაქარი თითქმის არ წააგავს „ნამდვილ“.

„საერო ქალაქს“. უკვე საკმაოდ თვალსაჩინოა ამ ქალაქში სატაძრო-საკულტო ნაგებობათა დიდი ხვედრითი წილი და მათი თითქმის წამყვანი როლიც. ჩვენი აზრით, აქ საქმე უნდა გვექონდეს ელინისტური ხანის საქართველოს დიდ სატაძრო ცენტრთან, ანუ სატაძრო ქალაქთან. ეს უნდა ყოფილიყო იმავე რიგის ქალაქი, როგორც იყო ძველ ეგვიპტეში კარნაკი, ხოლო არქაული და კლასიკური ხანის საბერძნეთში — ოლიმპია, დელფო, აღონა და სხვა, უფრო კი ელინისტური ხანის მცირე აზიის დიდი სატაძრო გაერთიანებანი: პონტოს კომანა და ზელა, ზეფსისა და აპოლონის ტაძრები კავადოკიაში, ღმერთების დღვის ტაძარი პესინუნტში, ოლიმპის სატაძრო სახელმწიფო კილიკიაში, ანატიის ტაძარი არმენიაში და სხვ. კარგადაა ცნობილი, რომ ეს ტაძრები მხოლოდ საკულტო-რელიგიურ ცენტრებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ იმავე დროს იყვნენ მახვილი პოლიტიკური და ეკონომიური ერთეულები, რომლებიც უზღობდნენ ვრცელ მიწებსა და აურაცხელ სიმაღლერს.¹⁴

სწორედ ვანში ამოჩენილ ქალაქს უნდა გულისხმობდეს ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი, როდესაც კოლხეთის აღწერისას ასახელებს ლეკოთეთს მდიდარ სატაძრო ქალაქს.¹⁵ სახეებით აშკარაა, რომ ლეკოთეთს სახელიც აქ

¹⁴ შტრ. სტრაბონის „გეოგრაფია“ XII, 2-3-6; XI, 3, 32; 37.
¹⁵ დამწ. ლეკოთეთს ტაძრის ვანის ნაქალაქართან ინტენტივობის შესახებ იხ. ო. თ. ლ ო რ თ ი ე ნ ა ნ ი ძ ე, „ვანის ქალაქი“. ცისკარი, 1968 № 7, გვ. 133—142.

ხანა



¹² В. Тарн, Эллинистическая цивилизация, М., 1949, 33, 307.
¹³ Г. А. Пугаченкова, Сосуд из Термеза с вакнической сценой, Вестник древней истории, 1951, № 1.



მენაღა

თი როლი ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივ სისტემაშიც.

ძვ. წ. III-I საუკუნეებში კოლხეთი აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელმაც ამ დროს უაღრესად ფართო მასშტაბები მიიღო.¹⁹ გვირგვინურ ურთიერთობას ელინისტურ ქვეყნებთან, ბუნებრივია, თან მოყვებოდა კოლხეთში ელინისტური კულტურის გავრცელებაც. მით უფრო, რომ ელინიზმის ხანაში კოლხეთზე (და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებზე) გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელიც დასავლეთის ბერძნულ-ელინისტურ სამყაროს აღმოსავლეთთან აკავშირებდა.²⁰ შესაბამისად, შეიძლება გვეტყვიან, რომ ელინისტური კულტურა საქართველოში ვრცელდებოდა შავიზღვისპირა ოლქებიდან, სადაც უკვე ძვ. წ. VI ს. შუა ხანებიდან არსებობდნენ ვ. წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის ხანაში დაარსებული ელინოსამოსახლეობები. მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ზღვისპირა ზოლში არ ჩანს²¹ სწორედ ის ელინისტური კულტურა, აგრეთვე დასაჩინოდ რომაა წარმომჩენილი ვანში²². ეს გარემოება თითქოს უკვე იძლევა საფუძველს, რომ დავუჭვადეთ ძველ

¹⁹ კოლხეთის ელინისტურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობის შესახებ დავრ. იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო, გვ. 117—137.

²⁰ ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის შესახებ, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, XIX, 3, 1957, გვ. 337-334.

მენაღა

იხსენიება ადგილობრივი, ძველი ქართული წარწართული პანთეონის ღვთაება, რომელიც გარეგნული ნიშნებით ემსგავსებოდა ბერძნულ ლეგვითას — თეთრ ქალღმერთს, ზღვის ღვთაებას.¹⁶ წყლის ღვთაების კულტი კი ძველ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და მისი გადმონამოები უკანასკნელ ხანებამდეა დასავლეთ საქართველოში. აღსანიშნავია, მაგალითად, სამეგრელოში ცნობილი დღესასწაული „მეფეგობა“. ხალხის წარმოდგენით, მესეფი იყო წყლის ღვთა, რომელიც ამ დროს ზღვიდან ამოდიოდა... ამას გარდა, გავრცელებული იყო რწმენა წყლის ღვთაზე („წყარიში დიდა“) რომელიც „თეთრი ქალიშვილის“ სახით (!) იყო წარმოდგენილი¹⁷ (ლევკოთეა სიტყვისეტიკით ნიშნავს „თეთრ ქალღმერთს“).¹⁸

ელინისტურ აღმოსავლეთში სატაძრო ქალაქები ასრულებდნენ ძალზე დიდ როლს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე იყო მ-



¹⁶ ბერძნული სათაისი, უცხო ხალხთა რელიგიური კულტების აღწერისას, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ასე მაგ. პეროპოტეს ცნობით (IV, 59): „სკვითები თაყვანს სცემენ შემდეგ ღვთაებებს: ყველაზე მეტად ჰესტიას, შემდეგ ზევსსა და ჯესს... შემდეგ აპოლონს, აფროდიტე-ურანიას, არესს და პერაკლეს... ჰესტიას სკვითურად ეწოდებენ ტაბიტი, ზევსს — პაპე, ჯესს — აპი, აპოლონს — ჰოიტოსინი“ და ა. შ.

¹⁷ ს. შ. ქალაქთა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 331—337.

¹⁸ დავრ. ოთ. ლორთქიფანიძე, ივანის ქალაქი, გვ. 141—143.

კოლხეთში ელინისტური კულტურის ზღვისპირა ოლქებიდან გავრცელების შესაძლებლობაში. მით უფრო, რომ იგივე კულტურა საქმოდ მკაფიოდ იჩენს თავს შიდა კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში და განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში (სამადლო²¹, სარკინე. მცხეთა და მისი მიდამოები,²⁴ წუნდა) შეიძლება დავინახოთ მთელი რიგი მსგავსება ვანის სამშენებლო წესებსა და ე. წ. არმაზციხე პირველის რიგის ძეგლებს შორის, რომელნიც „დიდი მცხეთის სხვადასხვა უბანზე“ (არმაზციხე, წიწა-მური, სარკინე) აღმოჩენილი: ისეთივე სამშენებლო წესები, ქვათილიები²⁵ და არქიტექტურული დეტალები (ბაზები, კაპიტელი, წნული ჩუქურთმა)²⁶, ზოგიერთი მონობის გვერძე²⁷ აგრეთვე ალიზის აგურები²⁸ ფართო გამოყენება. ყველაფერი ეს უცხოა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რაიონებისათვის. აღსანიშნავია აგრეთვე, ვანის კრამიტების დიდი მსგავსება სამადლოს ნამოსახლარის კრამიტებთან.²⁹ კიდევ მეტი! ჩანს გარკვეული სიახლოვე ვანისა და მცხეთის კრამიტებზე აღნიშნულ ნიშნებს შორის.³⁰ ყოველივე ეს ჩვენს წინაშე სვამს საკითხს ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებსა და აღმოსავლეთ საქართველოში ელინისტური კულტურის ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობის შესახებ. საკითხის ამგვარად დაშლის შესაძლებ-



არიადნე.

²¹ ნახვასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზღვისპირა რაიონებში ძვ. წ. III-I საუკუნეებში კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო ადგილობრივი მოსახლეობის როლი წინამორბედ ხანასთან შედარებით. ამაზე მიუთითებს სხვათაშორის ს ტ რ ა ბ რ ი ს მ ი გ რ ფასისა და დიოკლეტიანის კოლხთა სავაჭრო ცენტრებად მოხსენიება («გეოგრაფია», XI, 2, 16-17).

²² ძვ. წ. III-I სს არქეოლოგიური ძეგლები თითქმის მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშია აღმოჩენილი გონიო-ფსასარსი, ქობულეთ-ფიქნარი, ფოთის მიდამოები, ირამიჩე, სოსეპი და მისი მიდამოები, ეშერა).

²³ იხ. ი. გ ა გ რ შ ი ძ ე, ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე. XXVII — B თბილისი, 1968.

²⁴ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბილისი, 1963, გვ. 21-213-214; ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955, გვ. 24-26, 33.

²⁵ შღრ. ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, გვ. 25, ა. აფაქიძე, ქალაქები... გვ. 22 და შეშე.

²⁶ შღრ. ა. აფაქიძე, ქალაქები... გვ. 26, სურ. 7, გვ. 39; და შეშე. სურ. 21-23.

²⁷ განსაკუთრებით საინტერესოა წიწამურში აღმოჩენილი მრგვალი მონობის ნაშთები, რომლის შესწავლა, სამუშ. რ. აღ. აბაგრეულბეგია. იხ. ა. აფაქიძე, ქალაქები... სურ. 100 (191-ე გვერდზე).

²⁸ ვანისა და არმაზციხის ალიზის აგურები ერთმანეთს ზოთითაც ემსგავსებიან: მათი სიგრძე 52 სმ., რასაც გარკვეულ სიზომ ერთეულად მიიჩნევენ, პირობით ქართულ წყრთას³¹ ეწოდებენ და ნიჭურისა და ურარტუს წყრთას უტოლებენ) ა. აფაქიძე, ქალაქები... გვ. 78; შღრ. ირ. ციციშვილი ი ძველ საქართველოში ხმარებულ სიგრძის საზომის, შესახებ, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე IX, № 5, 1943, გვ. 330-332).

²⁹ დაწერ. ი. გ ა გ რ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ.

³⁰ ცხოვთური კრამიტის ნიშნები იხ. ა. აფაქიძე, ქალაქები... სურ. 58-71. ვანური ნიშნები, სამუშ. რ. აღ. აბაგრეულბეგია.

ლობას სხვა რიგის არქეოლოგიური მასალები გვეჩვენებენ. ანტიკური ხანის კოლხეთის ნივთიერი კულტურის განვითარების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში კოლხეთის ნივთიერი კულტურა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ფარგლებში მკაცრად ერთიანია, როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე შიდა რაიონებშიც (მთასა და ბარში). ეს არის კოლხეთის სამკუთხ არსებობის ხანა და ეთნიკურად ამ კულტურის მატარებლები იყვნენ დასავლურ-ქართული ანუ მეგრულ-ჭანური (ხანური) ტომები. მაგრამ უკვე ძვ. წ. IV და განსაკუთრებით III-II საუკუნეებში თანდათანობით ისახება ორი კულტურული არეალი, თითქმის ჩნდება გარკვეული განსხვავება ზღვისპირა ოლქებსა და დღევანდელ გურია-იმერეთის ტერიტორიებს შორის. გარდა ზემოთქმულისა (ხუროთმოძღვრებას რომ შეეხებოდა) ეს განსხვავება გამოიხატება აგრეთვე დაკრძალვის წესში: ამ დროს დღევანდელი გურია-იმერეთის ტერიტორიაზე ვრცელდება ქვევრ-სამარხები, რომელიც ჯერჯერობით არ გვხვდება ზღვისპირა რაიონებში. შეინიშნება განსხვავება კრამიტის ზოგიერთი ფორმის გავრცელებაშიც. ასე მაგალითად, ორივე წრისათვის დამახასიათებელ ტიპებთან ერთად, ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში ჩნდება წითლად მისაბერილი კრამიკა, რომელიც ზღვისპირა რაიონებში ჯერჯერობით აგრეთვე დადასტურებული არ არის. მაგრამ ძალზე საყურადღებოა, რომ იგივე ელემენტები (ქვევრ-სამარხები, მონატული კრამიკა), ისევე როგორც ზემოაღნიშნული ნიშნები ელინისტური კულტურისა, ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოში. ეს ის ხანაა სწორედ (ძვ. წ. IV-III სს), როდესაც

მიმდინარეობს ქართლის სამეფოს (იბერიის) ჩამოყოფილებად, აღმოსავლურ-ქართული ტომებისა და სავანთად იბერიის „დიდი უქსანისა“³¹ დასავლეთით, რაც აისახა, როგორც ძველ ქართულ (ლეონტი მროველი),³² ასევე ბერძენ მწერალთა (სტრაბონი,³³ არიანე³⁴) ცნობებში. ქართლის სამეფოს შექმნაში კი, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მესხურმა ტომებმა. საკმარისია: დინოშენი, რომ ქართლის სამეფოს დედაქალაქის — მცხეთის სახელწოდება მესთა ტომებს უკავშირდება.³⁵

მესთა ანუ ამოსავლური ქართული ტომების დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძე. წ. III საუკუნიდან განასახლებამზე მიუთითებენ ბერძენ-რომაული და ბიზანტიელი მწერლები (სტრაბონი, პლინიუსი, სოლინი, პროპოი კესარიელი). საკმარისია აღინიშნოს, რომ ლეგეოთებს სახელზე აგებული საქაბარო ქალაქი, რომელსაც ჩვენ ვინც ნაქალაქარან ვაიგივებთ, სტრაბონის ცნობით მუხარკობდა მდინარე ფასისთან (მდ. რიონზე), „მოსხების ქვეყანაში“.³⁶ ულინისტური კულტურა საქართველოში უმეტეს მოეხატა და გავრცელებინათ სწორედ მესხურ ტომებს, რომელნიც ძველთაგანვე მეიერე აზიის ჩრდ. ამოსავლეთით მოსახლეობდნენ³⁷ და უშუალო კონტაქტია ჰქონდათ, ერთი მხრივ, ძველამოსავლურ ცივილიზაციებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ბერძენულ-ელინისტურ სამყაროსთან. და იქნებ შემთხვევით არაა სწორედ ის გვიანსტური ცნობებიც ჩვენ რომ ვაწიში ნაპოვნ ლომის თავის სკულპტურულ გამოსახულებაზე აღვნიშნეთ. დიონისტური კულტების გავრცელებაც, იქნებ აგრეთვე უკავშირდება მესხურ ტომებს, რომელთაც უშუალო კონტაქტები ჰქონდათ ფრიგიასთან, სადაც დიონისტის მისტიკრიები ფართოდ იყო გავრცელებული.³⁸

ამრიგად, ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჩნდება უაღრესად საინტერესო და მრავალმხრივ საყურადღებო მასალა, რომლის შესაწავლამ შეიძლება მიგვიყვანოს მეტად მნიშვნელოვან და ზოგჯერ სრულიად მიულოდნელ დასკვნებამდე საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებზე. მასთან ერთად, იგივე მასალა უთუოდ წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს საერთოდ ულინისტურ, როგორც კკონიშიურ წყობაში, პოლიტიკურსა და სოციალურ ურთიერთობაში, კულტურასა და იდეოლოგიაში ელინური და ამოსავლური საწყისების თანარსებობისა და ურთიერთშემქმნელობის ეპოქის შესახებ.

სამბოლო ხელისუფლების გამარჯვების პირველივე დღეებიდან კომუნისტური პარტია და მნიშვნელოვანი ანიჭებდა კინოშუალობის გამლას სოფლად. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ დადგენილებებში, პარტიის ყრილობებისა და კონფერენციების რეზოლუციებში ხასჯანმული იყო სოციალისტურ მშენებლობაში გლხეთა ფართი მასების ჩაბნის საქმეში კინემატოგრაფიის, როგორც ყველაზე უფრო საჭირო საავტოციო საშუალების გამოყენების აუცილებლობა.¹

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასების გათვითცნობიერებას კინოს საშუალებით. რაც ნათლად ჩანს მის სიტყვებში: „ჯანსაღი კინო შევიტანოთ მათგანში ქალაქად, განსაკუთრებით კი სოფლად“.² აქ, ცენტრი სიტყვებზე — „განსაკუთრებით კი სოფლად“ — ლენინის მთელ რიგ დოკუმენტებში მოიპოვება. განსაკუთრების კინოგანყოფილებისადმი 1922 წლის 17 იანვრის დოკრეტებში ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სოფლებში კინოთეატრების ორგანიზაციას“.³

ვ. ი. ლენინი კინოს განვლილავდა როგორც გლხების კულტურული დონის ამაღლების მძლავრ საშუალებას.

სრ კავშირის ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ საბუღალწოთ არქივში ახლახან აღმოჩენილ მასალებში, რომლებზე გვება ა. ვ. ლუნინარსკის გამოსვლას კულტურის საკითხებზე 20-იან წლებში, მოხსენებულია ბელადის უნებინ გამოთქვებში კინოს მნიშვნელობაზე სოფლად: კერძოდ, „...სოფლისათვის კინო არასაყლმ მნიშვნელოვანია, ვიდრე წიგნი“.⁴

ლენინური შედარების მთელი სიღრმე გასაცნობი იქნება, თუ გაითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდის გლხეთა მოსახლეობის უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. და რა თქმა უნდა, კინოს, როგორც ყველაზე უფრო მასობრივ ხელოვნებას, შეეძლო ფართო უზომქმნელობა მოხდინა კულტურული რველუკიის გატარებაზე სოფლის მოსახლეობას შორის, რომლის გამარჯვებლაც ვ. ი. ლენინი კოპოპრაციული გემის განხორციელებას უკავშირებდა.⁵

ხელმძღვანელობდნენ რა ლენინური მითითებით, ქართველმა კომუნისტებმა საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობაზე (1925 წ.) მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სოფლის კინოფიციერის შესახებ.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ავტორობის სოფლად უშუალობის საგანგებო თათბირზე ხასჯანსიბი აღინიშნა, რომ კინო არის გლხეთა შორის ავტოციის საუკეთესო საშუალება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართულ სოფლებში სახლების სასეციფერ განლაგებას, რომელიც მნიშვნელოვანდ განსხვავდებოდა რუსეთისაგან, სადაც, როგორც წესი, ერთ კვადრატულ კილომეტრზე, ერთიმეორის გვერდით, საშუალოდ სამასამდე კომლი იყო. ქართულ სოფლებში კი სახლების იმავე რაოდენობა 3-4 და კიდევ მეტ კომპლექტზე იყო გადაჭიმული.⁶ ასეთ პირობებში გლხეთა შორის მასობრივ მუშაობის ჩატარებისათვის ყველაზე შესაფერისი საავტოციო საშუალებად მოძრავი კინოდანავარები მიიჩნის.

ქართული სოფლის კინომომსახურებას პარტია და მოაერთობამ იმათივედ დიდი ყურადღება მიაქცია. რაიონული ცენტრალური დროგამოშვებით ჩამოქონდათ მოძრავი კინოდანავარები და ასე უჩვენებდნენ ფილმებს. ყოველი სეანსი თავისებურ სენსაციურ მოვლენად იქცეოდა ხოლმე. 1926 წლისთვის კი სასოფლო კინოქალაქე მიმაგრებული

³¹ ნ. ბერძენიშვილი, ლახვის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ქუთაისის სახ. ისტ. ეფნ. მუზეუმის მასალები, 1968, გვ. 21.

³² შდრ. ლეონტი მროველის ცნობები ქართლის პირველი მეფის ფარნავაზისა და მის მიერ დასავლეთ საქართველოში ციხეების (დინა, შორაპანი) მშენებლობის შესახებ (საქართლის ისტორია, I, თბილისი, 1955, გვ. 24).

³³ სტრაბონის „გეოგრაფიკაში“, რომელზეც ხშირად სხვადასხვა დროსა და ავტორთა ცნობება გაერთიანებულ, ვხვდებოდა ასეთი მითითება: „დანარჩენი კოლხიდა (დოსუკური). შემდეგ — ო. ლ.) მეტწილად ზღვასთან მდებარეობს“ (X, 2, 17).

³⁴ რამუნდამე გვიანდელ ვითარებას ასახავს არაწა, რომლის თანახმად შვიი ზღვის სანაპიროს მახლობლად მცხოვრებნი ზიდრიტების ტომი ქართლის მეფის ფარნაქის ქვეშევრდობია.

³⁵ დაწერ. გ. ა. მელიქიშვილი, R ისტორი ძრეხი გრუჯინ, ტბილისი, 1959, გვ. 111.

³⁶ დაწერ. ამ საკითხზე იხ. ოთ. ლ. ორბელიანიძე, აქანის ქალაქი, გვ. 139-150.

³⁷ იხ. გ. ა. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 105, 111-113.

³⁸ შდრ. სტრაბონის გეოგრაფიკა, X, 5.

სოფელი და კინო

(1926-1980 წლები)

ვალენტინა ცომაია

იყო ათი მოძრავი კინოდანადგარი. სოფელთან უშუალო კავშირში მყოფი პარტიული მუშაკები და პოლიტიკანმა-ნათლებლები (ქობ-სამკითხველოებისა და კლუბების გამგეები) გამოდიოდნენ რა სოფლად მუშაობის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირებზე, აღნიშნავდნენ გლეხების შორის კინემატოგრაფიის მზარდ პოპულარობას, საბჭოთა ხელისუფლების იდეების განმტკიცებისა და გლეხთა უპარტიო მასების სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საქმეში მის მნიშვნელობას⁷.

რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებმა საქართველოს სახკინმრეწველ დაავალეს სოფლის მაცურებლის მომსახურების მოწყობისკენა. მოძრავი კინოდანადგარებით ვერანაშენებელი ფილმების ჩვენების პრაქტიკა სერიოზულ საყვედურებს იწვევდა, რადგან მათი უმრავლესობა თემატიკით ვერ პასუხობდა გლეხი მაცურებლის მოთხოვნებს. სოფლისთვის საინტერესოდ გადაღებული ფილმები კი, სამწუხაროდ, ჯერ არ არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საგანმანათლებლო ხასიათის კულტურფილმებს.

1927 წლიდან გარკვეული ტენდენცია ჩნდება ქართული სოფლის კინოფიციის საქმის მტკიცე კალაპოტში ჩასაყენებლად. შეიქმნა ობიექტური პირობები — განმტკიცდა საქართველოს სახკინმრეწვის საწარმოო ბაზა, რომელმაც დაიწყო ქართული წარმოების ფილმების რეგულარულად გამოშვება. ამასთან გაუმჯობესდა რაიონების მომარაგება კინოსაპროექციო აპარატებით, ყურადღება მიექცა სოფლის კინოფიციის ამაღლების დონეს, კინოაპარატურის მფლობელობას, გლეხთა მოსახლეობის დასწრებას, რევისერას და სხვ.

შემოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათების ანალოზიდან ჩანს, რომ 1926-1927 წლებში სახკინმრეწვის გარკვეული მუშაობა ჩატარებია სოფლის კინომომ-

სახურების ხაზით და სათანადო დასკვნები გამოუტანია საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ა/კვ-კასის სამხარეო კომიტეტის მითითებებისა და რეკომენდაციის შესაბამისად.

შორაპნის, ქუთაისისა და ფოთის გუბერნიებში კინომუშაობის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში მოძრავი კინოდანადგარების, კინოაპარატურის რაოდენობისა და მდგომარეობის სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად ვკითხულობთ: „საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოებ კინოფილმებს ყველაზე მეტად ესწრებიან“⁸ და შემდეგ: „სურათების რეპერტუარზე როცა ვლაპარაკობთ, საჭიროა მივუთითოთ, რომ საქართველოს სახკინმრეწვის მიერ გამოშვებული სურათების უმრავლესობა სრულიად დამამაყფოლებელია“⁹.

ამ ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1927 წლიდან საქართველოს სახკინმრეწვი ჯეროვან ყურადღებას აქცევს ქართული სოფლისათვის განკუთვნილი ფილმების რეპერტუარს, აგზავნის თავისსა და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა კინოორგანიზაციების პროდუქციის საუკეთესო ნაწილს. ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ სახკინმრეწვის პროდუქცია დიდი წარმატებით სარგებლობდა ქართველ გლეხობაში, რომლებიც ხალისით უყურებდნენ ეროვნული კოლორიტით, თემატიკითა და ტიპაჟებით მათთვის ახლობელ ფილმებს. გამოკვლევით მიღებული მონაცემების საფუძველზე საქართველოს კვ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის შთავარბოლიტგანათლებასთან ერთად დაადგინა სოფლად ჩატარებინათ სისტემატური კინომუშაობა. დღის წესრიგში დადგა არა მარტო სოფლის კინოფიციერება, არამედ გლეხთა სათანადო მომზადება ნახატი ფილმების სწორად აღქმისა და გაგებისათვის¹⁰.

ამავე დროს გადაწყდა სენსების ჩატარება ლექციებითა

ერთად, რისთვისაც მუშაობაში ჩააბეს მოძრავი სკოლები: ლექტორები, მთავარპოლიტგანათლების წარმომადგენლები და ქონ-სამკვიფრეობების მუშაკები.

რესპუბლიკის კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი (1928-33 წწ.) დიდი ამოცანები დაკისრათ სახეივნურწი მუშაკებს. ვგემაში ხაზგასმული იყო კინოფიციერების უდი-დესი მნიშვნელობა სოფლად საბჭოთა ხელისუფლების გან-მტკიცებაში¹².

კინო უნდა ქვეყლიყო სოფლის კულტურული ცხოვრე-ბის ცენტრად, რის მიუხეობთაც განხორციელებდებოდა გლე-ხობის ჩანაბა სოციალისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხე-ლისუფლების გადაწყვეტილებათა ჰოპულარზაციისათვის უნდა გამოეღობიყო აგრეთვე დაუნდობელი ბრძოლა რელი-გიასთან, ძველის გადმონაშთებთან, უციობასა და ცრუ-მორწმუნეობასთან¹³.

ასებულო დღეუმენტები მოგვიხსრობენ, თუ როგორ მწვლად მიმდინარებოდა სოფლის კინოფიციერება. არ იყო საკმარისი საჭირო აპარატურა, იძულებული ხდებოდნენ ნა-წილობრივ უარი ეთქვათ სოფლისათვის მიღებულ შეღავა-თთან ტარიფებზე. მაგრამ, მიუხედავად ყველა სინდისისა, პარტიის ყოველდღიური ზრუნვისა და დახმარების წყა-ლობით, კინომ შეაღწია სოფელში და იგი პარტიის პოლი-ტიკის განხორციელების ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად იქცა.

სოფელში სოციალისტური მშენებლობის გაშლისა და წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ენერგიული ბრძო-ლის განხორციელებაში კინოს როლსა და ამოცანებზე პრცლად ითქვა როგორც რესპუბლიკურ, ისე ამიერკავ-კასიის პარტიულ თათბირებზე 1928 წელს. განსაკუთრე-ბით მკვერად დისკვა საკითხი საქართველოს სოფლის კინოფიციერების ტემპების დაჩქარებაზე, რათა უშოკოს ღრმში, ყოველ მასრაში ორი მოძრავი კინოდანადარი მა-ინც ყოფილიყო სოფლის მოსახლეობის სისტემატური მომ-სახურებისათვის¹⁴.

დიდი კამათი გამოიწვია სოფლისათვის განკუთვნილი ფილმების რეპერტუარმა, იმან, თუ როგორ უნდა ყოფილი-ყო ეს ფილები თავისი ხასიათით: ფილმები გაეკეთებინათ საშუალო განათლების მქონე გლეხების დონეზე, თუ ესარ-გებლად პრინციპით — კარგი ფილმი გასაგებია ყველას-თვის, ან შეეფასათ თუ არა კინოგაქირავების სპეციალუ-რი ტარიფი სოფლისთვის და სხვ¹⁵.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა აგრეთვე, რომ სოფელი მომარაგებულყოფი იხიეთი ფილმებით, რომლებიც უპასუბენ-დნენ მანამდროვე სოფლის დონეს და გამოსატყვენენ პარტიის პოლიტიკურ ხაზს სოციალისტურ საწყისებზე სოფლის გარდაქმნის საკითხში. წინააღმდეგ მიეცა სახეინ-რეყეს მიერული გადაწყვეტი გარდატეხისათვის სოფლები-სათვის განკუთვნილი ფილმების გამოშვებაში. ამავე დროს გახმობდნენ სოფლის ყოფაცხოვრების ამსახველი თემები, მათში გარკვეული ადგილი უნდა დაეჭირათ მუშათა კლა-სის ცხოვრებას, სოციალისტურ მრწველობასა, სოფელსა და ქალაქს შორის მტკიცე კავშირს¹⁶.

ხმდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით გაიზარდა სოფლის კინომშენებლობათა კაპიტალდახანდება. 1928 წლის დადგენილებებისა და კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის განხურული განხორციელებისათვის სა-განებლო კონტროლის გაწვევა დაკისრა საქართველოს ცენ-ტრალური კომიტეტის ავტორბრას.

კინოშეღობის განვითარება და რეპერტუარის გაუმჯობე-სება ხელს უწყობდა სოფლის ვიციონიკისა და კულტუ-

რული ტემპების ზრდას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგ-რეთვე საქართველოს კინოსინტური პარტიის დადგენი-ლებებს სოფლებისათვის განკუთვნილი ფილმების გასაქი-რავებელი ფასების საგრძნობ ფასდაკლებაზე. როგორც წესი, სოფლისათვის განკუთვნილი ფილმების გაქირავება იწყებოდა სარაიხში ცენტრიდან, შემდეგ კი იგზავნებო-და ყველა კინოდანადარის სოფელში.

ამ პერიოდში დიდი მუშაობა გასწია საქართველოს სახ-კინომრეყვამ. მან მკედრო კონტაქტი დაამყარა მოძმე რეს-პუბლიკის კინომრეყვლობასთან, რომელსაცსანაც პირ-ვედ ხანებში სისტემატურად იძებდა სოფლისთვის საჭირო ფილებს, ხოლო 1928-29 წლებში თვითონ დაიწყო პერიფე-რიისათვის საჭირო კინოსურათების რეკულარული გამოშ-ვება.

თავდაპირველად ე. წ. „კულტურფილმები“ ნახევრად მსახიობური, შემდეგ კი მსახიობური მსატყვლო ფილმები იყო. რევისორებმა ს. დოლიძემ, ე. ძაგანმა, ნ. ლობოზრი-ძემ, გ. ცაგარელმა, შ. ხუციავამ, თ. თარატიანი, ალ. დიმიტოვი, ს. ზაბოზუავეამ, ფ. გვეგელემ, ვ. პონანამა და სხვებმა თავიანთი ძალა სცადეს კულტურფილმების შექ-მნაში.

ამ პერიოდში გამოშვებული ფილმებიდან, რომელსაც სოფლად წარმატება ჰქონდათ დასახლებების ღირსია: „მი-წის ძახილი“, „ოქტომბრის 12 წელი“, „ამიერკავკასიის კინოპრეტული კავშირი“, „ერთი დღე ყარაბაიში“, „საბ-ჭოთა ცვილინი“ („ქართული ჩაი“), „სილოსი“, საქართ-ველოს წყალობა მებრუნება“, „1929 წლის საგაზაფხულო თესვის წყაბანია“ და სხვ.

სწორედ ისინი წარმოადგენდნენ საწარმოო პროპაგან-დის პირველ ქართულ კინოფიციერებს, რომლებიც ემხარე-ბოდნენ პარტიას, როგორც შრომის ნაყოფიერების გადი-რებისათვის ბრძოლაში, ისე გენერალური ვიციონიური პროფილებების გადგებაში, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნასა და საერთოდ კულტურული რევოლუციის ამო-ცანების განხორციელებაში.

ლუნიინ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, „საწარმოო პრო-პაგანდის“ — განსაკუთრებით საწარმოო, სასოფლო-სამე-ურნეო და სამრეწველო ხასიათის ფილმებს. თავის თეზი-სებში საწარმოო პროპაგანდის შესახებ, სახავდა რა სპე-ციალური მასობრივი გახეების შექმნის საჭიროებას, ვ. ი. ლუნიინმა პროპაგანდის ამოცანების გამოწვევად შეიტანა „უფრო ფართო და სისტემატური გამოყენება პროპაგან-დისტული ხასიათის ფილმებისა, კინოგანყოფილებასთან ერთობლივი მუშაობა“¹⁷.

საწარმოო პროპაგანდაში კინოს გამოყენების საკითხს არა ერთხელ დაბრუნდა ვ. ი. ლუნიინი საბუნრეო სახელ-მწიფო მოთვლევებთან საუბრებში¹⁸, სადაც აღინიშნავდა კი-ნოს გამოყენების უდიდეს მნიშვნელობას შრომელთა მო-წინავე საწარმოო საშუალებებით გათვითცნობიერების საქ-მეში. აქვე უნდა დაეძიებინა, რომ სოფლისთვის შექმნილი ყველა კულტურფილმი ვერ აკმაყოფილებდა ლუნიინურ მოთხოვნებს. ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ პასუხობს ამ თემას, ნაწილი კი ფაბულასა და აგებულების მიხედ-ვით წარმოადგენდა მისამტური იყო, ზოგი კი წმინდა წყლის მყვრალა საავტოტიკო ხასიათისა. მაგრამ ბევრ მათგანს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მით უმეტეს, რომ ისინი დაუკომენტური იხსუტული ასახვდნენ იდანი წლებში დასასრულს მომდარ ფაქტებსა და მოვ-ლენებს.

ნამდვილი პოემა შეიძლება ვუწოდოთ ფილმ-ნარკვევს „პოემა შირაქზე“ (რევისორი ნ. ხუციავამ, თარატიანი).

ი. აღდგომელაშვილი)¹⁹, რომელიც მოგვიხსენიება ზემო ქედის კომუნის მშრომელთა, მათაჲ, ვინაჲ დაგეგმარდა შრომითი უწყლო შირაქის ეკლის ნაწილი სასოფლო-სამეურნეო გადაქცევა.

ზემო ქედის კომუნის ხელმძღვანელის კობა ნიხაიის მაგალითსჲ „კომკომი“ დამაჯერებლადა ნაჩვენებია, თუ როგორ შეუძლია კომუნის წევრებს მიპყრობის განმარტოვება ყველაზე რთულ მდგომარეობაში, რადგან ისინი მხოლოდ კავშირში არიან ხალხთან და ხალხის ინტერესებთან განმარტოვებულნი.

ფილმ-ნარკვევში დიდი ყურადღება მიაქცია დამამართო მუშაობის სწორი დაგეგმვის პრინციპს, სასოფლო-სამეურნეო მანქანების რენტაბელურად გამოყენებას, შენი პედილის კომუნარების შრომის საქონლობას, რომლებსაჲ ათიოდე ცხვრისაგან ოთხი წლის განმავლობაში 8.700 სულსაცან შემდგომი ფარა მიიღეს.

თავადღებულმა მშრომელებმა, რომლებიც სახელმწიფოსაგან ყოველდღიურ ზრუნვასა და დახმარებას გრძობდნენ, არსებული მექანიზაციისა და გამოყოფილი კრედიტის რაციონალურად გამოყენებით, შირაქი მალე გადააქციეს სოცის, პურის, რძისა და თაფლის მძლავრ „ფაბრიკად“.

დამაჯერებლად მოგვიხსენიებენ კადრები, თუ კომუნის შემოსავლის ზრდასთან ერთად როგორ უშვებდებოდა მიხი თითოეული წევრის კეთილდღეობა — კომუნართა ბავშვები ახალ ამგებულ სკოლაში სწავლობდნენ, ავადმყოფები უსრუნველყოფილი იყვნენ უფასო სამედიცინო დახმარებით, ხალხის სასამართლო ჩაღვა ამბულატორია, სასადილო, ვეტკუპუნქტი, საბავშუო ბაღი, თეატრი, აივო ახალი საცხოვრებელი სახლები და სხვა.

არასაბუნდოვანად რეგისტრის ბ. დლოიძის მიერ 1929 წელს შექმნილი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა ცვილი“ („საქართველოს ჩაის“), რომელიც კინოს ენით გადმოვიკვება საქართველოში ჩაის კულტურის ისტორიაზე და სამართლ წარმავლითაც.

ფილმში ფართო პლანით იყო ნაჩვენები საწარმოო პროცესები: ჩაის ბუჩქების მოვლა, ფოთლის გრეფა, მწკრივად ოქროსაჲ გადამუშავება ფაბრიკაში და ა. შ. დამაჯერებლად გამოყოფრდება სტატისტიკური ცნობები და დიაგრამები მულტატულიაციის გამოყენებით. რომლებიც ჩაის კულტურის განვითარების დიდ სარგებლობაზე მოგვიხსენიებდნენ.

ძალზე პოეტურად იყო შესრულებული ბ. დლოიძის მიერ კულტურფილმიც „ერთი დღე აარაჩაისაჲ“ (1929 წ.). აქაც ყარაჩაის ლამაზი ბუნების ფონში მოთხრობილია ყარაჩაისლი მეტეორიტების ცხოვრებაჲ, მათ, ყთაოლოთიურ შრომასჲ, პირველ მექანიზმებზე, მათი შრომის შემამსუბუქებელ სეპარატორზე და სხვა.

უნდა აღინიშნოს ბ. დლოიძის კიდევ ერთი ფილმი „ქახილი მიწისა“, რომელიც 1928 წელს შექმენა და სოფლის, მისი სოციალისტური გარდაქმნისათვის მიძღვნილი. „ქახილი მიწისა“ მათთან შედარებით სუსტია სიუჟეტის ხიზმარტობითა და ზედმეტად სწორსაზოგანი სააგრიკაციო დასკვნებით — წარწერებით. მაგრამ მასშიც იყო სანატორეს სოციალისტური მიგნებები, დასამახსოვრებელი კადრები, რომლებმაც აღმებლეს პირველი ტრაქტორის გამოხალა მინდორზე, პირველი კოლმურების შრომა, ქალაქის მუშებთან მათი მეგობრობა, სოფლის მეურნეობის თანდათანობითი შექანისაჲ და სხვა.

სოფლის მომსახურებისათვის სახკინმრეწვის ჩართვის განყოფილება რეკლამურულად იღებდა სოფლის ცხოვრების ამასხველ ქართულ სიუჟეტებს. ისინი აიკატაჲსაჲ უწიებდნენ საქართველოს პირობებისათვის დახალისწინებულნი არაომინინიუმის დავცას, აცნობდნენ თესლის გასუფთავების,

მათი მოწამელის, მწკრივად დათესვის, მინდვრის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის წესებს, სარწყავი არხების მშენებლობასა და სხვა.

1928-29 წლებში რესპუბლიკის კინოთავარტების ვერანებზე გაიმართა ქართული მხატვრული ფილმები, რომლებიც განმარტობდნენ თანამედროვე სოფლის მწკრივ პრობლემებს. მათ შორის პირველი იყო ზ. ბერიშვილის ფილმი „დრეზელთა თავმჯდარარა“, რომელიც მოგვიხსენიება განთვლელ მიცხოველებზე.

ახალაზრდა რეჟისორ ლ. ესაკიას ფილმი „პოლტზე“ აისახა იმ დროისათვის ყველაზე მტკიცეული თემა — კულაკობასთან ბრძოლა.

ეს ფილმი თავისი ფორმითა და აგებულებით აშკარად უაჩილიდს ძიკავრტობის გაგლენას, რითაც „უსუსხობო“ ფილმისათვის ბრძოლაში ლ. ესაკიას სახით მან კარგი მიმდგარი იპოვა.

მართლაც, ფილმი თითქმის უსუსხობო გამოვიდა — იგი მხოლოდ ერთი აქტიორის საშუალებით იყო გადაღებული, მიქმედება მიმდინარებდა სოფლის ფონზე, მუსრანელი ვლენის მონაწილეობით.

მართავ სიუჟეტისა და დასკვნათა სწორხაზოვნების მიუხედავად, ფილმი „პოლტზე“ მაცურებელში დიდი მოწონებით სარგებლობდა. ეს წარმატება სრულიად გასაგებია და კანონზომიერი იყო, რადგან ხალხის ფართო მასეს სტრდებდა სოფლის გადაქმნის ამასხველი კინონაწარმოებით.

1929 წელს ვერანზე გამოვიდა საქართველოს სახკინმრეწვის კიდევ ერთი მხატვრული ფილმი — „ახალაზრდაობა ინარჯვებს“ (რეჟისორი მ. გლოვანი), რომელიც ახალ მარტო სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას, აჩაბელ ბუნებზე შეწყველებისა და ცრუმონწინების წინააღმდეგ ბრძოლასაც ასახავდა. აღნიშნულმა მოტივმა (თუმცა პასურად) თავისი ასახვა პირვა ჯერ კიდევ ქართული საბჭოთა კინომატორავრტობის განვითარებულ ფილმ „სურამის ციხეში“. მ. გლოვანის ფილმში კი ორიგინალური რეჟისორული, დრამატურავრული და ოპერატორული ხერხებით აქტიურად ავლერდა უაზრო, ახსურადული წარსოფლის ყველაზე საწინდელი და ველური ჩვეები — სისხლის აღების მავნე ადითი.

ახალაზრდა სცენარისტმა გ. მდივანმა ფილმისათვის შექმნა საინტერესო სიუჟეტური ქარვა, რომელიც პირდაპირ პასურბოდა ახალი ყოფაცხოვრებისათვის ბრძოლის იმ ამოცანებს, რომლებიც კომუნისტურმა პარტამ დააყენა კინომატორავრტობის წინაშე.

ფილმს მიქმედება მიმდინარებოდა აჭარაში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ძალუმაღ იყო ფესმოციფებული ძველი ადითები.

რეჟისორი და ოპერატორი ოსტატურად მიგნებული საინტერესო კადრებით გადმოსცემდნენ თუ როგორი აურხაური აყვალა სოფელში ფესმოციფილი წიწილას გამო და სინამდვილის დადგენმდე შურისმაძიებლებმა როგორ მოყუნეს უდანამაჲული კაცი. ფილმის აგტიორებმა მიზანს მიაღწიეს — სასაცილოდ აიღვეს სისხლის აღების მავნე ჩვეულება.

ფილმში კარგად იყო ნაჩვენები აგრეთვე ჩადრის მოხდის კადრები, რომელიც საუკუნებით განმტკიცებული ადით-წესის დამსხვრევისა და გადაგების სურათად იკითხებოდა.

ზოგიერთი ნაღის მიუხედავად (მელოდრამა, გატიანერება, ორსხლის არადახმარებლობა და სხვა). ფილმმა „ახალაზრდაობა ინარჯვებს“, ქართული კინომატორავრტობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფურცილი წაწერა. განსაკუთრებით ახალ ყოფაცხთან და ახალ სოფლითან დაკავშირებულ ფრიად საჭირო პრობლემათა კომედირი ხერხებით გაუა-

6. „საბჭოთა ხელოვნება“ № 8, 1971.

წყვეტის საქმეში, რითაც იგი დღესაც დიდ ინტერესს იწვევს.

1928 წელს საქ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ავტაკავია-პროპაგანდის განყოფილების დადგენილებით შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა სპეციალური სამჭო¹, დამტკიცდა სასკინმრეწვევის სამუშაო გეგმა თესვისა და მოსავლის აღების კამპანიების მომსახურებისათვის. გეგმის მიხედვით სასკინმრეწვევი გამოუყვებდა არა მარტო მსახიობურ და დოკუმენტურ ფილმებს, არამედ მულტილიტერატურული ფილმ-„ლოზუნ-გეგმა“, ქართულ და რუსულ ენებზე რომელიც დაერთვოდა საოფეში გასაგზავნად ყოველ ფილმს.²²

იმვე 1928 წლის შემოდგომაზე სასკინმრეწვემა მოიწვია თათბირი და განიხილა სოფლის კინომომსახურების საკითხები²³.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სასკინმრეწვის ხაზით თესვის კამპანიის ხელშეწყობისათვის გამოყოფილიყო საგანგებო რწმუნებული, აგრეთვე პერიოდულად გამოსულიყო საწინამეო კოლმურწეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხოვრების ამსახველი კინობიულეტები²⁴.

აქაკავიის სამხარეო კომიტეტის ავტაკავია-პროპაგანდის განყოფილების გადაწყვეტილებითა და სასკინმრეწვის მმართველობის საგანგებო დადგენილებით 50 პროცენტით შემცირდა საგზაფხულო თესვის კამპანიის მომსახურებისათვის განკუთვნილი ყველა ფილმის გაქირავების ფასი.²⁴

1929 წლიდან გატარდა ღონისძიება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების, აგრეთვე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სამხარეო, საოლქო და საორგუო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების განკარგულებაში კინოფიციების სპეციალური ფონდების შექმნის შესახებ.

დადგენილებაში პირდაპირ იყო მიითქმედი: „კინოფიციების ფონდები გათვალისწინებულია კინოქსელის მშენებლობისათვის. აღნიშნული ფონდების ანგარიშში

პირველ რიგში უწარმოებს ახალი კინოფიციების მშენებლობა მუშათა რაიონებში, აგრეთვე სოფლებსა და ისეთ ადგილებში, სადაც კინო არ არის და აგრეთვე სოფლად გაფართოვდება მოძრავი კინოდანადგარების ქსელი. მთორიგში — ჩატარდება ქალაქისა და სოფლის მიქმედი კინოდანადგარების კაპიტალური რემონტი“.

ამ დოკუმენტთან ჩანს, რომ პარტია და მთავრობა მუშათა კომიტეტებისა და სოფლის კინოფიციების საქმეს პირველ რიგის ამოცანად სახაზუნებ და ამისათვის საჭირო თანხავენ გამოყოფდნენ.

სსრ კავშირის სასკინმაპოსის კინოკომიტეტი 1929 წლის ნ დეკემბრის დადგენილებით იღებდა ზომებს საკავშირო მასშტაბით, მუშათა რაიონებსა და სოფლებში პოლიტსა-განმანათლებლო სურათების დანერგვისათვის²⁵. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და აკავკასიის სამხარეო კომიტეტის კომისიები ყველა მუშაობებს მიმართავენ აღნიშნულ დადგენილებათა შესასრულებლად²⁵.

ამ პერიოდში მრავალი სასოფლო პარტიული ორგანიზაცია საავტაკავია-სარეკლამო მუშაობაში დახმარებისათვის ხშირად მიმართავდა სასკინმრეწვის ქრონიკალური ფილების გადასაღებად, არსებობს მრავალი ასეთი, დოკუმენტი. ერთი მათგანი ასე შეიქმნა: თელავის პარტიულმა ორგანიზაციამ ანტირელიგიური კამპანიის ჩატარებულად გადაწყვიტა, გადაეღო რელიგიური დღესასწაული — ალავერდობა²⁶. სასკინმრეწვი ცოცხლად გამოეხმურა ამ წინადადებას და შეუდგა მუშაობას. ქართული კინოს ისტორიაში ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო, როცა გამოყენეს ვერც წოდებული „ფარული“ კამერა, რისი მეოხებითაც შეიქმნა საინტერესო და მწვევა კინორეკვივა, რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა შემდგომ საავტაკავია მუშაობაში.

ამრიგად, ყველა ხელოვნებათა შორის ყველაზე მასობრივი ხელოვნების — კინოს — საშუალებით წარმატებით ხორციელდებოდა კომუნისტური პარტიის დადგენილება გლეხობის ახალ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმის შესახებ.

შენიშვნები:

1 სკკპ ყროლებების, ცენტრალური კომიტეტის კონფერენციებისა და პლენუმების რეზოლუციები და გადაწყვეტილებანი, ნაწ. I. გვ. 100—105, 116—125 და სხვ.
 2 გ. ი. ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. მოსკოვი, 1967 წ. გვ. 685.
 3 გ. ი. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული ტ. 44, გვ. 361.
 4 სსრ კავშირის ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივი, ფონდი 279, აღწერილობა I, საქმე 19. ფურცელი. 27.
 5 გ. ი. ლენინი, სტატიების სრული კრებული, ტ. 45, გვ. 376.
 6 სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული გ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის თბილისის ფილიალის პარტარქივი, ფონ. 14. ს. 1282, ფ. 8.
 7 იქვე, ფონ. 14, ს. 1681, ფ. 102. 8 იქვე, ფ. 6. 9 იქვე.
 10 იქვე, ფ. 10. 11 იქვე. 12 იქვე, ს. 3054, ფ. 35.
 13 იქვე, ფ. 36.
 14 იქვე, ფონ. 13. ს. 2683, საქ. ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. 804, აღწ. I. ს. 3829, ფ. 160-165.
 15 სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული გ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის პარტარქივი, ფონ. 13. ს. 2766, ფ. 97.

16 სკკპ, ფონ. 804, ს. 3829, ფ. 160-164; სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული გ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის პარტარქივი, ფონ. 13. ს. 2769, ფ. 290-292; ფონ. 14. ს. 3029.
 17 გ. ი. ლენინი, ტ. 42, გვ. 14-16.
 18 ნაზ. „პეტროგრადისკა პრავდა“, 1920 წ. № 199.
 19 ფილმ-ნარკვევა „პოეზია შირაქზე“ და სხვა დოკუმენტური ფილმები იზაბელა სესი კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების არქივში.
 20 კობა მთავალი — ძველი რევოლუციონერი, კომუნარი, რუმელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე იყო კომუნის ხელმძღვანელი, შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო არტელ ზემო ქედის თავმჯდომარე. მიღებული აქვს მთავრობის რამდენიმე ჯილდო, 1965 წლიდან — პენსიონერი, გარდაიცვალა 1971 წელს.
 21 სესია, ფონ. 6-617, აღწ. I. ს. 5156, ფ. 4. 22 იქვე, ფ. 4-5. 23 იქვე.
 24 სესია ფონ. 6-617. აღწ. I. ს. 5156, ფ. 5.
 25 იქვე, ფონ. 6-617, აღწ. I. ს. 3035, ფ. 22-24.
 26 სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული გ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის პარტარქივი, ფონ. 14. ს. 2614, ფ. 40.

პორტრეტი

მისი ცხოვრების მიზანი



მიხეილ ჩიხლაძე

თინათინ აბულაძე

ქუთაისის ქუჩებს დილიდანვე უჩვეულო გამოცოცხლება ეტყობოდა. ყვავილების გირლიანდებითა და ხალჩიებით დამშვენებული აივნები საზეიმო იერით მოსავდა ქალაქს.

ქუთაისელები დიდი ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ ქართული თეატრის მშენებლებს — ლადო მესხიშვილს, რომელსაც იმ დღეს დაბადების 35 წლისთავი შეუსრულდა.

სადგურიდან თეატრისაკენ ეტლით მიმავალ მესხიშვილს მხურვალე ოვაციებით მიაცილებდა ხალხი და ლადოც მომაჯადოებელი ღიმინით ესალმებოდა მათ...

11-12 წლის ბიჭი გატირვებით მიარღვევდა ხალხის ტალღას და ცდილობდა როგორმე თვალი მოეკრა იუბილარისთვის. ღვთაებრივმა სიბუნებამ მოიხიბლა ბავშვი. აედევნა ეტლს, თეატრის მთავარ შესასვლელში დარაჯებს ხელგებუა გაუძვრა და შეუმჩნეველად ქანდარაზე ავიდა.

იუბილესე ღე. მესხიშვილმა მაცურებელს უჩვენა ნაწყვეტები „სამ-

შობლოდან“, „ყაჩაღებიდან“ და სხვა. მისი ლეჟან ხიმშიაშვილი და ფრანც მორი დაუვიწყარი გახდა ბავშვისათვის, რომელმაც საღამოს დამთავრების შემდეგ შთამბეჭდილებებით გაოგნებულმა მთელი დამე ისეტილა ქუთაისის ქუჩებში.

ეს ბავშვი გახლდათ მიხეილ ჩიხლაძე, რომლის ცხოვრების ძირითად მიზანად სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ იქცა თეატრი.

მიხეილის მამას სერაფიმონ ჩიხლაძეს სურდა მისი პირმშო სასულიერო პირი გამოსულიყო. ამიტომ საშუალო განათლების მიღების შემდეგ ბავშვი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანა. აქ მიხეილი დაუნახოვდა ბარნაბა კოკელაძეს, კაპიტონ აბუაძეს, მიშა მჭედლიძეს, შოთა მანაგაძეს, რომლებიც ხშირად იკრიბებოდნენ ოჯახებში და მართავდნენ ლიტერატურულ საღამოებს, ბაასობდნენ, კამათობდნენ ნანახ სპექტაკლებზე, რა იცოდა მიხომ, რომ სწორედ აქ მტიციდებოდა თეატრა-

ლური ხელოვნებისადმი მისი შეგნებული დამოკიდებულება, აქ ისევე ებოლა მისი მხატვრული გემოვნება.

სწავლასთან ერთად თეატრშიაც დაიწყო სტატისტიკად მუშაობა. „ამისრულდა ოცნება, — იცონებს მ. ჩიხლაძე, — უკვე თავისუფლად შემქმლო სიარული თეატრში, არა როგორც მაცურებელს, არამედ როგორც სპექტაკლისათვის საჭირო თანამშრომელს“.

1916-1917 წლების თეატრალურ სეზონში ასალგასრდებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით დაედგათ აკ. წერეთლის „პატარა კახი“ და დახმარებისთვის ჭიჭიკო აბაკელიას მიმართეს. წარმოდგენა დაიგდა ქუთაისის თეატრის სცენაზე. სპექტაკლს დაესწრნენ მსახიობები ი. ზარდალიშვილი, ვ. ჩხიკვაძე, ვ. მურუსიძე, ალ. ყალაგვაშვილი. მიხეილი გივის როლს თამაშობდა. თეატრში ამავე როლს ანასხიერებდა ალ. ყალაგვაშვილი, რომელსაც ძალიან მოეწონა ჩიხლაძე. მიულოცა წარმატება და უხიარა: შენი



„ყაბაღები“. შუბერტლ — მ. ჩიხლაძე

სახით გივის როლში კარგი შემდეგ-
ლელი გვეზრდებაო.

1923-25 წლებში მ. ჩიხლაძე ძი-
